საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№16 (392)
3 - 9 მაისი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «გასაკვირი არ არის, მკვდარი მკვდარს აეკიდოს და ალასანია უსუფაშვილთან გაერთიანდეს» 8

## «გირჩთაყვანისმცემლები» 4



## ჩვეულებრივი ღალატი

### სააკაშვილის ნახელის-ბიჭარმა პრემიერმა 6 ჰექტარი ქართული მიწა თურქეთს გადასცა 3



## საქართველოს გზე სამხრეთიდან იწყებს ამოსვლას? 2



მამა გიორგი (რაზმაძე): 5

## ეს მოღალატეობრივი პოლიტიკა თუ არ დასრულდა, საქართველოს დიდი ხნის არსებობა არ უწერია



«ხელისუფლება, რომელიც ამ სექტებს აძლიერებს და კბილებით იცავს, ხოლო მეორე დღეს სააღდგომო ღამისთევაზე გარბის ეკლესიაში და პატრიარქის გვერდით სანთელს ანთებს, არის ფარისეველი»

## «თურმე «ოცნება» იმისთვის აურჩევია ხალხს, რომ სოსო გოგაშვილსა და მისნაირებს მილიონები ეშოვათ» 7



## საგანგაშო დიაგნოზი, რომელიც ფსიქიატრებმა ტრამპს დაუსვეს, ძალიან ჰგავს ლიტველი ექიმების მიერ სააკაშვილისთვის დასმულ დიაგნოზს 10

## «საქართველოს მოსახლეობამ კარგი ვერაფერი ნახა პროდასავლურ კურსში» 5

„თუკი უსუფაშვილი პარტიის ჩამოყალიბებაზე საუბრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფულის, დაფინანსებისა და პოლიტიკური მხარდაჭერის საკითხი უკვე მოგვარებული აქვს თავის დასავლელ მამა-მარჩენლებთან“

**ბაჩუკ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აქამდე ყველა იმ გადაწყვეტილების გულმხურვალე მხარდაჭერას, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიღებული, ქართველი დიპლომატები იმით ხსნიდნენ, რომ ევროპელები ითხოვენ ასეო. იმის მიუხედავად, რომ რუსეთის წინააღმდეგ ასეთი დაუფარავი წასვლა დიდ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას, მაინც გვეუბნებოდა ქართული ოფიციოზი — თუკი ასე არ მოვიქცევით, მაშინ ევროპა ზურგს შეგვაქცევს და ამიტომ იძულებული ვართ, რისკზე წავიდეთ და რუსეთს დავუპირისპირდეთ, რათა ევროპულ ოჯახში მოხვედრის შანსი არ დავკარგოთო. მაშ, ახლა, როდესაც საქმე თურქეთის „მსუბუქ დასჯას" ეხება, რატომ ვუპირისპირდებით ევროპის 113 წამყვან, ძლიერ სახელმწიფოს და რატომ ვართ იმ 45 „მაჩანჩალის" რიგებში?**

# საქართველოს მზე სამხრეთიდან იწყებს ამოსვლას?

**უმარტივესი ჭეშმარიტებაა, რომ ორ უდიდეს იმპერიას შორის მოყოლილი პატარა ქვეყანა თუ ერთთან კატეგორიულად გაწყვეტს ყოველგვარ კონტაქტს, მაშინ მეორე იმპერიას უკვე სრული კარტ-ბლანში ეძლევა ამ პატარა ქვეყნის თავის ჭკუაზე სატრიალებლად. ყურადღება მიაქციეთ — არ ვამბობ „გავლენის სფეროში მოსაქცევად"-მეთქი. აქ საუბარი სწორედ საბოლოო „დაჩოქებასა" და „დაჩმორებაზეა" და არა ისეთ მსუბუქ მდგომარეობაზე, რომელსაც „გავლენის სფერო" ჰქვია.**



**რა უფრო ნაკლებად საზიანო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის: რუსეთის სამხედრო სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინება ჩვენს რეგიონში თუ თურქების ასეთი სამარცხვინო მონობა, რომლის გამოც დღესასწაულების აღნიშვნასაც კი ვერ ვბედავთ მათთან შეუთანხმებლად?**

თანამედროვე მსოფლიოში გავლენის სფეროში ნებისმიერი პატარა ქვეყანა ისედაც იქნება. უამისობა, უბრალოდ, არ არსებობს. ეს მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფო ორ დიდ იმპერიას შორის ცდილობს ლავირებას და იმ ორ იმპერიას ისლა დარჩენია, ხანდახან მაინც მოთაფლოს და თუნდაც მოჩვენებითი „კეთილგანწყობა" დაანახვოს. ასეთი თუნდაც მოჩვენებითი „მოთაფვლების" შედეგად კი პატარა ქვეყანას შეუძლია, თუ მაინცდამაინც სარეგებლი არა, შედარებით ნაკლები ზარალი მაინც ნახოს და უდიდესი საფრთხეები აიცილოს თავიდან.

ამის საკმარისი გამოცდილება გვაქვს ქართველებს და მით უფრო **გასაკვირია, რომ ასე ხელაღებით დავივიწყეთ წინაპართა შეცდომები თუ პირიქით — სწორი ლავირებები და ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „ტოტი" ჩვენივე ხელით მოვჭერით.**

პირდაპირ ვამბობ — საქართველოს მიერ რუსეთთან ურთიერთობის ასეთი ხისტი მოსპობა და უკანდასახევი ხიდების დაწვა ვისაც შეიძლება ხელს აძლევდეს, ეს თურქეთია. ისიც ფაქტია, რომ ოსამალების საქმის გამგრძელებლებმა მათივე სამხედრო პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების, ხელშეწყობითა და დიდი მონდომებით მოაწყვეს საქმე კავკასიაში თავიანთ სასარგებლოდ.

სიტყვამ მოიტანა და კონკრეტულად ავხსნათ, რას ნიშნავს „საქმის თავიანთ სასარგებლოდ მოწყობა" და შემდეგ ისევ მივუბრუნდეთ ზოგად მსჯელობას.

ამ დღეებში გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია: **„თურქეთის წინააღმდეგ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას საქართველომ მხარი არ დაუჭირა. რეზოლუციის თანახმად, ევროსაბჭომ თურქეთი პოსტმონიტორინგის ეტაპიდან ისევ მონიტორინგის ეტაპზე დააბრუნა. ამის მიზეზი გახდა თურქეთის პრეზიდენტის — რეჯეფ ტაიპ ერდოღანის მიერ ჟურნალისტების დაპატიმრებები, ოპოზიციის დევნა და საკონსტიტუციო რეფერენდუმი. ევროსაბჭოში 2 საათის განმავლობაში გამოდიოდნენ ევროპული ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც თურქეთსა და მის ხელისუფლებას მკაცრად აკრიტიკებდნენ. საბოლოოდ თურქეთის ასეთი ფორმით დასჯას ხმა მისცა 113 ევროპულმა ქვეყანამ, რომელთა შორის არ იყო საქართველო. ჩვენი ქვეყანა იმ 45 ქვეყნის რიგებში აღმოჩნდა, რომლებმაც თურქეთის გავლენით ხმა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს".**

როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს ეს ინფორმაცია? აკი, **აქამდე ყველა იმ გადაწყვეტილების გულმხურვალე მხარდაჭერას, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიღებული, ქართველი დიპლომატები იმით ხსნიდნენ, რომ ევროპელები ითხოვენ ასეო.** იმის მიუხედავად, რომ რუსეთის წინააღმდეგ ასე დაუფარავად წასვლა დიდ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას, მაინც გვეუბნებოდა ქართული ოფიციოზი — თუკი ასე არ მოვიქცევით, მაშინ ევროპა ზურგს შეგვაქცევს და ამიტომ იძულებული ვართ, რისკზე წავიდეთ და რუსეთს დავუპირისპირდეთ, რათა ევროპულ ოჯახში მოხვედრის შანსი არ დავკარგოთო.

მაშ, ახლა, **როდესაც საქმე თურქეთის „მსუბუქ დასჯას" ეხება, რატომ ვუპირისპირდებით ევროპის 113 წამყვან, ძლიერ სახელმწიფოს და რატომ ვართ იმ 45 „მაჩანჩალის" რიგებში?**

რა თქმა უნდა, ყველა ეს კითხვა რიტორიკულია და ნათელია, რაც ხდება სინამდვილეში საქართველოს თავს. **არაფერ შუაშია აქ ევროპა, ევროპული ოჯახი და ფასეულობები. საქმე ის არის, რომ რუსეთთან „ხიდების საბოლოო დაწვის" შედეგად, ჩვენ თურქების პირდაპირი მონები გავხდით. ოღონდ კი თურქეთს არაფერი ვაწყენინოთ და უკვე პირდაპირ მივდივართ არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ევროპის წინააღმდეგაც კი.**

თავის მხრივ, თურქებიც იმ დონეზე გათავხედდნენ, რომ ეროვნული დღესასწაულების აღნიშვნასაც გვიკრძალავენ. რა თქმა უნდა, არავინაა ისეთი გულუბრყვილო, რომ დაიჯეროს — თურქეთის ელჩის პოზიცია დიდგორობის მიმართ „თხოვნა" იყო და სხვა არაფერი. ან თუნდაც თხოვნა ყოფილიყო, ვფიქრობ, თავმოყვარე სახელმწიფომ ასეთი რამ „დიდ მეზობელს" თხოვნის დონეზეც კი არ უნდა გააბედინოს.

ჩვენ კი უკვე ისეთი „ექსპერტები" და „ჟურნალისტებიც" გვყავს, რომლებიც ტაო-კლარჯეთსა და სამცხე-ჯავახეთს ქართულ მიწად აღარ მიიჩნევენ, რადგან თურმე ეს მიწები „გაერომ სცნო" და ჩვენმა მთავრობამაც, თავის მხრივ, ხელი მოუწერა თურქებს იმაზე, რომ მათთან საქართველოს ტერიოტირიული პრეტენზია აღარასოდეს ექნება, ანუ რეალურად საქართველოს ოფიციალურმა წრეებმა „აჩუქეს" ეს ტერიტორიები თურქებს.

თუმცა მე სულაც არ მაინტერსებს, რა აღიარა „გაერომ" და საქართველოს რომელმა მთავრობამ როდის რა ადგილი აულოკა თურქებს. **ქართველი ხალხისთვის ტაო-კლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი ქართული მიწაა და მოდი, ბარემ, ისიც ვთქვათ, რომ, მიუხედავად ყარსის ხელშეკრულებისა, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა ხელისუფლებასაც კი არასოდეს მოუწერია ხელი ისეთ დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც თურქეთთან არასოდეს ექნებოდა პრეტენზია ამ ტერიტორიებზე და ვინმე სამუდამოდ აღიარებდა თურქეთის უფლებებს ტაო-კლარჯეთსა და სამცხე-ჯავახეთზე.**

ისიც ყველამ კარგად იცის, რომ **იოსებ სტალინი**, ფაქტობრივად, მზად იყო, სარფიდან ტრაპიზონამდე ტერიტორია საბჭოთა კავშირისთვის, რეალურად კი საქართველოსთვის, შემოეერთებინა, მაგრამ იაპონიაში ჩაგდებულმა ამერიკულმა ატომურმა ბომბებმა შეაჩერა ეს ოპერაციები.

ახლა მეძახეთ რუსეთუმე და „რუსული პროპაგანდისტი", ოღონდ გულს რომ მოიჯერებთ, მერე კარგად დაფიქრდით, — **რა უფრო ნაკლებად საზიანო იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის: რუსეთის სამხედრო სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინება ჩვენს რეგიონში თუ თურქების ასეთი სამარცხვინო მონობა, რის გამოც დღესასწაულების აღნიშვნასაც კი ვერ ვბედავთ მათთან შეუთანხმებლად.**

რა თქმა უნდა, ოპონენტები ახლა აფხაზეთს, ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და სოხუმში გახსნილ რუსეთის საელჩოს მოიტანენ მაგალითად. ამაზე არავინ დავობს, რომ რუსეთის მხრიდან ეს თავხედობაც არის, ოკუპაციაც, ანექსიაც, აგრესიაც და მტრობაც, მაგრამ სწორედ აქ არის საჭირო ტვინი, აზრი, გონება და გონიერი მოქმედება, რომ ძლიერი მტერი არ გამოიწვიო, არ გააბრაზო, არ გაამწარო და არ გადაადგმევინო ხისტი ნაბიჯები.

მარტივია — **ნებისმიერი ძლიერი მტერი ცდილობს, ზედმეტი თავის ატკივების, ანუ სამხედრო რისკების, ცოცხალი ძალის მსხვერპლის გარეშე მიიღოს თუნდაც მინიმუმი თავისი სტრატეგიული ინტერსებისა და, თუ შენ დათმობ, გარკვეულწილად ისიც დაგითმობს. თუ შენ გაჯიქდები და „ვაჟკაცობანას" დაიწყებ და მტერი იძულებული შეიქნება, „თავი აიტკივოს", ანუ სამხედრო რისკებზე წავიდეს, მაშინ რაღა მინიმუმს მოითხოვს, ადგება და ბარემ მაქსიმუმს წაიღებს და მიითვისებს! სწორედ ამას აკეთებს ახლა რუსეთი, რომელიც 2008 წელს ქართველებმა ვაიძულეთ „თავი აეტკივებინა".**

ახლა ვიცი, უკვე მზად არის მავანი, „სამშობლოს მოღალატე" მიწოდოს. არადა, ვფიქრობ, **ღალატი სწორედ ის არის, როდესაც შიშით ან სარგებლის მიღების სურვილით არ ამბობ იმას, რასაც სინამდვილეში ფიქრობ. მე სწორედ ასე ვფიქრობ სინამდვილეში და ამაში არც პუტინისგან და არც ვინმე სხვისგან არანაირ „ხეირს" არ ველოდები. აი თქვენ კი, სწორედ იმის გამო, რომ „წარმატებას" მიაღწიოთ, მიიღოთ გრანტები თუ სხვა მატერიალური სიკეთეები, არ ამბობთ იმას, რასაც შეიძლება რეალურად ფიქრობდეთ: რუსეთთან „ხიდების დაწვა" საქართველოს დაჩაჩანაკებას, დაკნინებასა და დამონებას ნიშნავს.**

ზევით ისტორია ვახსენეთ და განა სწორედ სიმართლისა და სწორი პოლიტიკის გამო არ განდევნეს საქართველოდან ვითომ „პატრიოტმა" თავდებმა „შაჰ-აბასის მეგობრად" შერაცხილი **გიორგი სააკაძე?**

არადა, გაიხსენეთ, ვიდრე სააკაძეს განდევნიდნენ, როგორ, რა ხერხით დაიბრუნა თბილისი ქართულმა გარნიზონმა და საქართველომ. სწორედაც მტერ, აგრესორ, ოკუპანტ **შაჰ-აბასთან** მეფე **ლუარსაბის** აუდიენციის, სპარსეთის „მეგობრობის" დამტკიცებისა და, როგორც ახლა ურაპატრიოტებს უყვართ ხოლმე თქმა, „ჩექმების ალოკვის შემდეგ" შაჰ-აბასმა ბრძანა, თბილისის ციხიდან სისხლის დაუღვრელად გასულიყო **დელუ-მუჰამედის** სარდლობით მდგარი სპარსული გარნიზონი და თბილისი ქართლის მეფე ლუარსაბს გადასცემოდა სამართავად. ეს ყოველივე „მოღალატე" გიორგი სააკაძის მოქნილი და სწორი საგარეო დიპლომატიის შედეგი იყო. ძალიან ცდება ის, ვისაც დიდი მოურავი მხოლოდ ხმლის მქნეველი ჰგონია... არადა, იყვნენ მაშინაც ე.წ. პატრიოტები, რომლებიც შაჰ-აბასთან „მეგობრობას" ქვეყნის ღალატად მიიჩნევდნენ.

**დარჩნენ კიდეც ასეთი „პატრიოტების" გარემოცვაში „მოღალატე" გიორგი სააკაძის განმდევნელი ქართლის მეფე ლუარსაბი და „მოღალატე" ქაიხსორო ჩოლოყაშვილის მკვლელი, კახეთის მეფე თეიმურაზი და, ამის შემდეგ რაც მოხდა კახეთსა და ქართლში, რამდენჯერ შემოესია შაჰ-აბასი კახეთ-ქართლს და რა შედეგი მოტანა „პატრიოტთა" მიერ „ჩექმების არალოკვის" პოლტიკამ, ყველამ ვიცით...**

**და ისევ და ისევ „შაჰ-აბასის ჩექმის მლოკავი" დიდი მოურავი, „მოღალატე" გიორგი სააკაძის მიერ საკუთარი თავისა და საკუთარი შვილის გაწირვა რომ არა, დღეს, ალბათ, ქართველის სახსენებელიც აღარ იქნებოდა ქვეყანაზე!**

თუმცა სჯობს, აქ შევჩერდე, თორემ, როგორც ვხედავ, მავანი უკვე ემზადება კვლევების ჩასატარებლად, რათა დაადგინოს, რამდენს მიხდის ასეთ „პროსპარსულ პროპგანდაში" ირანის ლომის, შაჰ-აბასის, ადმინისტრაცია...

**ქართველი ხალხისთვის ტაო-კლარჯეთი და სამცხე-ჯავახეთი ქართული მიწაა და მოდი, ბარემ, ისიც ვთქვათ, რომ, მიუხედავად ყარსის ხელშეკრულებისა, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა ხელისუფლებასაც კი არასოდეს მოუწერია ხელი ისეთ დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც თურქეთთან არასოდეს ექნებოდა პრეტენზია ამ ტერიტორიებზე და ვინმე სამუდამოდ აღიარებდა თურქეთის უფლებებს ტაო-კლარჯეთსა და სამცხე-ჯავახეთზე**

**როცა ქვეყნის პირველი პირი გქვია, როცა სხვა ქვეყანაში ჩადიხარ და შენი ქვეყნის დროშას არ გახვედრებენ, სულ ცოტა, იზორიასავით მაინც უნდა აღშფოთდე და შეშფოთდე, თორემ შემდეგ დროშის ნაცვლად სარეცლის ზეწარი შეიძლება დაგახვედრონ და ეგებ დაგვიანებულიც იყოს ამ ფრაზის თქმა: „შენისთანა ღორისშვილის ცოლობას დათა თუთაშხიას საყვარლობა რომ სჯობია, თუ იცი ეს შენ?!“**

თქვენების სასაფლაო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჩვეულებრივი ღალატი

**სტატიის წერის დაწყებამდე ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი რომანიდან ერთი ფრაზა გამახსენდა: „ნიკანდრო ქილია, შენისთანა ღორისშვილის ცოლობას დათა თუთაშხიას საყვარლობა რომ სჯობია, თუ იცი ეს შენ?!“ — ამ სიტყვებს ბეჩუნი პერტია ეუბნება პოლიცმაისტერ ქილიას...**



2013 წელს თურქეთის მთავრობამ ქართველი მაღალჩინოსნები სადავო ტერიტორიაზე სასაუბროდ მიიწვია. საკითხი არდაღანის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწის ფართობს ეხებოდა. **თურქული მხარის მტკიცებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში თურმე საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდინარე ადიდებულა, კალაპოტი შეუცვლია და ექვსი ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჩვენს მხარეს დარჩენილა.** თურქეთს იმხანად საბჭოთა კავშირისთვის ვერ გაუბედავს იმის თქმა, რომ მდინარის კალაპოტის გამო მიწა დაკარგა, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა იმ კალაპოტში და... 2013 წელს თურქებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს. მაშინ ეს სერიოზულად არავინ აღიქვა ან როგორ უნდა აღექვა, როცა იმავე პერიოდში, **აზერბაიჯანს საქართველო დავითგარეჯას სამონასტრო კომპლექსში 20 სანტიმეტრ მიწას ედავებოდა?! საქმე ჩიჩხიტურის კოშკს ეხება, რომლის უკანა კედელიც თურმე აზერბაიჯანის საზღვარზეა. აზერბაიჯანელი მესაზღვრეები კოშკის იმ კედელს სამიზნედ იყენებენ და ცეცხლსასროლი იარაღით ვარჯიშობენ. აზერბაიჯანის მხარემ არც მაშინ და არც ახლა კედლის სისქე, ანუ 20 სანტიმეტრი არ დათმო. სწორედ მაშინ ამბობდა მეუფე ილარიონი, შეგნებულად უშენენ ტყვიებს, კოშკი რომ ჩამოინგრესო, და იქიდან დახვრეტილ კედელს ბერები აქედან ამთელებდნენ...**

20 სანტიმეტრი არ დაგვითმეს აზერებმა და ვინ იფიქრებდა, რომ 6 ჰექტარ მიწას დავთმობდით. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ 6 ჰექტარი დაახლოებით 15 საფეხბურთო სტადიონის ფართობის ტოლია და, ცოტა კი არა, ძალიან ბევრია. ამის მიუხედავად...

**„გასულ კვირას თურქული და ქართული დელეგაციების წარმომადგენლები ერთმანეთს თურქეთ-საქართველოს საზღვარზე მდებარე პოსოფი/თურგოზუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე შეხვდნენ და შესაბამის შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ქართულ დელეგაციას 10-კაციანი შემადგენლობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის, დემარკაციისა და სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი ხელმძღვანელობდა; თურქულ დელეგაციას კი — საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. ისტორიული სამართლიანობა აღდგა და ამიერიდან არდაღანის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწის ექვსი ჰექტარი ისევ ჩვენი საკუთრებაა“,** — ამ ინფორმაციას თურქული გამოცემები ავრცელებენ და ქართული უწყებაც ადასტურებს, რომ მეზობლებთან საზღვრის საკითხი საბოლოოდ გაარკვიეს და ისტორიული სამართლიანობა აღადგინეს.

როგორ არ გავიხსენოთ ის, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პარლამენტი 12 აგვისტოს დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადებას აპირებდა და ეს კანონი მას შემდეგ შემოდეს თაროზე, როცა თურქეთის ელჩმა გააპროტესტა, მაგ ომში ჩვენ დავმარცხდით და არ იზეიმოთო. ან ის როგორ არ გავიხსენოთ, რომ თურქეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საქართველოს პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს ერდოღანთან შეხვედრისას ქართული დროშა არ დაახვედრეს და მხოლოდ თურქული დროშის ფონზე გადააღებინეს სურათები... რა გამოდის? **ჩვენი ხელისუფლება თურქული მხარის ყველა მოთხოვნას ითვალისწინებს, ფეხქვეშ ეგება, ერთ ადგილს ულოკავს (არ მითხრათ ახლა, ცენზურა დაიცავიო, უარესს რომ არ ვწერ, მადლობის წერილი გამომიგზავნეთ თურქეთის ელჩის ხელით) და თან კეთილმეზობლობაზე აკეთებს აქცენტს.**

## სააკაშვილის ნახელისბიჭარმა პრემიერმა 6 ჰექტარი ქართული მიწა თურქეთს გადასცა

პარალელურად, თავდაცვის სამინისტრო, საგარეო უწყება, ოპოზიცია თუ ხელისუფლება ერთხმად აყვირდა, — არიქა, ხურჩაში რუსებმა საზღვარი 20 მეტრით გადმოწიესო. რაც მოხდა ხურჩაში, ცუდი ფაქტია, განგაშია ასატეხი, მაგრამ **ლევან იზორია** რომ გაიძახის, შეშფოთებული და უაღრესად აღშფოთებული ვარო, რატომ მაშინ არ შეშფოთდა, როცა თავდაცვის მინისტრს 6 ჰექტარი „ფუკასავით“ ააცალეს ცხვირწინ? თუ ეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იყო? თუ ასეა, გადავხედოთ ისტორიას და, როგორც მახსოვს, **თამარის მეფობის პერიოდში თურქეთში ტრაბზონის იმპერია გვქონდა და იქ ქართველი იმპერატორი იჯდა. ვუთხრათ მაშინ თურქებს, დაგვიბრუნონ ტრაბზონი, აქეთ ვლადიკავკაზზე ვიდავოთ და იქით კიდევ — განჯასა და სომხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მაგრამ არა, ჩვენ ხომ მეზობლებს უნდა გავუფრთხილდეთ და ერთადერთი მეზობელი, რომელსაც უნდა გავუბრაზდეთ, უნდა გავალიზიანოთ, უნდა ვეომოთ, რუსეთია.** ეს იმიტომ, რომ რუსეთის გინება მოდურია, რუსეთს თუ აგინებ, „კარგი ტიპი“ ხარ და თურქეთი, თუ 6 ჰექტრის „ახევას“ დააპირებს და ისე „აგახევს“, მადლობასაც გათქმევინებს და ბოდიშსაც მოგახდევინებს, აქამდე რომ ვერ შევძელი მიწის დაბრუნებაო, მაშინ რა გამოდიხარ?

**თამარის მეფობის პერიოდში თურქეთში ტრაბზონის იმპერია არსებობდა და იქ ქართველი იმპერატორი იჯდა. ვუთხრათ მაშინ თურქებს, დაგვიბრუნონ ტრაბზონი, აქეთ ვლადიკავკაზზე ვიდავოთ და იქით კიდევ — განჯასა და სომხეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე, მაგრამ არა — ჩვენ ხომ მეზობლებს უნდა გავუფრთხილდეთ და ერთადერთი მეზობელი, რომელსაც უნდა გავუბრაზდეთ, უნდა გავალიზიანოთ და ვეომოთ, რუსეთია. ეს იმიტომ, რომ რუსეთის გინება მოდურია, რუსეთს თუ აგინებ, «კარგი ტიპი» ხარ და თურქეთი, თუ ექვსი ჰექტრის ახევას დააპირებს და ისე აგახევს, მადლობასაც მოგახდევინებს და ბოდიშსაც, აქამდე რომ ვერ შევძელი მიწის დაბრუნებაო, მაშინ რა გამოდიხარ?**

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ თბილისში აღმაშენებლის გამზირი უკვე ოფიციალურად მივყიდეთ თურქებს და იქ ქართულ საუბარს იშვიათად თუ გაიგონებთ. ახლა მეტყვით, ეს ინვესტიციააო და **მაჩვენეთ ერთი ქვეყანა, ერთი მაინც, რომლის დედაქალაქში, ცენტრალური ქუჩა მთლიანად სხვა და თანაც ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს აქვთ ოკუპირებული; მაჩვენეთ ქვეყანა, რომლის იმ ქუჩაზე მდებარე დაწესებულებებში ადგილობრივებს არ შეუშვებენ; ქვეყანა, რომლის პრემიერი იტყვის, — ბარებში ქართველებს არ უშვებენ, არასრულწლოვნებს კი პროსტიტუციას აიძულებენო და ეს ამბავი მშვიდად ჩაივლის...** საქართველოს გარდა, არ არსებობს ასეთი ქვეყანა. ვერ მეტყვით მაგალითს ბოლო საუკუნის განმავლობაში, რომ რომელიმე ქვეყანას საკუთარი ნებით, ხელის ერთი მოწერით დაეთმოს 6 ჰექტარი მიწა. ეს **მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია კეთილმეზობლობისა და მშვიდობის სახელით სამშობლოს გაყიდვა, მიწის გაყიდვა, იმ მიწის, რომელზეც ჩვენი წინაპრების საძვალეა, რომლის სწორედ ერთი გოჯისთვის ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ, და იმ წინაპრების, რომლებმაც 12 აგვისტოს „ძლევაი საკვირველი“ გამოაცხვეს და ახლა ამის აღნიშვნის უფლებაც არ გვაქვს.**

და მთავარი — როცა ქვეყნის პირველი პირი გქვია, როცა სხვა ქვეყანაში ჩადიხარ და შენი ქვეყნის დროშას არ გახვედრებენ, სულ ცოტა, იზორიასავით მაინც უნდა აღშფოთდე და შეშფოთდე, თორემ შემდეგ დროშის ნაცვლად სარეცლის ზეწარი შეიძლება დაგახვედრონ და ეგებ დაგვიანებულიც იყოს ამ ფრაზის თქმა: „შენისთანა ღორისშვილის ცოლობას დათა თუთაშხიას საყვარლობა რომ სჯობია, თუ იცი ეს შენ?!“

დასასრულ, **„ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მხოლოდ ერთი საქმე აქვს — სძოვოს. ასი წელიწადია, ვბალახობთ, ჩვენი ერთადერთი ფუნქციაა ვჭამოთ, ვსვათ, შვილები ვზარდოთ. გათავდა. ასეთმა ფუნქციამ ძველი, ტრადიციული ზნეობა გადააგვარა და დღეს, თუკი ვისმე თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული აქვს, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ზნეობა უმდგრადესია სულიერ ღირსებათა შორის. აი, ჩემი აზრით, ეს დავკარგეთ, ქალბატონო ნანო. რანი ვართო, რომ ბრძანეთ, უდიდეს ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ: საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული, ყოფილი ერი...“**

**ესეც ჭაბუამ დაწერა...**

**ბესო ბარბაქაძე**

მსოფლიო

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოქალაქეები ევროპაში ტერაქტების საფრთხეზე გააფრთხილა

**მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ევროპაში ტერორისტული საფრთხის მაღალი დონე შენარჩუნდება, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.**

უწყება ამერიკის მოქალაქეებს აფრთხილებს და აღნიშნავს, რომ საფრანგეთში, რუსეთში, შვედეთსა და დიდ ბრიტანეთში მომხდარი ტერაქტები, რომლებიც „ალ ქაიდამ“ და ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ განახორციელეს, იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ევროპაში მორიგ თავდასხმას გეგმავენ.

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, ტერორისტული საფრთხის ყველაზე მაღალი დონე ტურისტულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, ტურისტულ ატრაქციონებზე, ბაზრებზე, სამთავრობო ოფისებსა და ინფრასტრუქტურულ ობიექტებზეა.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2016 წლის იანვარში ამ ორგანიზაციის საიტზე გამოქვეყნდა პეტიცია და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, ხოლო 2017 წლის მარტში მისმა წევრებმა დაარეგისტრირეს რელიგიური ორგანიზაცია „საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესია — ბიბლიური თავისუფლება“ (მის მრევლს სიმარტივისთვის „გირჩთაყვანისმცემლები“ ხომ არ ვუწოდოთ?). ეს ორგანიზაცია მსურველებს მღვდელმსახურების წოდებას ანიჭებს და, შესაბამისად, გაწვევის გადავადების შესაძლებლობას აძლევს.**

# «გირჩთაყვანისმცემლები»

**გასული კვირა დაიწყო ხანმოკლე, მაგრამ ფრიად ნერვული დებატებით რელიგიური ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ახალმა პოლიტიკურმა ცენტრმა „გირჩმა“ შექმნა. მასში გაერთიანება ახალგაზრდებს სამხედრო სამსახურის გადავადებაში ეხმარება, ვინაიდან ამის შესაძლებლობას „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ლ“-ქვეპუნქტი იძლევა: „წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ... არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში“. საინტერესოა, რა დგას ამ ნაბიჯის უკან — უწყინარი „ტროლინგი“ თუ სერიოზული პოლიტიკური გათვლა?**



„გირჩი“ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებას, პრაქტიკულად, დაარსების დღიდან მოითხოვს. 2015 წლის ივლისში **ზურაბ ჯაფარიძემ** შესაბამისი საკანონმდებლო წინადადება პარლამენტში დაარეგისტრირა, თუმცა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მის განხილვაზე მოგვიანებით უარი თქვა. „გირჩის“ ლიდერები ამ საკითხს მუდამ უბრუნდებოდნენ; 2016 წლის იანვარში ამ ორგანიზაციის საიტზე გამოქვეყნდა პეტიცია და სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, ხოლო 2017 წლის მარტში „გირჩის“ წევრებმა დაარეგისტრირეს **რელიგიური ორგანიზაცია „საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესია — ბიბლიური თავისუფლება“** (მის მრევლს სიმარტივისთვის „გირჩთაყვანისმცემლები“ ხომ არ ვუწოდოთ?). ეს ორგანიზაცია მსურველებს მღვდელმსახურების წოდებას ანიჭებს და, შესაბამისად, გაწვევის გადავადების შესაძლებლობას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ყველასთვის ცხადია, რომ ამ პრაქტიკას რელიგიასთან უშუალო კავშირი არ აქვს, „გირჩის“ მიერ გამოყენებული ხერხი აბსოლუტურად ლეგალურია. ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაშია, მას კანონში ჩაწერილი ფორმულირების უგულვებელყოფა არ შეუძლია. ის, სავარაუდოდ, მალევე „ამოქოლავს“ ამ იურიდიულ „ხვრელს“, თუმცა პრობლემა ამით არ მოიხსნება.

„გირჩი“ ცდილობს, ისარგებლოს იმ უკმაყოფილებით, რომელიც გაწვევის დღევანდელი სისტემის მიმართ მოსახლეობაში დაგროვდა. მას ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს:

**1.** მაღაჩინოსნების, შეძლებული და გავლენიანი მოქალაქეების შვილები ჯარში არ მიდიან, რაც სიტყვებს: „საყოველთაო“ და „სავალდებულო“ და თანმდევ პატრიოტულ სულისკვეთებას აზრს უკარგავს;

**2.** ჯარში წვევამდელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება, უმრავლესობა (დაახლოებით სამი მეოთხედი) შსს-ს, სასჯელაღსრულების სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სამსახურის სტრუქტურებში მსახურობს, სადაც ისინი ძირითადად გუშაგების ფუნქციებს ასრულებენ და ქვეყნის დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს პრაქტიკულად არ იძენენ.

ხელისუფლება, პრინციპში, არ მალავს, რომ ამ ახალგაზრდების გაწვევაში ერთ-ერთ მთავარ როლს ეკონომიკური ფაქტორი ასრულებს. „მშვიდობიანობის პერიოდში წვევამდელების გამოყენება სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში, ეს არის გარკვეული რესურსების ეკონომია და ღიად შევხედოთ ამას და ნუ გვგონია, რომ ეს არის ცუდი... ეს გაცილებით იაფი ხელია“, — განაცხადა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილმა** თავის ერთ-ერთ გამოსვლაში. მიუხედავად იმისა, რომ გუშაგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც უსარგებლო ფიგურა, და მას მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვს, საქართველოში მას ხშირად აგდებით უყურებენ, ხოლო „ვიშკაზე“ გატარებულ თვეებს წყალში გადაყრილად თვლიან. საბოლოო ჯამში, მოსახლეობის დიდი ნაწილი არსებულ სისტემას უვარგისად და უსამართლოდ მიიჩნევს, ხოლო ხელისუფლებას არ ძალუძს, მას უკეთესი ვარიანტი შესთავაზოს.

ამ განწყობის გამოყენება წინასაარჩევნოდ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა სცადა და ხელი მოაწერა ბრძანებას გაწვევის გაუქმების შესახებ, თუმცა მისი ნაბიჯი, ცხადია, ვერ გააუქმებდა გაწვევას როგორც ასეთს — დაცვის სამსახურსა და ზემოჩამოთვლილ სხვა უწყებებში ეს არაფერს ცვლიდა. შექმნილი სიტუაციიდან, როგორც ჩანს, ორად-ორი გამოსავალი არსებობს — **სავალდებულო სამსახური მართლაც ყველასთვის სავალდებულო უნდა გახდეს ან ყველა ძალოვანი უწყება საკონტრაქტო სისტემაზე უნდა გადავიდეს.**

პირველ ვარიანტს კორუფციასა და ნეპოტიზმში ჩაფლული ხელისუფლებისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, პრინციპში, სერიოზულად არც განიხილავს. რაც შეეხება მეორე გზას, ის მნიშვნელოვან ხარჯებს უკავშირდება. თეორიულად აუცილებელი სახსრების აკუმულირება ნამდვილად შესაძლებელია, მაგრამ რამდენიმე ბრიგადის დაკომპლექტება მაღალანაზღაურებადი „კონტრაქტნიკებით“ ყველა პრობლემას როდი ხსნის, რადგან დღის წესრიგში რეზერვისტების პრობლემა დგება, რომელთა მომზადება ახალ პირობებში შეიძლება გაცილებით ძვირი გამოდგეს. მთლიანობაში, რეფორმის შემდეგ ძალოვანი უწყებებისთვის შეიძლება დღევანდელზე 3-4-ჯერ უფრო დიდი საბიუჯეტო დაფინანსების გამოყოფა მოგვიწიოს, თუმცა, რაოდენ პარადოქსულად უნდა გაიჟღეროს, ფული ამ შემთხვევაში მთავარი არაა.

2017 წლის მარტში «გირჩის» წევრებმა დაარეგისტრირეს რელიგიური ორგანიზაცია «საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესია — ბიბლიური თავისუფლება» (მის მრევლს სიმარტივისთვის «გირჩთაყვანისმცემლები» ხომ არ ვუწოდოთ?)

ჯარის საკონტრაქტო სისტემაზე გადაყვანას მხარს უჭერენ ყველაზე თანმიმდევრულად ლიბერალური შეხედულებების მქონე მოღვაწეები — „გირჩი“, თინა ხიდაშელი, იქამდე ირაკლი ალასანია (ამ უკანასკნელის ლიბერალიზმი ფრიად ფარდობითია, მაგრამ მაინც). ვინაიდან უცხოელი პარტნიორები მათ ერთ-ერთ ყველაზე სასურველ თანამოსაუბრეებად განიხილავენ, ზოგს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი, რომ ინიციატივა სინამდვილეში საზღვარგარეთიდან მოდის. აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ — საკონტრაქტო არმია გაცილებით შორს დგას ხალხისგან, ვიდრე საყოველთაო გაწვევაზე დაფუძნებული და ეს პოლიტიკურ პროცესში შეიძლება მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს; საბრძოლო შესაძლებლობები აქ არაფერ შუაშია — მთავარია ჯარის ადგილი საზოგადოების სტრუქტურაში და მისი გამოყენების შესაძლებლობა პოლიტიკური მანიპულატორებისა და მათი უცხოელი მოკავშირეების მიერ. ვინაიდან ამ უკანასკნელთა დაინტერესების მტკიცებულებები არ არსებობს, ალბათ, ძირითად ვერსიად ისევ ადგილობრივი ლიბერალების პოპულისტური მისწრაფებები უნდა განვიხილოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება საკონტრაქტო ჯარის შედარებით მაღალი (გარკვეულ პირობებში) ბრძოლისუნარიანობის გათანაბრება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასთან — ზოგჯერ „ძველებური არმია“ ცუდად მომზადებული, მაგრამ მრავალრიცხოვანი რეზერვით შეიძლება უფრო ეფექტიანი გამოდგეს. საბოლოო ჯამში, არ ღირს საკონტრაქტო არმიის ან ამა თუ იმ მოდელის რეზერვის გაფეტიშება — კარგია ყველაფერი, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ზრდის და ამავე დროს არაპროპორციულად დიდ, ეკონომიკისთვის დამღუპველ ხარჯებს არ მოითხოვს. თუ საუკეთესო ვარიანტი საკონტრაქტო სისტემაა, ამ მიმართულებით უნდა წავიდეთ, ოღონდ ამისთვის პოპულისტური ლოზუნგები არ კმარა, აუცილებელია საფრთხეებისა და რესურსების შეფასება, განხილვა და განსჯა.

„გირჩის“ ნაბიჯს განსაკუთრებული რეზონანსი იმის გამო მოჰყვა, რომ საზოგადოების ნაწილს, ასე ვთქვათ, „შაბლონი გაეხლიჩა“ და ამის მიზეზი გახდა სხვაობა რელიგიური ორგანიზაციის ტრადიციულ ფუნქციებსა და „გირჩის“ მიერ მათ გამოყენებას შორის. ბევრს ოპონირების სურვილი გაუჩნდა, თუმცა პოლემიკაში ჩაბმულთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებდა, რომ მათი აღშფოთება და აპელირება მაღალი იდეალების მიმართ „გირჩს“ კი არ ვნებდა, არამედ, პირიქით — მისი ნაბიჯის მიმართ საზოგადოების ინტერესს ზრდიდა და ეხმარებოდა, მიზნობრივი აუდიტორიის, ლიბერალურად განწყობილი ახალგაზრდების თვალში მაქსიმალურად მომგებიანად წარმოჩენილიყო.

სავალდებულო სამსახური მართლაც ყველასთვის სავალდებულო უნდა გახდეს ან ყველა ძალოვანი უწყება საკონტრაქტო სისტემაზე უნდა გადავიდეს

კომენტატორები არცთუ იშვიათად იბნევიან, როდესაც „გირჩს“ ეხებიან. ისინი ვერ ხდებიან, ამ ჯგუფს სრული სერიოზულობით უნდა მიუდგნენ თუ ღიმილისმომგვრელ პოლიტიკურ კაზუსზე ისაუბრონ. **დღეს ბევრს უჭირს იმის წარმოდგენა, რომ „გირჩი“ ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვას მოახერხებს. ამას ორი მიზეზი განაპირობებს: „გირჩის“ ლიდერები წარსულში მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან და ეს ჯერჯერობით არავის დავიწყებია.** ამასთანავე, მკაფიოდ ლიბერალური შეხედულებები საქართველოში არც ისე პოპულარულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაბამის ელექტორალურ ნიშაში წარმატების მიღწევას არაერთი სხვა ჯგუფი ცდილობს. დღეს „გირჩი“ მომავალზე მუშაობს — როგორც ჩანს, მისი მიზანია, აჩვენოს, რომ ის „ყველაზე ლიბერალურია ლიბერალებს შორის“ და დაუმტკიცოს შესაბამისი იდეების მიმდევარ ახალგაზრდებს (ამა თუ იმ რაოდენობით ისინი ყველა ეპოქაში იარსებებენ), რომ მათი პოზიციის საუკეთესო გამხმიანებელია. ვინაიდან ის კონკურენტებზე გაცილებით ეფექტურ ტექნოლოგიებს იყენებს, რომელთა შორის მთავარ ადგილს კარგად მომზადებული საინფორმაციო პროვოკაცია (თუ გნებავთ — ტროლინგი) იკავებს, „გირჩს“ აქვს იმის პოტენციალი, რომ 3-5-წლიან პერსპექტივაში ერთ-ერთ ყველაზე ანგარიშგასაწევ „მცირე პარტიად“ იქცეს.

**მიუხედავად იმისა, რომ „გირჩს“ ვერ იტანს იმ ადამიანების დიდი ნაწილი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა, და ის კონსერვატორების უმრავლესობას არ მოსწონს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მან მოახერხა ხელისუფლებისა და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა იმ პრობლემის მიმართ, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებს. კიდევ რამდენიმე ასეთი ეპიზოდი და, ძველი პარტიების ყოვლისმომცველი კრიზისის ფონზე, „გირჩის“ რეიტინგი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს და ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვის ამბიცია გაუჩნდეს. ასე რომ, რა სასაცილოდ უნდა გამოიყურებოდეს პარტიის ოფისში კანაფის დათესვა ან უცნაური რელიგიური ორგანიზაციის შექმნა, „გირჩი“ სავსებით სერიოზულ პოლიტიკურ პროექტს წარმოადგენს.**

30 აპრილს საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის დღიდან 26 წელი შესრულდა. ალბათ, ყველამ ერთად უნდა მივულოცოთ ჩვენ სამხედროებს, რომლებმაც, ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის მიუხედავად, საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე უარი არ თქვეს, რელიგიურ ორგანიზაციაში წევრობა ან ცუდი ჯანმრთელობა არ მოიმიზეზეს და დღეს თითოეული ჩვენგანის უსაფრთხოებას იცავენ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თინა ხიდაშელმა სამხედრო ნაწილებში, რომლებშიც კი იყო, ეკლესიები გააუქმა, სამაგიეროდ, ბრძანა მეჩეთის აშენება და, თუ დაინტერესდებით, ამ ბრძანებულების ნომერიც შეიძლება მოიძიოთ. აი, ასეთი მოღალატე ხალხი გვიზის სათავეში და ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ თურქეთის ელჩი დიდგორის დღის უქმედ გამოცხადებას უკრძალავს პარლამენტს“.



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ეს მოღალატეობრივი პოლიტიკა თუ არ დასრულდა, საქართველოს დიდი ხნის არსებობა არ უწერია

**ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის“ მიერ დაფუძნებული რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“ ახალგაზრდებს, რომლებსაც ჯარში წასვლა არ სურთ, სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადებას ჰპირდება. აღნიშნული რელიგიური ორგანიზაცია „სასულიერო პირებს აკურთხებს“ და შესაბამის ცნობასაც გასცემს. ამ გზით ხუთმა „კურთხეულმა“ წვევამდელმა უკვე შეძლო სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ერთი წლით გადავადება და, როგორც „გირჩის“ წარმომადგენლები აცხადებენ, მსურველი კიდევ არაერთი ახალგაზრდაა. შეგახსენებთ, რომ სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ ის არის მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში. ზემოაღნიშნული ფაქტი კი იმის დასტურია, რომ სახელმწიფო „გირჩის“ მიერ „ნაკურთხ“ წვევამდელებს ოფიციალურად მღვდელმსახურებად აღიარებს... „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარ მამა გიორგის (რაზმაძეს) დაუკავშირდა.**

### ხელისუფლება, რომელიც ამ სექტებს აძლიერებს და კბილებით იცავს, ხოლო მეორე დღეს სააღდგომო ღამისთევაზე გარბის ეკლესიაში და პატრიარქის გვერდით სანთელს ანთებს, არის ფარისეველი

**მამა გიორგი (რაზმაძე):**
— ძალიან სერიოზული პრობლემაა ეს, მაგრამ პრობლემა თავისთავად „გირჩი“ კი არ არის და ის მარიხუანით გაჟღენთილი ავადმყოფი ადამიანები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში არიან, არამედ ხელისუფლება. მე ხელისუფლებასთან მაქვს შეკითხვები: რას აკეთებს მთავრობა, პარლამენტი? რას აკეთებენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები, რომლებსაც ხალხმა ანდო ქვეყნის მართვა? რატომ აძლევენ ამ აზროვნება გაუკუღმართებულ, ცნობიერება გამრუდებულ ადამიანებს ამის უფლებას? ხომ აშკარაა, რომ ეს ყველაფერი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციაა? მსგავს პროვოკაციებს ჩვენ ხშირად ვხედავთ. ჯერ იყო კრეტაზე ე.წ. მსოფლიო საეკლესიო კრების გამო ატეხილი სკანდალი, შემდეგ — „ციანიდის საქმე“, რომელიც, ღვთის წყალობით, ჩაეშალათ... ახლა გამოჩნდა „გირჩელი“ **ზურაბ ჯაფარიძე** და ახალგაზრდებს „მღვდლად“ აკურთხებს. სასაცილოა, მაგრამ სატირალია ის, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, გააძლიეროს ეს სექტები. დიდძალ ფულს იღებენ ამაში.

**— „გირჩის“ მიერ „ნაკურთხ“ ხუთ წვევამდელს თავდაცვის სამინისტრომ უკვე გადაუვადა ერთი წლით სამხედრო-სავალდებულო სამსახური. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ნიშნავს თუ არა იმას, რომ სახელმწიფო მათ ოფიციალურად აღიარებს სასულიერო პირებად?**

— სახელმწიფო არა მხოლოდ აღიარებს, ყველანაირად ხელს უწყობს და აძლიერებს ამ ორგანიზაციებს, მის წევრებს. ამიტომ ვამბობ, რომ **ხელისუფლება, რომელიც ამ სექტებს აძლიერებს და კბილებით იცავს, ხოლო მეორე დღეს სააღდგომო ღამისთევაზე გარბის ეკლესიაში და პატრიარქის გვერდით სანთელს ანთებს, არის ფარისეველი.**

რაც შეეხება სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადებას „გირჩის“ სექტანტებისთვის, **ეს არის პირდაპირ წახალისება და წაქეზება ახალგაზრდებისა, რაც შეიძლება მეტი რომ შევიდეს ამ სექტაში. მსგავსი წახალისება ხდებოდა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, როცა იეჰოველები არ მიჰყავდათ ჯარში და ეს იყო მოსყიდული შევარდნაძის მოღალატეობრივი პოლიტიკა.** იმავეს განაგრძობს დღევანდელი ხელისუფლებაც და არც უნდა გვიკვირდეს. ეს უკვე მემკვიდრეობით ხდება ჩვენს ქვეყანაში. სხვათა შორის, თავის დროზე, **თინა ხიდაშელმა სამხედრო ნაწილებში, რომლებშიც კი იყო, ეკლესიები გააუქმა. სამაგიეროდ, ბრძანა მეჩეთის აშენება და, თუ დაინტერესდებით, ამ ბრძანებულების ნომერიც შეიძლება მოიძიოთ. აი, ასეთი მოღალატე ხალხი გვიზის სათავეში და ამის შემდეგ რატომ გვიკვირს, რომ თურქეთის ელჩი დიდგორის დღის უქმად გამოცხადებას უკრძალავს პარლამენტს.** ცოტა ხანში გამოვლენ და გვეტყვიან, რომ არც აღდგომა უნდა ვიზეიმოთ, რადგან მუსლიმანების შეურაცხყოფააო. ყველაფერი აქეთ მიდის და სამწუხარო არის ის, რომ **ეს გადაგვარებული ხელისუფლება, რომელსაც უკვე აზროვნების უნარი წართმეული აქვს, ყველანაირად ცდილობს, თავი მოაწონოს ევროპას. კიდევ ვიმეორებ: ამაში იღებენ დიდძალ ფულს, დაწყებული რიგითი დეპუტატებიდან, დამთავრებული პრემიერითა და პრეზიდენტით;** ეს უნამუსო ადამიანები ქართველმა ხალხმა კინწისკვრით უნდა გამოყაროს კაბინეტებიდან. სხვა გამოსავალი არ არსებობს. როგორ შეიძლება, უცხო ქვეყნის ელჩი გკარნახობდეს დიდგორობის აღნიშვნა-არაღნიშვნას, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებას გარკვეული გარიგებები აქვს თურქეთთან და ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში დაიწყო, როცა ათასობით თურქს დაურიგეს საქართველოს მოქალაქეობა. კიდევ ვიმეორებ: **ეს მოღალატეობრივი პოლიტიკა თუ არ დასრულდა, საქართველოს დიდი ხნის არსებობა არ უწერია. ეს ყველაფერი ქვეყანას ძალიან მალე მიიყვანს სრულ კატასტროფამდე.**

### «ხელისუფლება, რომელიც ამ სექტებს აძლიერებს და კბილებით იცავს, ხოლო მეორე დღეს სააღდგომო ღამისთევაზე გარბის ეკლესიაში და პატრიარქის გვერდით სანთელს ანთებს, არის ფარისეველი»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# საქართველოს მოსახლეობამ კარგი ვერაფერი ნახა პროდასავლურ კურსში



**პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი ახალი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას აანონსებს. მისი განცხადებით, მხოლოდ ლიდერების ცვლილება საკმარისი არ არის და ძირეული გარდაქმნებისთვის საჭიროა პოლიტიკური სისტემის შეცვლა: „ეს იქნება ცენტრისტული პარტია, რომელიც სხვადასხვა ფლანგიდან რაციონალურ და ეფექტიან მიდგომებს მოუყრის თავს. იგი სახელისუფლო ბრძოლაში ჩაებმება ქვეყნის გაძლოლისთვის სრულფასოვნად მომზადებული პროგრამით და ჩრდილოვანი მთავრობებით და არა რამდენიმე ლიდერისა და რამდენიმე ლოზუნგის ამარა“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა. კონკრეტულად რა ცვლილებებზე საუბრობს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რა პოზიციას დაიკავებს ახალი სუბიექტი პოლიტიკურ ასპარეზზე და რომელ ძალებთან შეიძლება იგი სამომავლოდ გაერთიანდეს? კომენტარისთვის „საქართველო და მსოფლიო“ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს დაუკავშირდა.**

— დავით უსუფაშვილმა კი არა, რომ მოინდომოს, ღმერთსაც არაფერი გამოუვა რეალურად ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად, თუ პოლიტიკური ვექტორი არ შეიცვალა. დღეს ყველა პარტია, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, და მათ შორის ისიც, რომელიც ჯერჯერობით ჩანასახშია, მიმართულია ერთი კურსისკენ, ეს არის ევრო-ატლანტიკური კურსი. შესაბამისად, აქ ალტერნატივა არ არსებობს.

რაც შეეხება პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის მიერ დაანონსებული ახალი სუბიექტის შექმნას, **თუკი უსუფაშვილი პარტიის ჩამოყალიბებაზე საუბრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფულის, დაფინანსებისა და პოლიტიკური მხარდაჭერის საკითხი უკვე მოგვარებული აქვს თავის დასავლელ მამა-მარჩენლებთან; ან რა უნდა შექმნას უსუფაშვილმა ისეთი, რაც მართლა ახალი იქნება ჩვენს სინამდვილეში?..**

ვინ იქნებიან ან შეიძლება იყვნენ მისი მოკავშირეები? — ცხადია, ისევ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებსაც გასაყოფი არაფერი აქვთ რესპუბლიკელებთან არც იდეოლოგიურად, არც პოლიტიკურად და არც სხვა თვალსაზრისით. ეს იქნება რესპუბლიკური პარტია, შეიძლება სხვა სახეებითა და ლოზუნგებით, თუმცა ეჭვი მეპარება, უსუფაშვილი შეელიოს **ბერძენიშვილების** ფიზიონომიებს; ისინი, ალბათ, მაინც იქნებიან და რა ერქმევა პარტიას, რა მნიშვნელობა აქვს?! ასე რომ, უნდა თუ არა, იდეოლოგიური თვალსაზრისით უსუფაშვილი ყოველთვის იქნება გადანასკვული გარკვეულ ამერიკულ ძალებთან, იმიტომ, რომ სხვაგან ის ფულს ვერ იშოვის.

**— პოლიტიკური ვექტორის ცვლილება ახსენეთ. არის კი დღეს ქართველი საზოგადოება მზად ამისთვის?**

— ქართველი საზოგადოება ელის ახალ სიტყვას და ეს ახალი სიტყვა იქნება სწორედ პოლიტიკური ვექტორის შეცვლა. აქ, მზადყოფნაზე კი არა, აუცილებლობაზეა ლაპარაკი, რადგან ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მოსახლეობამ კარგი ვერაფერი ნახა პროდასავლურ კურსში. პირიქით — რაც უბედურება მოიტანა ამ კურსმა, იმას ტირის დღეს ქართველი ხალხი. ჩვენ გვჭირდება ნორმალური ურთიერთობა მეზობლებთან, უწინარესად — რუსეთთან. ამის შესრულების პირობას დებდა თავის დროზე „ოცნება“, მაგრამ მან ეს არ ან ვერ შეასრულა. არც არის დღეს ვინმე ამის შემსრულებელი, ამიტომ ამ მოცემულობისა და პოლიტიკური ვექტორის პირობებში სიახლეს არ უნდა ველოდოთ. უსუფაშვილი იქნება, ბერძენიშვილი თუ ვინმე სხვა, მნიშვნელობა არ აქვს, ყველა თამაშობს ერთ თამაშს. ამას არც მალავენ, ამიტომ აქვს ხალხს ყელში ამოსული ეს ყველაფერი.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

სხოზს სახელისა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტარიელ ხეჩიკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ლამის ყოველწლიურად არეგისტრირებდა ახალ-ახალ ბიზნესს. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რა ტერორში იყო „ნაციონალების“ მმართველობისას ბიზნესი და თითქმის ყველამ, ვისაც ნაციონალები არ „კრიშავდნენ“ ან რეჟიმთან ახლო ურთიერთობაში არ იყო, ბიზნესი დაკარგა. როგორც ჩანს, „ოცნების მილიონერ მინისტრსაც“ ახლო ურთიერთობა ჰქონდა სააკაშვილის რეჟიმთან.**

# რატომ აქვს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს თითქმის მთელი ქონება მეუღლის სახელზე გაფორმებული

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე სოციალურ შემწეობასა და პენსიაზეა დამოკიდებული, რომელიც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ლამის მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა პარლამენტსა თუ მთავრობაში მილიონერების სიმცირეს არ ვუჩივით. მილიონერ მაღალჩინოსანთა შორის არის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, რომლის ქონებაც, სხვადასხვა მონაცემით, 11 253 000 ლარია.**



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** 1970 წლის 13 თებერვალს თბილისში დაიბადა. მისი მეუღლე **ეკატერინე ინასარიძეც** თბილისშია დაბადებული 1971 წლის 20 ივნისს; შვილები: **თამარ, რუსუდან, დავით, გიორგი, ცოტნე, იოანე** და **მარიამ ხეჩიკაშვილებიც** თბილისში დაიბადნენ, ყველაზე უფროსი — 1996 წელს, პატარა კი — 2014 წელს. ტარიელ ხეჩიკაშვილს ქონებრივი დეკლარაცია 2016 წლის 8 ივლისს შეუვსია.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ქონების ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა მთელი ქონება მინისტრის მეუღლის სახელზეა გაფორმებული. 63.21 კვ.მ ბინა შავი ზღვის ქუჩაზე მინისტრის მეუღლის საკუთრებაა. ეკატერინე ინასარიძის სახელზეა გაფორმებული 1177.51 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე; 1200 კვ.მ მიწის ნაკვეთი — საგურამოში; 1000 კვ.მ მიწას ფლობს ეკატერინე ინასარიძე დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე. იმავე ტერიტორიაზე 142.81 კვ.მ ბინისა და 800 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის მფლობელიც ეკატერინე ინასარიძე გახლავთ. ერთადერთი უძრავი ქონება, რომელიც მილიონერი მინისტრის სახელზეა გაფორმებული, არის 18 კვ.მ ფართობის ავტოფარეხი, თუმცა მინისტრს, დეკლარაციის თანახმად, ავტომობილი არ ჰყავს. volkswagen tiguan-ის (გამოშვების წელი 2011) მფლობელია მინისტრის მეუღლე ეკატერინე ინასარიძე.

ტარიელ ხეჩიკაშვილი სააქციო საზოგადოება „ვივი“-ში ფლობს აქციებს. შთამბეჭდავია ხეჩიკაშვილების წყვილის საბანკო ანგარიშებიც: ტარიელ „საქართველოს ბანკში“ ხეჩიკაშვილის მიმდინარე ანგარიშზე 8689.52 აშშ დოლარი ერიცხება. ასევე „საქართველოს ბანკში“ მინისტრის მიმდინარე ანგარიშზეა 2563.48 ლარი. კიდევ ერთ ანგარიშზე იმავე ბანკში ხეჩიკაშვილს 3479.02 აშშ დოლარი აქვს. ეკატერინე ინასარიძეს „საქართველოს ბანკში“ „ვიზა ინფინიტის“ ანგარიშზე 22.97 ლარი და 80.80 აშშ დოლარი ერიცხება. მინისტრის მეუღლეს „ვი-თი-ბი ბანკში“ მიმდინარე ანგარიშზე 90 450 აშშ დოლარი ერიცხება, ხოლო ანაბარზე დარიცხული თანხა ამავე ბანკში 25000 აშშ დოლარია. „ვი-თი-ბი ბანკში“ ეკატერინე ინასარიძეს კიდევ რამდენიმე ანაბარი აქვს გახსნილი. მათზე დარიცხული თანხებია: 25 000 აშშ დოლარი; 50 000 აშშ დოლარი და 50 000 აშშ დოლარი. „რესპუბლიკა ბანკში“ საკრედიტო ბარათზე ინასარიძის დებეტი 14235.46 აშშ დოლარს შეადგენს. „რესპუბლიკა ბანკში“ კი მიმდინარე ანგარიშზე 885.53 ლარი ერიცხება. ამავე ბანკში მინისტრის მეუღლის კიდევ ერთ მიმდინარე ანგარიშზე 680.90 აშშ დოლარი ირიცხება. ტარიელ ხეჩიკაშვილის დებეტი „საქართველოს ბანკში“ საკრედიტო ბარათზე 411 166.40 აშშ დოლარია. „თი-ბი-სი ბანკში“ კი მიმდინარე ანგარიშზე მას 44602.28 აშშ დოლარი აქვს. „თი-ბი-სი ბანკში“ მინისტრის დებეტები 44215.40 და 277760 აშშ დოლარითაა განსაზღვრული.

საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის ბიზნესსაქმიანობაც. **ტარიელ ხეჩიკაშვილი შპს „ავტო სერვის კავკასიას“ პარტნიორია უვადოდ. აღსანიშნავია, რომ შპს „ავტო სერვის კავკასია“ 2008 წლის 25 აგვისტოს დარეგისტრირდა და მოქმედი მინისტრის პარტნიორობაც მაშინ განისაზღვრა უვადოდ; მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობა ომის შედეგად მიყენებული ტკივილის მოშუშებას ცდილობდა, ხეჩიკაშვილი ბიზნესსა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობდა.** ხეჩიკაშვილი პარტნიორია შპს „ავტოსტილის“, რომელიც 2007 წელს დარეგისტრირდა. მინისტრი „შპს კავკასუს მოტორსის“ პარტნიორიც გახლავთ, რომელიც 2011 წელსაა დარეგისტრირებული და მისი მონაწილეობა ამ შემთხვევაშიც უვადოდ განისაზღვრება. 2009 წელს დარეგისტრირებულ შპს „იბერია ავტოს“ პარტნიორი (უვადოდ) ხეჩიკაშვილი 2010 წელს გახდა. 2010 წელს დარეგიტრირდა შპს „იბერია ავტო ცენტრი“, რომლის პარტნიორიც ასევე უვადოდ არის ბატონი ხეჩიკაშვილი. „იბერია ავტო ცენტრიდან“ მისი წლიური შემოსავალ 2 647 368 ლარს შეადგენს. მინისტრი შპს „იბერია ავტო ჰაუსის“ პარტნიორიც გახლავთ, რა თქმა უნდა, უვადოდ. ზემოთ ხსენებული შპს 2004 წელსაა დარეგისტრირებული. 2007 წელს დარეგისტრირებულ შპს „იბერია ავტო ლენდის“ პარტნიორიც არის „ოცნების ხელისუფლების“ წარმომადგენელი, ამ შემთხვევაშიც მისი პარტნიორობის ვადა განუსაზღვრელია. ტარიელ ხეჩიკაშვილი შპს „იბერია სერვისის“ პარტნიორიცაა, რომელიც 2002 წელს არის დარეგისტრირებული და სპორტის მინისტრის პარტნიორობაც აღნიშნული პერიოდიდან უვადოდ განისაზღვრება. შპს „სენა ავტო“ იმ ჩამონათვალშია, რომელშიც ხეჩიკაშვილი უვადო პარტნიორია. შპს „კია მოტორს ჯორჯია“ 2007 წელს დარეგისტრირდა, მილიონერი მინისტრის პარტნიორობა აქაც უვადოდ განისაზღვრება. **შპს „კია მოტორს ჯორჯიადან“ მისი წლიური შემოსავალი 5 606 250 ლარია.** შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფიც“ ხეჩიკაშვილის სახელთან ასოცირდება, იგი აქაც უვადო პარტნიორია. შპს „სითი სპორტი“ 2007 წელს დარეგისტრირდა და სპორტის მინისტრის პარტნიორობა ამ შემთხვევაშიც უვადოდ განისაზღვრება. ხეჩიკაშვილი 2011 წელს დარეგისტრირებულ შპს „ფეხბურთის საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის“ პარტნიორიცაა, რა თქმა უნდა, აქაც უვადოდ. 2007 წელს დარეგისტრირდა შპს „იბერია ინვესტი“, „ოცნების მინისტრის“ პარტნიორობა აქაც უვადოდ განისაზღვრება. შპს „იტა სერვისი“ 2013 წელს დარეგისტრირდა და ხეჩიკაშვილი ამ ბიზნესის პარტნიორიცაა. შპს „კრეს ავტო ჰაუსის“ პარტნიორი 2004 წელს ეკატერინე ინასარიძე გახდა. 2013 წელს დარეგისტრირებულ შპს „სპორტ ინვესტის“ პარტნიორიც მინისტრის მეუღლეა, პარტნიორობის ვადა აქაც უვადოდ განისაზღვრება. ტარიელ ხეჩიკაშვილი 2010 წელს დარეგისტრირებულ შპს „სპორტულ კლუბ ოლიმპის“ პარტნიორია უვადოდ. 2005 წლიდან შპს „იბერია სითის“ პარტნიორია ეკატერინე ინასარიძე. იგი 1996 წელს დარეგისტრირებული შპს „ტაროს“ პარტნიორია 2015 წლიდან — მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი გახდა. ტარიელ ხეჩიკაშვილი შპს „კავკასიის ავტო ცენტრის“ პარტნიორიცაა. ეკატერინე ინასარიძე გახლავთ პარტნიორი ბიზნესებისა: შპს „იბერმობილში“; შპს „იბერია სერვისში“; შპს „იბერია ტექ ავტომოტივში“ და „სპორტ სალერ ცენტრში“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხეჩიკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ლამის ყოველწლიურად არეგისტრირებდა ახალ-ახალ ბიზნესს. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რა ტერორში იყო ნაციონალების მმართველობისას ბიზნესი და თითქმის ყველამ, ვისაც „ნაციონალები“ არ „კრიშავდნენ“ ან რეჟიმთან ახლო ურთიერთობაში არ იმყოფებოდა, ბიზნესი დაკარგა. როგორც ჩანს, „ოცნების მილიონერ მინისტრსაც“ ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონდა სააკაშვილის რეჟიმთან.

**ტარიელ ხეჩიკაშვილი შპს «ავტო სერვის კავკასიას» პარტნიორია უვადოდ. აღსანიშნავია, რომ შპს «ავტო სერვის კავკასია» 2008 წლის 25 აგვისტოს დარეგისტრირდა და მოქმედი მინისტრის პარტნიორობაც მაშინ განისაზღვრა უვადოდ; მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობა ომის შედეგად მიყენებული ტკივილის მოშუშებას ცდილობდა, ხეჩიკაშვილი ბიზნესსა და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობდა**

ტარიელ ხეჩიკაშვილის წლიური შემოსავალი „იბერია ბიზნეს ჯგუფის“ პრეზიდენტობიდან 87816.06 ლარია. შპს „ავტო ლიზინგ ჯორჯია“ ბიზნეს კონსულტანტობიდან — 6883.75 ლარი, ხოლო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის წლიური შემოსავალი 50 000 ლარია.

ტარიელ ხეჩიკაშვილის სასესხო ვალდებულებების ნუსხა კი ასეთია: 800 000 ლარი, გასავალი ნული ლარი, 250 250 ლარზე წლიური გასავალი 559 016 ლარი; 600000 ლარიან სესხზე მინისტრის წლიური გასავალი 1327896 ლარია; 150000 ლარზე გასავალი — 420223 ლარი; 450000 ლარზე კი ხეჩიკაშვილის წლიური გასავალი 326029 ლარს შეადგენს. ეკატერინე ინასარიძეს უძრავი ქონება 70 500 აშშ დოლარად შეუძენია, მის მიერ ნასყიდობის სანაცვლოდ დაფიქსირებული გასავალი კი 15000 აშშ დოლარია. 513000 აშშ დოლარის ოდენობის იპოთეკური სესხი აქვს „საქართველოს ბანკში“ მილიონერ მინისტრს და აღნიშნულ სესხში მისი წლიური გასავალი 81979.55 აშშ დოლარია.

ტარიელ ხეჩიკაშვილს შპს „კავკასიის ავტოცენტრის“ კაპიტალიდან 838500 ლარად წილი შეუსყიდია. შპს „იბერია ავტოს“ კაპიტალში წილის ყიდვა 50000 ლარი დასჯდომია. ეკატერინე ინასარიძე შპს „იბერმობილის“ კაპიტალში უყიდია წილი 225000 ლარად. მინისტრს წილი შპს „იბერია სერვისის“ კაპიტალში 450 000 ლარად შეუძენია. მის მიერვე იქნა შეძენილი წილი შპს „იბერია ტექ ავტო მოტივის“ კაპიტალში 374775.04 ლარად.

ტარიელ ხეჩიკაშვილს საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი იურიდიული პირის კაპიტალში წილის მართვა და მითითებული იურიდიული პირების კაპიტალში წილის განკარგვა **ავთანდილ ხეჩიკაშვილისთვის** მიუნდვია. მინდობილობა 2015 წელს გაფორმდა.

შპს „იბერია ბიზნეს ჯგუფში“ მოთხოვნების გაქვითვის საფუძველზე ხეჩიკაშვილის გასავალი 1327896 ლარია. საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში“ ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შედეგად მინისტრის გასავალი 1327896 ლარია. შპს „სპორტ ინვესტში“ ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შედეგად ხეჩიკაშვილის გასავალი 1327896 ლარია. ეკატერინე ინასარიძეს შპს „სპორტ სალერ ცენტრის“ კაპიტალიდან წილი 1 ლარად გამოუსყიდია, შპს „ტარო“-დან კი წილის გამოსასყიდად 11 ლარი გადაუხდია. „ბანკ რესპუბლიკაში“ ინასარიძის სესხი 24000 აშშ დოლარია და მისი წლიური გასავალი ამ სესხზე 3393.26 აშშ დოლარია. ტარიელ ხეჩიკაშვილს 280000 აშშ დოლარი სესხი „თი-ბი-სი ბანკში“ აქვს, მისი გასავალი აღნიშნულ სესხზე დეკლარაციის შევსების დროს ნული ლარი იყო.

ტარიელ ხეჩიკაშვილის ქონების გადასახადი 7120 ლარი გადაუხდია, ქველმოქმედებისთვის კი მისი გასავალი 60 000 და 35 000 ლარია.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს განათლება სამოქალაქო ინსტიტუტ „კაბადონში“ 1997-2002 წლებში მიუღია, პროფესიით სამართალმცოდნეა.

პროფესიული გამოცდილება კი ასეთია:

* 1995-1999 წწ. — შპს „ტარო“-ს დამფუძნებელი, პარტნიორი და დირექტორი;
* 1999-2001 წწ. — შპს „იბერმობილის“ დამფუძნებელი, პარტნიორი და დირექტორი;
* 2001-2015 წწ. — „იბერია ბიზნეს ჯგუფი“, დამფუძნებელი;
* 2001-2015 წწ. — „იბერია ბიზნეს ჯგუფი“, საფეხბურთო კლუბი „საბურთალოსა“ და ავტობაზრობის (ქ. რუსთავი) მფლობელი.

**გიორგი გელაშვილი**

**„გოგაშვილმა თავის დროზე ძალიან დიდი როლი ითამაშა ირაკლი ღარიბაშვილის შეცვლაში და, პრაქტიკულად, მისი ბინძური, შავბნელი საქმიანობის „დამსახურებაა“, რომ „ქართულ ოცნებას“ დღეს საზოგადოებაში გულშემატკივარი არ ჰყავს. საერთოდ, ძალიან ბოღმიანი ადამიანია და თავისი ამ ოთხწლიანი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში, თუკი ვინმე არ მოსწონდა და თვალში არ მოსდიოდა, ყველა გაცხრილა „ოცნებიდან“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე იოსებ გოგაშვილის ცოლისდის — ხათუნა მარტყოფლიშვილის სახელზე 2016 წლის აგვისტოში შემდეგი უძრავი ქონება გაფორმდა: 105 ათასი კვ.მ მიწა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მაჩხაანში; 350 ათასი კვ.მ მიწა სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში; 7 მიწის ნაკვეთი შირაქში, რომლის ჯამური ფართობია 1 მლნ 300 000 კვ.მ და თბილისში, ცაგარელის ქუჩაზე მდებარე ბინა. ჟურნალისტური გამოძიებით ირკვევა, რომ ხათუნა მარტყოფლიშვილი, რომლის სახელზეც აღნიშნული ქონება გაფორმდა, უმუშევარია და მას საკუთარი სახლიც არ აქვს. იგი დღემდე თბილისში, დობროლუბოვის ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. საიდან ფლობს ხათუნა მარტყოფლიშვილი ზემოაღნიშნულ ქონებას და აქვს თუ არა ამ ყველაფერს კავშირი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე იოსებ გოგაშვილთან, გვესაუბრება პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ლადო სადღობელაშვილი:**

# «თურმე «ოცნება» იმისთვის აურჩევია ხალხს, რომ სოსო გოგაშვილსა და მისნაირებს მილიონები ეშოვათ»



— დავიწყოთ თავიდან, ვინ იყო სოსო გოგაშვილი. ადრე ეს პიროვნება გახლდათ რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, მაგრამ, პრაქტიკულად, არსად ჩანდა. შემდეგ მას ჰქონდა საკუთარი წვრილი ბიზნესი. მე ეს ინფორმაცია მაქვს ერთ-ერთი პოლიტპატიმრისგან, რომლის რესტორანშიც ის ხორცს აბარებდა, ანუ გოგაშვილს რეალურად არც აინტერესებდა პოლიტიკა, მაგრამ მოდის **ბიძინა ივანიშვილი,** ქმნის კოალიციას და გოგაშვილი თავის ვიწრო ჯგუფთან ერთად ხდება ამ პარტიის წევრი. სხვათა შორის, იმხანად ამბობდნენ, რომ ის იყო „ნაციონალების“ მირ ჩანერგილი „ოცნებაში“, რათა იქიდან ინფორმაცია წამოეღო. შემდეგ ის მუშაობდა შს სამინისტროში და, როგორც ამბობდნენ, გარკვეული კომპრომატები მიიტანა ივანიშვილთან **ჯანყარაშვილის** წინააღმდეგ. სწორედ ამ კომპრომატების საფუძველზე გაათავისუფლეს ჯანყარაშვილი თანამდებობიდან. საზოგადოდ, ეს პიროვნება, გოგაშვილს ვგულისხმობ, ყოველთვის გამოირჩეოდა ასეთი ბინძური ხერხებით ინტრიგების ხლართვით. **გოგაშვილმა თავის დროზე ძალიან დიდი როლი ითამაშა ირაკლი ღარიბაშვილის შეცვლაში და, პრაქტიკულად, მისი ბინძური, შავბნელი საქმიანობის „დამსახურებაა“, რომ „ქართულ ოცნებას“ დღეს საზოგადოებაში გულშემატკივარი არ ჰყავს. საერთოდ, ძალიან ბოღმიანი ადამიანია და თავისი ამ ოთხწლიანი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში, თუკი ვინმე არ მოსწონდა და თვალში არ მოსდიოდა, ყველა გაცხრილა „ოცნებიდან“...**

ძალაუფლება და სამსახურეობრივი მდგომარეობა მას საშუალებას აძლევს, კანონის გვერდის ავლით ხელში ჩაიგდოს დიდი ქონება. **კაცი, რომელიც, ფაქტობრივად, იყო სოციალურად დაუცველი და ცხოვრობდა გაჭირვებაში, უცებ ხდება მილიონერი. საიდან, როგორ? ყველაფერი იწყება მას შემდეგ, რაც ის სუს-ში მივიდა. აი ზუსტად ამის შემდეგ აღწევს მისი ქონება მილიონებს; თქვენ უნდა ნახოთ მისი ვაჟის ქორწილის კადრები, ეს არის ზღაპრული ქორწილი, რომელშიც ჩანს ნამდვილი ფუფუნება...**

**— გაქვთ ინფორმაცია, კონკრეტულად რა ქონებაზეა საუბარი?**

— მაგალითად, **გოგაშვილის ცოლისდის სახელზეა გაფორმებული კახეთში 1 მილიონ 300 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. ეს რას ნიშნავს, იცით? ერთი კვადრატული, სულ მცირე, 5 ლარი ხომ ღირს, მისი ქონება უკვე აღწევს 75 მილიონ ლარს. ამას დაუმატეთ სამსართულიანი სახლი, რომელიც მხატვრების უბანშია, და ოროთახიანი ბინა საბურთალოზე, რომელიც თავის ვაჟს გადასცა მას შემდეგ, რაც ცოლი მოიყვანა.** სხვათა შორის, 2016 წლიდან გოგაშვილის ქონებრივი დეკლარაცია სუფთავდება და არ ჩანს ძალიან ბევრი რამ, რაც წინა დეკლარაციებში ჩანდა, მაგალითად, ორი საკმაოდ ძვირად ღირებული ავტომობილი. მისი შვილები და მეუღლე დასაქმებულები არიან ისეთ სამსახურებში, სადაც საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ. მოკლედ, **თამამად შემიძლია „მივულოცო“ საქართველოს კიდევ ერთი მულტიმილიონერის შემატება სოსო გოგაშვილის სახით.** კაცმა, რომელიც ფაქტობრივად იყო სოციალურად დაუცველი, წელიწად-ნახევარში მოახერხა და რამდენიმე ათეული მილიონის ქონება ჩაიგდო ხელში. განმკითხავიც არავინაა, არავინ სვამს კითხვებს: საიდან მოიტანა, სად იშოვა, რა დამსახურება აქვს ასეთი?.. ალბათ, მას აქვს გარკვეული კომპრომატები მათზე, ვინც პასუხი უნდა მოსთხოვოს და გამოიძიოს ეს ყველაფერი...

**— განმკითხავში ვის გულისხმობთ, რა უნდა გაკეთდეს?**

— ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ გული მტკივა. **როცა გარშემო ამდენი გაჭირვებული და გაუბედურებული ადამიანია, სახელმწიფო მოხელე მილიონებს არ უნდა შოულობდეს ამ გაჭირვებული ხალხის ხარჯზე.** გახსოვთ, ალბათ, რა განაცხადა თავის დროზე **ბიძინა ივანიშვილმა**, როცა წინა რეჟიმის მიერ დაზარალებული მოქალაქეებისთვის წართმეული ქონების დაბრუნებაზე იყო საუბარი: სახელმწიფოს არ აქვს საშუალება, რომ ეს ქონება დააბრუნოსო. ამ დროს რას ვხედავთ — **თურმე „ოცნება“ იმისთვის აურჩევია ხალხს, რომ სოსო გოგაშვილსა და მისნაირებს მილიონები ეშოვათ.**

**— კომპრომატები ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, გოგაშვილს რაიმე კომპრომატი ჰქონდეს მაღალჩინოსნებზე?**

— ცოტა ხნის წინათ **ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მითხრა, რომ გოგაშვილს აქვს კომპრომატები რამდენიმე მაღალჩინოსანზე. აი, ამის გამო ვერ ახერხებენ მის გადაყენებას თანამდებობიდან, ეშინიათ, რომ მან ეს კომპრომატები არ გამოამზეუროს.** რაც შეეხება შეკითხვას, რა შეიძლება გაკეთდეს ამ პიროვნების წინააღმდეგ, **თავმოყვარე ერი რომ ვიყოთ და თავმოყვარე ხელისუფლება გვყავდეს, აღიძრებოდა სისხლის სამართლის საქმე, ჩატარდებოდა გამოძიება და საბოლოოდ გაირკვეოდა, საიდან ფლობს ამ პიროვნების ცოლისდა, რომელიც უმუშევარია და ფაქტობრივად არანაირი შემოსავლის წყარო არ აქვს, ამხელა ქონებას.** აქვე მინდა, საზოგადოებას მივაწოდო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მოგეხსენებათ, სააკაშვილის პერიოდში საუბარი იყო ნარკოკარტელზე, რომელსაც ნარკოტიკები გადაჰქონდა საქართველოს გავლით და ამ დერეფანს აკონტროლებდნენ **მერაბიშვილი** და **ახალაიები.** იყო შემთხვევები, როცა კუდის იმჟამინდელ უფროს **ერეკლე კოდუას** პირადად მიუცილებია საზღვრამდე ნარკოტიკით დატვირთულ ტრაილერი. ასე კეთდებოდა მილიონები. თუმცა მას შემდეგ, რაც სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა, გახშირდა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების ფაქტები და ბოლო ხანს ხშირად იჭერენ ადამიანებს ამ ფაქტზე, ანუ რისი თქმა მინდა: **ჩვენს ქვეყანაში დღესაც შემოდის დიდი ოდენობით ნარკოტიკი და ამ ნარკოტიკების გასაღების ერთ-ერთი „კრიშა“ არის სწორედ გოგაშვილი, რომელიც, სულ რაღაც, წელიწად-ნახევარში კოლოსალურად გამდიდრდა. აი, ეს არის პასუხი შეკითხვაზე, საიდან შეიძლება ჰქონდეს ამ პიროვნებას ამდენი ფული და ეს ყველაფერი ძალიან დიდი სირცხვილია.** ეს განუკითხაობა უნდა დასრულდეს და კარგი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფლების მამა, ბიძინა ივანიშვილი, დაინტერესდება, რა ხდება ქვეყანაში და რა შავ-ბნელ საქმეებს ატრიალებენ მისი მოყვანილი ჩინოსნები, ას და ორასდოლარიანი სილიკონიანი „პუტანკებით“ რომ გამოტენეს სამინისტროები. საკრებულოდან დაწყებული, პარლამენტით თუ სამინისტროებით დამთავრებული, ყველგან მეძავები ჰყავთ მდივნებად დასმული. აი ამას მიხედონ. **მივმართავ, ვთხოვ ბიძინა ივანიშვილს, რომ ამ ყველაფერს წერტილი დაუსვას ერთხელ და სამუდამოდ. ასე გაგრძელება არ შეიძლება. ამას ძალიან ცუდი შედეგები მოჰყვება...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ჩვენს ქვეყანაში დღესაც შემოდის დიდი ოდენობით ნარკოტიკი და ამ ნარკოტიკების გასაღების ერთ-ერთი «კრიშა» არის სწორედ გოგაშვილი, რომელიც, სულ რაღაც, წელიწად-ნახევარში კოლოსალურად გამდიდრდა. აი, ეს არის პასუხი შეკითხვაზე, საიდან შეიძლება ჰქონდეს ამ პიროვნებას ამდენი ფული და ეს ყველაფერი ძალიან დიდი სირცხვილია!»**

**«გოგაშვილის ცოლისდის სახელზეა გაფორმებული კახეთში 1 მილიონ 300 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. ეს რას ნიშნავს, იცით? ერთი კვადრატული, სულ მცირე, 5 ლარი ხომ ღირს, მისი ქონება უკვე აღწევს 75 მილიონ ლარს. ამას დაუმატეთ სამსართულიანი სახლი, რომელიც მხატვრების უბანშია, და ოროთახიანი ბინა საბურთალოზე, რომელიც თავის ვაჟს გადასცა მას შემდეგ, რაც ცოლი მოიყვანა»**

## «სამარცხვინოა, როდესაც ევროპის მიბაძვით გამარჯვების დღეს 8 მაისს აღნიშნავენ»

**„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ფაშიზმზე გამარჯვების დღის 8 მაისს აღნიშვნას სამარცხვინო პროვინციალიზმი უწოდა.**

„სამარცხვინო პროვინციალიზმია, როდესაც საქართველოში გამარჯვების დღეს ევროპელების მიბაძვით 8 მაისს აღნიშნავენ. ეს არის ისტორიის საოცარი უცოდინარობა. ევროპა გამარჯვების დღეს 8 მაისს იმიტომ კი არ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ჯინაზე სხვა დროს უნდა აღნიშვნა, უბრალოდ, იმიტომ რომ როდესაც კაპიტულაციის აქტს მოეწერა ხელი, მაშინ საბჭოთა კავშირში უკვე 9 მაისი იყო, ხოლო ევროპაში ღამის 12 საათი შესრულებული ჯერ არ იყო. უცოდინარობის სამარცხვინო პროვინციალიზმის მოწმენი ვხდებით ხელისუფლებისა და ე.წ. პროდასავლური პარტიების მოქმედების შედეგად“. — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. კაპიტულაციას ხელი 1945 წლის 9 მაისს მოეწერა. ამით დასრულდა მეორე მსოფლიო ომი, რომელიც 1939 წელს დაიწყო.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როგორი მხარდაჭერაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი დასავლელი მარჩენლებისგან, მათ არ აქვთ მთავარი – საზოგადოების, ქართველი ხალხის თანადგომა. აი, ეს არის გადამწყვეტი და ნებისმიერი მათი მცდელობა იმთავითვე განწირულია კრახისთვის. მათი პერსპექტივა ნულია, ქართველი საზოგადოება ამ პოლიტიკურ ჭიაყელებს საბოლოოდ დაასამარებს“.



## ელიზბარ ჯაველიძე:

# გასაკვირი არ არის, მკვდარი მკვდარს აეკიდოს და ალასანია უსუფაშვილთან გაერთიანდეს

**გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ახალი ცენტრისტული პარტიის შექმნა დააანონსა და მონათესავე იდეოლოგიის სუბიექტებს სათანამშრომლოდ უხმო, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერს — ირაკლი ალასანიას შეხვდა. ალასანიამ ეს შეხვედრა დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან კონკრეტულ პოლიტიკურ გეგმებზე არ უსაუბრია. „პოლიტიკურ გეგმას ეს შეხვედრა არ უკავშირდებოდა. შემთხვევითი შეხვედრა იყო მეგობართან“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ. ვიხილავთ თუ არა ახალ კოალიციაში ერთად უსუფაშვილსა და ალასანიას, იყო თუ არა მათი შეხვედრა „შემთხვევითი“ და რა გეგმები შეიძლება მათ სამომავლოდ ჰქონდეთ — ამ საკითხებზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ პუბლიცისტსა და მეცნიერს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს დაუკავშირდა.**



**«უსუფაშვილი არის საპნის ბუშტი, რომელიც, დიდი ხანია, გასკდა და, ალასანია კი არა, ასი ალასანია რომ შეიყვანოს თავის გაერთიანებაში, ვერ უშველის. ისინი პოლიტიკური გვამები არიან»**

**ელიზბარ ჯაველიძე:** — არ ვიცი, რა პარტია იქმნება და ვინ ერთიანდება მასში, ან რა უნდათ, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. უსუფაშვილი ჩემთვის არის საპნის ბუშტი, რომელიც, დიდი ხანია, გასკდა და, ალასანია კი არა, ასი ალასანია რომ შეიყვანოს თავის გაერთიანებაში, ვერ უშველის. ისინი პოლიტიკური გვამები არიან.

რაც შეეხება იმ პარტიებს, რომლებიც შეიძლება, გაერთიანდნენ უსუფაშვილთან, დარწმუნებული ვარ, უსუფაშვილთან ისევ მისნაირი პოლიტიკური ბანკროტები დაიჭერენ საქმეს. აბა, წარმოიდგინეთ, სერიოზული მხარდაჭერის მქონე პარტიას ან ცალკეულ პოლიტიკოსს, რომელსაც არჩევნებში რამე შანსი აქვს, ამ მოარულ მკვდრებთან გაერთიანება რისთვის აძლევს ხელს? აქ სუფთა პოლიტიკურ ინტერესებზეა ლაპარაკი. ცხადია, უსუფაშვილი ახლა გაშმაგებული ეძებს მოკავშირეებს და ცდილობს, რაღაც გაერთიანება შექმნას, რომელიც პოლიტიკურ სპექტრში ამინდს შექმნის, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: რესპუბლიკელებს, ყოფილი იქნება თუ მოქმედი, საზოგადოებაში დასაყრდენი არ ჰყავთ. არც არასდროს ეყოლებათ, იმიტომ, მათ გაერთიანებაში ნორმალური არავინ შევა. ეს, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნება.

**— არის საუბარი იმაზეც, რომ ახალ ცენტრისტულ გაერთიანებაში „ნაცმოძრაობის“ გარკვეული ფრთაც შეიძლება ვიხილოთ. ეს რეალურია?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ რესპუბლიკელებთან გასაყოფი არაფერი აქვს, ამიტომ ახლა კი არ გაერთიანდებიან, ყოველთვის ერთნი იყვნენ. ეს „გირჩი“-მირჩი და სხვადასხვა განშტოება რომ შექმნეს, რეალურად ერთი ნაგავია. ალასანიაც იმავე ხის ნაყოფია. ასე რომ, გასაკვირი არ არის, მკვდარი მკვდარს აეკიდოს და ალასანია უსუფაშვილთან გაერთიანდეს.

**— რა პერსპექტივა ექნება ამ გაერთიანებას?**

— ისინი ყველანაირად ეცდებიან ხელისუფლებაში მოსვლას და ამისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ეს ამთავითვე ცხადია, რადგან, როგორი მხარდაჭერაც უნდა ჰქონდეთ თავიანთი დასავლელი მარჩენლებისგან, მათ არ აქვთ მთავარი — საზოგადოების, ქართველი ხალხის თანადგომა. აი, ეს არის გადამწყვეტი და ნებისმიერი მათი მცდელობა იმთავითვე განწირულია კრახისთვის. მათი პერსპექტივა ნულია, ქართველი საზოგადოება ამ პოლიტიკურ ჭიაყელებს საბოლოოდ დაასამარებს....

*ესაუბრა* **ჯაბა ჟვანია**



## თამაზ მეჭიაური:

# ამ წამქეზებლობამ და პროვოკაციულმა რიტორიკამ შეიძლება საერთოდ დაგვაკარგვინოს სახელმწიფოებრიობა

**კანონის მიხედვით, ნებადართულია უცხოელებზე ქართული მიწების გასხვისება, მეტიც, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არაბული სოფლები შენდება, ხოლო კვირიკაშვილის ხელმოწერით სასაზღვრო ზოლში 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი თურქეთს გადაეცა. გარდა ამისა, თურქეთის მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტმა შეაჩერა კანონპროექტის განხილვა, რომლის მიხედვითაც, 12 აგვისტო — დიდგორის ველზე ქართველთა ბეწყინვალე გამარჯვების დღე, დღესასწაულად და დასვენების დღედ უნდა გამოცხადებულიყო... ამ და სხვა საკითხებზე ყოფილი პარლამენტარი თამაზ მეჭიაური გვესაუბრება:**

— თუ დღევანდელი ხელისუფლება დააკანონებს უცხოელებზე მიწის გაყიდვას ისედაც მცირემიწიან საქართველოში, უარყოფითი პროცესები განვითარდება. ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, დიდ რისკს შექმნის აჭარის ზღვისპირა ზოლში მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეების საკუთრებაში გადასვლა, ამიტომ აუცილებელია, მიწების უცხოელებისთვის გადაცემის შეზღუდვა. თუ ხელისუფლება უცხოელებზე მიწის გასხვისებას დააკანონებს, ეს იქნება ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.

**— თურქეთის მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტმა შეაჩერა 12 აგვისტოს „დიდგორობის“ სახელმწიფო დღესასწაულად გამოცხადება...**

— „დიდგორობა“ უნდა აღინიშნებოდეს. დასვენების დღე იქნება თუ არა, ჩვენი ქვეყნის გადასაწყვეტია და არა სხვისი. დიდგორზე ქართველებმა დავით აღმაშენებლის ხელმძღვანელობით უდიდესი ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ და სხვა ქვეყნის გადასაწყვეტი არ არის, რას ვიზეიმებთ და რას ვიგლოვებთ. არასწორი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფლება დაემორჩილება სხვა ქვეყნების ზეწოლას.

**— კონსტიტუციის პროექტში ამოღებულია მუხლი, რომელიც გულისხმობს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. რას ფიქრობთ საქართველოში ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონებაზე?**

— ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონება იქნება ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. ევროპა და დასავლეთი ცდილობენ, დაანგრიონ ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ დიდი ბრძოლის შედეგად მოიპოვა, კერძოდ, სარწმუნოება, რომელმაც შემოგვინახა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციები. რა თქმა უნდა, ეს იქნება ამ ყველაფრის წინააღმდეგ მიმართული აქტი. ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონება დაუშვებელია.

**— ევა გოცირიძის (მოსამართლე, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ არასათანადო კვალიფიკაციის გამო დაიწუნა) ინიციატივის მიხედვით, მოსამართლეების შეურაცხყოფისთვის რეგულაციების დაწესება იგეგმება. ეს ინიციატივა ხომ არ უკავშირდება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასა და სასამართლო სისტემაში ხარვეზების გადაფარვას?**

— პატრიარქსა და სხვა სასულიერო პირებზეც აკეთებენ დამამცირებელ განცხადებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა აღიკვეთოს, ამიტომ, თუ ასეთ კანონს ვიღებთ, საზოგადოდ უნდა აიკრძალოს ცილისწამება-შეურაცხყოფა, ცალკე კანონის მიღება მოსამართლეებისთვის, რომ მხოლოდ მათი შეურაცხყოფა არ შეიძლება, ალოგიკურია.

**— 2012 წელს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იყო. რას აკეთებს „ქართული ოცნება“ ამ ქვეყანასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად?**

— ჩვენი ხელისუფლება ყველას მეგობარს უწოდებს, რუსეთის გარდა, რასაც მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოაქვს საქართველოსთვის. როდესაც ნატოს ეგიდით რამდენიმე ტანკი შემოიყვანეს, გავაკრიტიკე იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი და ვთქვი, რომ რამდენიმე ტანკის შემოყვანა და წვრთნის ჩატარება არანაირ სარგებელს არ მოუტანს ქვეყნის თავდაცვას, რადგან ეს იქნება მაპროვოცირებელი ფაქტი რუსეთისთვის-მეთქი. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი. რუსეთმა სწორედ ამის შემდეგ შემოიყვანა გაცილებით მეტი ტექნიკა, გახსნა ახალი სამხედრო ბაზები, ცხინვალის რეგიონში ჩაატარდა რეფერენდუმი და, საერთოდ, სახელიც შეეცვალა.

**«ჩვენი ხელისუფლება ყველას მეგობარს უწოდებს, რუსეთის გარდა, რასაც მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოაქვს საქართველოსთვის»**

ასე რომ, ყველა ქმედება, რომელსაც ვითომ ჩვენი ძალის დემონსტრირების მიზნით ვაკეთებთ და ვაჩვენებთ ვილაცებს, აი რა მაგრები ვართ და ნატო როგორ გვეხმარებაო, არ არის სწორი. ნატო გვეხმარება კი არა, პირიქით — ამ წამქეზებლობამ და პროვოკაციულმა რიტორიკამ შეიძლება საერთოდ დაგვაკარგვინოს სახელმწიფოებრიობა. ამ მიმართულებით რასაც დღემდე ვამბობდი, ყველაფერი მართლდება. ისე, ნატოს კი არ დავუახლოვდით, პირიქით — დავშორდით. ვინ უნდა მიგვიღოს ნატოში, სად შევდივართ, ვინ გვეპატიჟება, არ ვიცი.

*ესაუბრა* **ეკა ზარნაძე**

**დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია რთული არჩევანის წინაშე დგას. ავღანეთში სიტუაციის გაუმჯობესება მოითხოვს სამხედრო ძალისხმევის გაზრდას და ახალი ხარჯების გაწევას, რაც ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებებს აშკარად ეწინააღმდეგება. ზემძლავრი ბომბების ჩამოგდების მსგავსი დემონსტრაციები, რომლებსაც ადგილი ახლახან ჰქონდა, შეიძლება გარკვეული დროით დაამშვიდოს ამერიკული საზოგადოება, მაგრამ მათი ფსიქოლოგიური ეფექტი დიდხანს ვერ გასტანს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიტუაცია ავღანეთში განუხრელად რთულდება. თითქმის ყოველდღე ვრცელდება ინფორმაცია სისხლიანი შეტაკებებისა და ტერაქტების შესახებ და საზოგადოება შიშობს, რომ ამ ქვეყანაში მყოფ ქართველ სამხედროებს შეიძლება სერიოზული საფრთხე დაემუქროს.**

# ვინ ამოიყვანს ამერიკას ავღანური ქაოსიდან?

აშშ-ის პოლიტიკა ავღანეთში სრული კრახით დაგვირგვინდა. სიტუაციის სტაბილიზაციისთვის 115 მილიარდი დოლარი დაიხარჯა (ამ თანხაში სამხედრო ხარჯები არ შედის), რაც, დოლარის კურსის და მსყიდველუნარიანობის ცვლილების გათვალისწინებით, უფრო მეტია, ვიდრე ევროპის ქვეყნებისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „მარშალის გეგმის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხა. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კატასტროფულია.

ავღანეთის სამთავრობო ჯარში 180 ათასი მებრძოლია, პოლიციაში — 150 ათასი, ტერიტორიული თავდაცვის რაზმებში — დაახლოებით 30 ათასი. მათ ზურგს უმაგრებს 3 ათასამდე ამერიკელი სპეცრაზმელი და ავღანური ქვედანაყოფების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამაში ჩართული 13 ათასამდე უცხოელი სამხედრო (მათ შორის 10 ათასამდე ამერიკელია). მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგის ძალები გაცილებით (7-8-ჯერ) მცირეა, ცენტრალური ხელისუფლება ოფიციალურად აღიარებს, რომ ვერ აკონტროლებს ქვეყნის ტერიტორიის 10%-ს, ხოლო 25 პროცენტისთვის მუდმივი ბრძოლა მიდის. ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენი ტერიტორია მყარად კონტროლდება; ბევრ პროვინციას ხელისუფლების პარალელურად „თალიბანის“ ე.წ. ჩრდილოვანი გუბერნატორები მართავენ. არის დასახლებული პუნქტები, რომლებშიც ხელისუფლების წარმომადგენლები გამაგრებული ბაზებიდან და რეზიდენციებიდან გარეთ თითქმის არ გამოდიან, განსაკუთრებით ღამის საათებში. ხშირ შემთხვევაში, ისინი „თალიბანს“ ფარულად ურიგდებიან და უსაფრთხოების სანაცვლოდ მასთან ბრძოლაზე ფაქტობრივად უარს ამბობენ. ამერიკელების 15-წლიანი ძალისხმევა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაეფექტური, სულით ხორცამდე კორუმპირებული და ძალიან სუსტი არმიის შექმნით დაგვირგვინდა.

ამა წლის 21 აპრილს მაზარი-შარიფში ბოევიკები სამთავრობო ჯარის ერთ-ერთი ქვედანაყოფის ბაზაში შეიჭრნენ, 150 (ზოგიერთი წყაროს თანახმად კი — 250-მდე) სამხედრო მოკლეს და 500-მდე დაჭრეს. თავდასხმის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ორიოდე დღით ადრე იქ ჩასული იყო საინსპექციო ჯგუფი თავდაცვის მინისტრის მოადგილის ხელმძღვანელობით, რომელმაც აღმოაჩინა, რომ მაზარი-შარიფში დისლოცირებული კორპუსის შეიარაღების 40% გამქრალია. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ სამხედროებმა ის ბოევიკებს მიჰყიდეს; მსგავსი რამ თანამედროვე ავღანურ არმიაში ხშირად ხდება. მიუხედავად იმისა, რომ „თალიბანმა“ პასუხისმგებლობა თავდასხმაზე საკუთარ თავზე აიღო, მედიასა და სოციალურ ქსელებში ვრცელდება არაერთი ვერსია, რომ მას ხელი ერთ-ერთმა სახელისუფლო ჯგუფმა შეუწყო. ხელისუფლების შიგნით გრძელდება დაპირისპირება პრეზიდენტ **აშრაფ განისა** და პრემიერმინისტრ **აბდულა აბდულას** შორის, რომელთაც მხარს გავლენიანი კლანების კოალიციები უჭერენ. ტერაქტმა აიძულა თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი, გადამდგარიყვნენ და, შესაძლოა, სწორედ ამიტომ მომხდარი შიდასახელისუფლო ინტრიგებს დაუკავშირეს.

ამ ტერაქტის გამო აშშ-ის თავდაცვის მინისტრი **ჯეიმს მეტისი** იძულებული გახდა, სასწრაფოდ ქაბულში ჩასულიყო. მისი განცხადებებიდან ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო ბრალდებამ მოსკოვის მისამართით, რომელიც მეტისმა თალიბების მხარდაჭერაში, მეტიც, მათთვის შეიარაღების მიწოდებაში დაადანაშაულა.

**ავღანეთის ოფიციალურ ხელისუფლებას დღეს დაახლოებით 50 ათასი მებრძოლი უპირისპირდება და მათგან „თალიბანს“, მაქსიმუმ, 35 ათასი მიეკუთვნება. „ისლამურ სახელმწიფოს“ 7 ათასზე მეტი მეომარი ჰყავს, დაახლოებით 5 ათასი თავს „ალ ქაიდას“ წევრს უწოდებს. ამას ემატება არაერთი ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე შექმნილი ფორმირება, ასევე, ადგილობრივი თავდაცვის რაზმები და ბანდფორმირებები, რომლებიც დღეს შეიძლება მთავრობის, ხოლო ხვალ მისი მოწინააღმდეგეების მხარეს იბრძოლონ.**

ავღანეთსა და სირიაში შექმნილ სიტუაციას შორის შეიძლება ორი მნიშვნელოვანი პარალელი გავავლოთ: მთავრობა და ოპოზიცია არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ მესამე ძალასაც, „ისლამურ სახელმწიფოს“ ებრძვიან, რომელთა დეკლარირებულ მიზანს ავღანეთისა და რეგიონის სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე „ერთიანი ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა წარმოადგენს (მათი ამბიციები ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებსა და უიგურებით დასახლებულ ჩინურ ოლქებსაც ეხება). „თალიბანი“ დღეს კონცენტრირებულია მხოლოდ ავღანეთის პრობლემებზე და, 2001 წლისგან განსხვავებით, ჰეგემონურ ამბიციებს (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) არ ახმიანებს. ეს საკმაოდ ეშმაკური სვლაა, თალიბებს სურთ, რომ უცხოელების თვალში ზომიერ ძალად, ასე ვთქვათ, „ნაკლებ ბოროტებად“ წარმოჩინდნენ.

კიდევ ერთი მსგავსება სირიის კონფლიქტთან იმაში მდგომარეობს, რომ მნიშვნელოვან გავლენას კონფლიქტის განვითარებაზე არა მხოლოდ ზესახელმწიფოები, არამედ რეგიონული მოთამაშეები ახდენენ. პაკისტანი განაგრძობს ავღანეთის ხელისუფლების მოწინააღმდეგეების ფარულ მხარდაჭერას და განიხილავს მათ, როგორც მნიშვნელოვან ბერკეტს, რომელიც ხელს უშლის პაკისტანის წინააღმდეგ მიმართული ინდოეთ-ავღანეთის ალიანსის ფორმირებას. **პაკისტანის ლიდერების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ, როგორც კი სიტუაცია ავღანეთში „დალაგდება“, ის პაკისტანს ძალიან სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ისინი ყოველთვის მოითხოვდნენ სამშვიდობო პროცესის ფარგლებში ავღანეთის ნეიტრალური სტატუსის დაფიქსირებას, რომლის გარანტიებს, ერთი მხრივ, ზესახელმწიფოების შეთანხმება უზრუნველყოფდა; მეორე მხრივ კი — „ეროვნული შერიგების“ მომავალ მთავრობაში საკვანძო თანამდებობებზე პაკისტანის მიერ კონტროლირებადი „თალიბების“ დანიშვნა.**





**დღევანდელი მდგომარეობა აშკარად პათოლოგიურია. რაღაც მომენტში თეთრი სახლის პოლიტიკა ავღანეთში დაემსგავსა რთული, მაგრამ აუცილებელი ოპერაციის მუდმივ გადადებას და მძიმე დაავადების ასპირინით განკურნების მცდელობას, თუმცა ცხადია, ეს პროცესი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება**

დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია რთული არჩევანის წინაშე დგას. ავღანეთში სიტუაციის გაუმჯობესება მოითხოვს სამხედრო ძალისხმევის გაზრდას და ახალი ხარჯების გაწევას, რაც ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებებს აშკარად ეწინააღმდეგება. ზემძლავრი ბომბების ჩამოგდების მსგავსი დემონსტრაციები, რომლებსაც ადგილი ახლახან ჰქონდა, შეიძლება გარკვეული დროით დაამშვიდოს ამერიკული საზოგადოება, მაგრამ მათი ფსიქოლოგიური ეფექტი დიდხანს ვერ გასტანს. ადრე თუ გვიან, ყველა დაინახავს, რომ სიტუაცია რთულდება — **„თალიბანისა“ და „ისლამური სახელმწიფოს“ წარმატებები აშკარაა, განსაკუთრებით ავღანეთის ჩრდილოეთში.** მეტისის განცხადება მოსკოვის დესტრუქციული როლის შესახებ, სხვა ყველაფერთან ერთად, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა აშშ-ის მიერ შექმნილი ხელისუფლებისა და მისი ძალების უსუსურობის გამართლებას; მან საქმე წარმოაჩინა ისე, თითქოს მათ უპირისპირდება არა შედარებით სუსტი „თალიბანი“, არამედ უზარმაზარი რესურსების მქონე რუსეთი.

**ამერიკელები მძიმე მდგომარეობაში არიან, მათ არ შეუძლიათ, მკვეთრად გაზარდონ სამხედრო კონტინგენტი და ვერც მძლავრ ადგილობრივ ძალებს ქმნიან, ამავე დროს ავღანეთიდან წასვლასაც ვერ ახერხებენ. აქ საქმე არა მხოლოდ მარცხის აღიარებასა და მისგან გამომდინარე დამცირებაშია – ამერიკელების სასწრაფო „ევაკუაცია“ ავღანეთიდან ჩინეთსა და რუსეთს უდიდეს პრობლემებს შეუქმნის და ისინი იძულებულნი გახდებიან, უამრავი რესურსი დახარჯონ იმისთვის, რომ ქაოსის ზონის ლოკალიზება მოახდინონ.** მაგრამ ამ შემთხვევაში მკვეთრად გაიზრდება იმის საფრთხე, რომ ამერიკელები დაკარგავენ ყველა პოზიციას არა მხოლოდ პაკისტანში, არამედ მთელს რეგიონში; ნაკლებად სავარაუდოა, ვაშინგტონი ამას დათანხმდეს. ის, დიდი ალბათობით, „შუალედურ“ სტრატეგიას აირჩევს და განაგრძობს ოპერაციას დაახლოებით იმ ფორმატში, რომელშიც ის ამჟამად მიმდინარეობს, შესაბამისად, ქართველი სამხედროები ავღანეთში კიდევ საკმაო ხანს დარჩებიან. ჩვენი ხელისუფლება მათი გამოყვანის ან თუნდაც არაპროპორციულად დიდი კონტინგენტის შემცირების საკითხის დაყენებას, სავარაუდოდ, ვერ გაბედავს.

აშშ-ის ყოფილმა სპეცწარმომადგენელმა ავღანეთსა და პაკისტანში **რიჩარდ ოლსონმა** ახლახან მოუწოდა ტრამპის ადმინისტრაციას, ეტაპობრივად გაიყვანოს ჯარი ავღანეთიდან და თალიბები კონფლიქტის მხარედ აღიაროს. სამშვიდობო პროცესში მათი ჩართვის წინაპირობად მან ავღანეთის ამჟამინდელი კონსტიტუციის აღიარება და „ალ ქაიდასთან“ კავშირების გაწყვეტა დაასახელა. ამასთანავე, მან მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, განაგრძოს ავღანეთის ხელისუფლების მხარდაჭერა; **ოლსონი მიიჩნევს, რომ თალიბები მაშინ დათანხმდებიან მოლაპარაკებას, როდესაც დაინახავენ, რომ სამხედრო გზით დასახულ მიზნებს ვერ აღწევენ.**

ეს წინადადებები თითქოს სავსებით ლოგიკურად გამოიყურება, მაგრამ ადმინისტრაციას ძალიან გაუჭირდება ამერიკელი საზოგადოებისთვის იმის ახსნა, რომ მტერი, რომელსაც აშშ 15-ზე მეტი წლის განმავლობაში ებრძოდა, ბოროტების განსახიერებად წარმოაჩენდა და აცხადებდა, რომ მის საბოლოო დასამარებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება, ახლა მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასვას და მასთან კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწიოს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს შეიძლება ვიეტნამში განცდილი მარცხის ტოლფასი გახდეს.

დონალდ ტრამპი, მისი იმიჯისა და წინასაარჩევნო კამპანიის თავისებურებებიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია კარგ პიარში და განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება სიტუაციებს, რომლებშიც შეიძლება „სახე დაკარგოს“. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ ის ვერ მოახერხებს, ავღანეთში ომის შეწყვეტის მიმართულებით ისეთივე თამამი ნაბიჯები გადადგას, როგორიც რიჩარდ ნიქსონმა ვიეტნამის მიმართ გადადგა. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ადრე თუ გვიან ის მაინც იძულებული გახდება, რაღაც შეცვალოს, რადგან დღევანდელი მდგომარეობა აშკარად პათოლოგიურია. რაღაც მომენტში თეთრი სახლის პოლიტიკა ავღანეთში დაემსგავსა რთული, მაგრამ აუცილებელი ოპერაციის მუდმივ გადადებას და მძიმე დაავადების ასპირინით განკურნების მცდელობას, თუმცა ცხადია, ეს პროცესი უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

**ლუკა ნემსაძე**

მიუშვი ნებასა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშლის ნაყოფი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემაო, — უთქვამს ბრძენს. აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტს, რომელსაც ფსიქიატრებმა საგანგაშო დიაგნოზი დაუსვეს, საქციელით, ძალიან ჰგავს ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ახლა უკრაინაშია და იქაურებს აოგნებს თავისი „მიღწევებით“.**

# საგანგაშო დიაგნოზი, რომელიც ფსიქიატრებმა ტრამპს დაუსვეს, ძალიან ჰგავს ლიტველი ექიმების მიერ სააკაშვილისთვის დასმულ დიაგნოზს

**კონსტიტუციის მიხედვით, აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი შეიძლება დაიკავოს ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც დაბადებულია აშშ-ში, არის 35 ან მეტი წლის და ბოლო 14 წლის განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, მაგრამ პრეზიდენტობის კანდიდატს არავინ სთხოვს ცნობას მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ. ასეა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, სადაც კონსტიტუციის შესაბამისად, პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე 35 ან მეტი წლის საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნისას ცხოვრობს საქართველოში. მაგრამ საქართველოშიც ისევე, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყანაში პრეზიდენტობის კანდიდატს არავინ სთხოვს ცნობას მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. არადა, შეურაცხადმა, არამდგრადი ფსიქიკის მქონე ადამიანმა, მით უმეტეს, ქვეყნის პირველ პირმა, შეიძლება არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, არამედ კაცობრიობისთვის საზიანო გადაწყვეტილებები მიიღოს.**



დონალდ ტრამპის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მას შემდეგ, რაც მან აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, არაერთხელ უმსჯელიათ მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებში. ახლახან კი იელის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში შეკრებილმა ფსიქიატრთა ჯგუფმა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტს დაუსვა დიაგნოზი: **„პარანოია და ჰალუცინაციებისკენ მიდრეკილება“**. ფსიქოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მძიმე ფსიქიკური დაავადებები სჭირს და სახიფათოა საზოგადოებისთვის. აქედან გამომდინარე ფსიქიატრთა ეს ჯგუფი თავის „ეთიკურ მოვალეობად“ მიიჩნევს, რომ გააფრთხილოს საზოგადოებრიობა ტრამპის მდგომარეობის შესახებ, რომლის გადაწყვეტილებებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქვეყანას.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ფსიქიატრები ლაპარაკობენ მილიარდერის ფსიქიკურ დარღვევებზე.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ბევრი ამერიკული და სხვა ქვეყნის მედიასაშუალება შემაშფოთებელი სათაურებით აქვეყნებდა მასალებს, რომლებითაც აფრთხილებდა მკითხველს, რომ ტრამპისთვის მიუღებელია კრიტიკა და ის არის სახიფათო ნარცისი, რომელიც ცდილობს, შექმნას პიროვნების კულტი, რათა დაიკმაყოფილოს თავისი ეგო.

იელის უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე ტრამპის მთავარი კრიტიკოსი იყო **ჯონ გარტნერი** — ჯონს ჰოპკინსის სახელობის სამედიცინო სკოლის პრაქტიკოსი ფსიქოთერაპევტი. მისი ერთ-ერთი არგუმენტი ტრამპის ფსიქიკურ გაუწონასწორებლობაზე არის ისტორია პრეზიდენტის ინაუგურაციაზე დამსწრე ადამიანების რაოდენობის შესახებ.

**„ის არა მხოლოდ მატყუარა და საკუთარ თავზე შეყვარებული ადამიანია, არამედ მიდრეკილია პარანოიისკენ, ჰალუცინაციებისა და განდიდების მანიისკენ, რაც დაამტკიცა თავისი პრეზიდენტობის პირველ დღესვე, თუ დონალდ ტრამპი მართლა მიიჩნევს, რომ მის მხარდასაჭერად შეიკრიბა ყველაზე მეტი ადამიანი ისტორიაში, ეს ჰალუცინაციაა“.** — მოჰყავს ციტატა გარტნერის გამოსვლიდან ბრიტანულ გაზეთ The Independent-ს.

იანვარში სოციალურ ქსელებსა და მედიასაშუალებებში გავრცელდა ფოტოები, რომლებითაც შეადარეს ობამასა და ტრამპის ინაუგურაციაზე მისული ადამიანების რაოდენობა. ამ მხრივ აშკარა უპირატესობა ჰქონდა ობამას. მაგრამ ამის შემდეგ ტრამპმა ჩვეული მანერით განაცხადა, რომ მის ინაუგურაციას ყველაზე მეტი ადამიანი დაესწრო აშშ-ის ისტორიაში.

„მე შესაძლებლობა მქონდა, მემუშავა ჩვენი საზოგადოებისთვის რამდენიმე ძალიან საშიშ ადამიანთან. ამიტომ ხიფათი შეიძლება მილის დაშორებითაც კი შევამჩნიო. სულაც არ არის საჭირო, იყო ამ სფეროში ექსპერტი, რათა მიხვდე, რა საშიშია ეს კაცი“, — განაცხადა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯეიმს გილიგენმა.**

**იელის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში შეკრებილმა ფსიქიატრთა ჯგუფმა აშშ-ის 45-ე პრეზიდენტს დაუსვა დიაგნოზი: «პარანოია და ჰალუცინაციებისკენ მიდრეკილება». ფსიქოლოგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მძიმე ფსიქიკური დაავადებები სჭირს და სახიფათოა საზოგადოებისთვის**



აღსანიშნავია, რომ ტრამპის გარდა სპეციალისტებმა თავის დროზე აშშ-ის კიდევ რამდენიმე პრეზიდენტს დაუდგინეს ფსიქიკური გადახრები:

*ამერიკელთა საყვარელ პრეზიდენტ **აბრაამ ლინკოლნს** (1809-1865) — მარფანის სინდრომი, გენეტიკური დაავადება, რომელიც ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. თუმცა ლინკოლნი თეატრში მოკლა **ჯონ ბუტმა.**

*აშშ-ის 26-ე პრეზიდენტ **თეოდორ რუზველტს** დეპრესია აწუხებდა.

*აშშ-ის 27-ე პრეზიდენტი **უილიამ ტაფტი** (1857-1930), რომელიც 140 კგ-ს იწონიდა, ჰიპერსომანიით (ძილისკენ მიდრეკილება) იტანჯებოდა. ამ დაავადების ზემოქმედებით ტაფტი ხშირად ჩათვლემდა ხოლმე სხვე ქვეყნების ლიდერებთან საუბრისას.

*ალცჰეიმერის დაავადების სიმძიმე, რომლითაც იტანჯებოდა აშშ-ის მე-4 პრეზიდენტი **რონალდ რეიგანი** (1911-2004) აშკარა შეიქნა მისი სიცოცხლის ბოლო წლებში, თუმცა ზოგიერთი სპეციალისტი ამტკიცეს, რომ რეიგანი დაავადებული იყო **დემენციით** — გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითებით.

მძიმე ფსიქიკური გადახრები არა მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტებისთვის არის დამახასიათებელი, არამედ მათი მარიონეტებისთვისაც. როგორც ჩანს, სწორედ ასეთია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ქართველი ხალხის სისხლში ხელგასვრილი **მიხეილ სააკაშვილი,** რომელიც 9 წლის განმავლობაში თავზე აჯდა საქართველოს მოსახლეობას და ქვეყანას ისე მართავდა, როგორც მიესურვებოდა.

2012 წლის 14 ივნისს, როგორც გაზეთი „ალია“ იუწყებოდა, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსის ერთ-ერთ კლინიკაში მძიმე მდგომარეობაში მყოფ სააკაშვილს ფსიქიატრებმა დაუსვეს დიაგნოზი: **„ქრონიკული ფორმის მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზი“.**

სხვათა შორის, 2007 წელს ანალოგიური დიაგნოზი დაუდგინეს მიხეილ სააკაშვილს უკრაინელმა ფსიქიატრებმაც. ქართველი ფსიქიატრის, პროფესორ **მარინა დეისაძის** განმარტებით, „დეპრესიულ-მანიაკურ ფსიქოზისთვის (ციკლოფრენია) დამახასიათებელია სამი ნიშანი: 1. მოტორული სფეროს აღგზნება; 2. გუნება-განწყობილების ამაღლება; 3. ასოციაციების აჩქარება... ამ დაავადებით დასნებოვნებული ადამიანის გუნება-განწყობა ძალიან მომატებულია, უდარდელი განწყობიდან უკონტროლო აღგზნებამდე მერყეობს, ვერ აკეთებს ყურადღების კონცენტრაციას რაიმე კონკრეტულ საკითხზე... ამას მოჰყვება შემდეგი უფრო მძიმე ხარისხის პერიოდი — მანია ფსიქოზური სიმპტომებით — აწეული გუნება-განწყობა, თვითკრიტიკისა და თვითკონტროლის არარსებობა. განდიდების მანია, უცხო ბოდვითი იდეები, ზოგჯერ ჰალუცინაციები. ავადმყოფებს შეიძლება ჰქონდეს აგრესიული ქცევებიც“.

**თუ სპეციალისტის განმარტებას ყურადღებით გავაანალიზებთ და სააკაშვილის ქცევებს შევადრებთ, დავინახავთ, რომ სააკაშვილის საქციელი ზუსტად იმეორებს ფსიქიატრის მიერ აღწერილ სიმპტომებს.**

ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა განდიდების მანიით შეპყრობილი სააკაშვილის მიერ 2012 წელს გორში მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას ნათქვამი ფრაზა, რომლითაც თავისი მმართველობის წლები დავით აღმაშენებლის ეპოქას შეადარა:

**„ჩვენ ვართ ახლა ისეთივე ეტაპზე, როგორ-** ▶

**სააკაშვილის გაუწონასწორებელ ფსიქიკაზე მიუთითებს მისი შეშინებული ფორთხვა მიწაზე გორში თვითმფრინავის ხმის გაგონებისას; ჰალსტუხის ღეჭვა, ათასობით ადამიანის დაპატიმრება და ციხეებში გამოკეტვა; 2007 წლის ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევები; ბიზნესმენების მიმართ განხორციელებული რეპრესიები; 2008 წლის აგვისტოს ომი და დაკარგული ტერიტორიები, როდესაც განაცხადა, რა მოხდა, სულ რამდენიმე სოფელი დავკარგეო; ზარ-ზეიმი რუსთაველის გამზირზე რუსეთზე «გამარჯვების» აღსანიშნავად და სხვ.**

საქართველოში „მოღვაწეობის“ 9-წლიან პერიოდში სააკაშვილს არაერთხელ მიუღია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ქართველი საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა და დღესაც იწვევს. მაგალითად, გაუგებარია, რატომ დაარქვეს ნაციონალებმა თბილისში სტალინის სახელობის სანაპიროს აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის — ჰეიდარ ალიევის სახელი, რა დამსახურებისთვის დგას აშშ-ის პრეზიდენტის — რონალდ რეიგანის ძეგლი თბილისში და რატომ ჰქვია დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას აშშ-ის კიდევ ერთი პრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის სახელი.

მიუშვი ნებასა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀შიც იყო დავით აღმაშენებელი... არც ერთ პერიოდში დავითისა და თამარის შემდეგ არ აშენებულა საქართველოში იმდენი, რამდენიც აშენდა ბოლო ორი-სამიოთხი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით — ომის შემდეგ, ჩვენ მართლა ვცხოვრობთ დღეს აღმშენებლობის ეპოქაში“.

სააკაშვილის არაადეკვატორობაზე მიუთითებს, აგრეთვე, შემდეგი ფრაზები: **„ყველა ქართველს ჰოლივუდის კბილებიანი ღიმილი უნდა ჰქონდეს“; „ესეც თქვენი სენ ტროპე და ნიცა (ანაკლიაზე თქვა — ნ.კ.) როგორც მე წარმომიდგენია და ცოტა უკეთესიც“.** ახალი ქალაქის — ლაზიკას მშენებლობის იდეის გამოცხადებისას კი თქვა: **„რამდენიმე წელიწადში აქ ნახევარი მილიონი ადამიანი იცხოვრებს“.** ერთ-ერთ კლინიკაში სტუმრობისას კი ახალნამშობიარებ ქალს განუცხადა: **„დიდი მადლობა, რომ დროზე გააჩინე ბავშვი“.**

სააკაშვილის გაუწონასწორებელ ფსიქიკაზე მიუთითებს მისი შეშინებული ფორთხვა მიწაზე გორში თვითმფრინავის ხმის გაგონებისას; ჰალსტუხის ღეჭვა, ათასობით ადამიანის დაპატიმრება და ციხეებში გამოკეტვა, 2007 წლის ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევები, ბიზნესმენების მიმართ განხორციელებული რეპრესიები, 2008 წლის აგვისტოს ომი და დაკარგული ტერიტორიები, როდესაც განაცხადა, რა მოხდა, სულ რამდენიმე სოფელი დავკარგეო, ზარ-ზეიმი რუსთაველის გამზირზე რუსეთზე „გამარჯვების“ აღსანიშნავად და სხვ.

**ვაშლის ნაყოფი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემაო, — უთქვამს ბრძენს. აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტს, რომელსაც ფსიქიატრებმა საგანგაშო დიაგნოზი დაუსვეს, საქციელით, ძალიან ჰგავს ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ახლა უკრაინაშია და იქაურებს აოგნებს თავისი „მიღწევებით“...**

**ნიკა კორინთელი**

## ცნობისთვის:

**საუკუნეების წინათ მეფეები ღმერთის მიერ დედამიწაზე დანიშნულ მმართველებად ითვლებოდნენ — უზენაესის ნების შემსრულებლებად. მაგრამ მონარქების მმართველობა ყოველთვის არ იყო ბრძნული და გონივრული. ისტორიამ იცის ბევრი მაგალითი, როდესაც ძალაუფლება ხელთ ეპყრათ შეშლილებს, რომლებიც თავიანთი საქციელით ძირს უთხრიდნენ ქვეყნის სტაბილურობას, ზოგჯერ კი კრახამდე მიჰყავდათ.**

**კარლ VI უგუნური**

1380 წელს მამის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის სამეფო ტახტზე ავიდა 12 წლის კარლ VI, რომელიც ქვეყანას 42 წლის განმავლობაში მართავდა. კარლ VI ხშირად ებინდებოდა გონება და გარშემო მყოფებს ველარ ცნობდა, რის გამოც, მისივე უსაფრთხოების მიზნით, ციხესიმაგრეში კეტავდნენ.

**ცინ შიხუანდი**

ჩინეთის იმპერატორი **ცინ შიხუანდი**, ცინის დინასტიის (ჩვ.წ. აღ. III საუკ.) შემქმნელი, პარანოიით იტანჯებოდა. აკვიატებული ჰქონდა უკვდავობის იდეა და ეძებდა ჯადოსნურ ელიქსირს.

**ანრი VI ლანკასტერი**

შეშლილი მეფე **ანრი VI** ლანკასტერების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. ის ერთადერთი გახლდათ, ვინც ინგლისისა და საფრანგეთის მეფის ტიტულს ატარებდა. თანამედროვე ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მეფე 100-წლიანი ომის პერიოდში დაავადდა შიზოფრენიით, დაეწყო ჰალუცინაციები, აპათია, დაკარგა მეხსიერება. ამით ისარგებლეს ინგლისელმა არისტოკრატებმა, რომლებიც მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება და მეფე ტაუერის ციხესიმაგრეში გამოკეტეს.

**ჯორჯ III**

რეგენტს, ჩვეულებრივ, მცირეწლოვან ბავშვებს უნიშნავენ, მაგრამ ჯორჯ III ისტორიაში შევიდა როგორც მეფე, რომლის რეგენტიც იყო მისი შვილი.

ბრიტანეთის პარლამენტში მიმდინარე ერთ-ერთი ემოციური სხდომისას მეფემ წონასწორობა დაკარგა და შეეცადა, შვილისთვის თავი გაეტეხა. თვალდასისხლიანებული და დუჟმორეული ჯორჯ III მყისვე მოაშორეს შვილს, ექიმებმა კი დაუსვეს დიაგნოზი — პორფირია — პიგმენტების გაცვლის გენეტიკური დარღვევა, რომელიც იწვევს ფსიქიკურ გადახრებს. ჯორჯ III ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და 1811 წელს მეფის რეგენტად დაინიშნა მისი უფროსი ვაჟი — უელსის პრინცი.

**იბრაჰიმ I შეშლილი**

ოსმალეთის იმპერიის სულთანს — იბრაჰიმ I (1615—1648) მეტსახელად შეშლილი შეარქვეს მრისხანების ხშირად გამოვლენის გამო. ერთხელთ მან კინაღამ მოკლა თავისი შვილი. არ ინდობდა და სიკვდილით სჯიდა მოსამსახურეებსა და ცოლებს. გამძვინვარებული სულთნის თავიდან მოსაშორებლად მოაწყვეს ე.წ. სასახლის გადატრიალება და სულთანი დაახრჩვეს.

**აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილ 5 მმართველს აერთიანებდა ერთი რამ – სოდომისტური ვნება მამაკაცებისადმი.**

# ოდესელებმა სააკაშვილის ანცობას წერტილი დაუსვეს

## ოდესაში იმ ქუჩებს, რომლებსაც სააკაშვილმა სახელები გადაარქვა, ძველ სახელებს დაუბრუნებენ, როდის მოხდება ანალოგიური რამ საქართველოშიც

**ოდესელებმა, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს მიხეილ სააკაშვილის „მოღვაწეობის“ შედეგები, გადაწყვიტეს, უარი თქვან საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მემკვიდრეობაზე და ქუჩებს ძველი სახელები დაუბრუნონ.**



ფლოსტებისა და კვერცხების ძეგლი ბათუმში

ერთი წლის წინათ, იმხანად ჯერ კიდევ ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა, დაახლოებით 50 ქუჩას გადაარქვა სახელი ე.წ. დეკომუნიზაციის საბაბით. ოდესაში გაჩნდა **ივან და იულია ლიპების, სიმონ პალიის, რომან შუხევიჩისა** და სხვათა სახელობის ქუჩები. ახლა კი ოდესის საქალაქო საბჭომ დაამტკიცა დოკუმენტი, რომლითაც სააკაშვილის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება გაუქმდა. ამ დოკუმენტს ოდესელთა ძირითად ნაწილთან ერთად მხარი დაუჭირა 46-მა დეპუტატმა.

ამრიგად, ოდესას „დაუბრუნდა“ **მარშალი ჟუკოვის** პროსპექტი, **გაიდარის, ბელინსკის, ბადაევის, ვალენტინა ტერეშკოვას, სტალინგრადის გმირებისა** და სხვა ქუჩები...

საქართველოში „მოღვაწეობის“ 9-წლიან პერიოდში სააკაშვილს არაერთხელ მიუღია ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ქართველი საზოგადოების აღშფოთებას იწვევდა და დღესაც იწვევს. მაგალითად, გაუგებარია, რატომ დაარქვეს ნაციონალებმა თბილისში სტალინის სახელობის სანაპიროს აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის — **ჰეიდარ ალიევის** სახელი, რა დამსახურებისთვის დგას აშშ-ის პრეზიდენტის — **რონალდ რეიგანის** ძეგლი თბილისში და რატომ ჰქვია დედაქალაქის ერთ-ერთ ქუჩას აშშ-ის კიდევ ერთი პრეზიდენტის — **ჯორჯ ბუშის** სახელი.

ქუჩისთვის ბუშის სახელის დარქმევითა და რეიგანის ძეგლის დადგმით სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ, ეტყობა, პატივი მიაგეს თავიანთ ოკეანისგაღმელ პატრონებს. არადა, საქართველოში იყვნენ და არიან პატრიოტი ადამიანები, რომლებსაც დიდი დამსახურება აქვთ ქართველი ერის წინაშე და მათი სახელი აუცილებლად უნდა ერქვას რომელიმე ქუჩას, ასეთია, მაგალითად, 1953— 1972 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი **ვასილ მჟავანაძე** (1902—1988), რომელმაც თუშეთის მოსახლეობა გასახლებას გადაარჩინა, ხახულის კარედი — გაყიდვას.

რაც მთავარია, თბილისში არ არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** სახელობის ქუჩა.

სააკაშვილმა, რომელიც თავს დავით აღმაშენებელს ადარებდა, მოგვიანებით ბრძოლა დაუწყო ქართველთა სახელოვანი მეფის ძეგლებს — აღმაშენებლის ძეგლი თბილისის ცენტრიდან გადაატანინა, მის ადგილას კი ველოსიპედის ძეგლი წამოჭიმა. არც თამარ მეფეს ინდობდა — სვანეთში თამარ მეფის ისეთი უსახური ძეგლი დაადგმევინა, რომ მოსახლეობისსაპროტესტო აქციები გამოიწვია... ქუთაისში კი დავით აღმაშენებლის ძეგლი აღმაშენებლის მოედნიდან სადგურის მოედანზე გადაიტანეს და ლენინის ძეგლის კვარცხლბეკზე დადგეს, ქუთაისში, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე, სახელოვანი მწერლის — **ოტია იოსელიანის** მიერ 1997 წელს შექმნილი ხეივანი გაანადგურეს და ველოტრასა მოაწყვეს. „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთმა გადაწყვეტილებამ — 2009 წლის დეკემბერში ქუთაისში გამარჯვების მემორიალის აფეთქებამ — კი დედაშვილის სიცოცხლე შეიწირა.



თამარ მეფის ძეგლი სვანეთში

2008 წელს გორში აიღეს სტალინის 6-მეტრიანი ბრინჯაოს სკულპტურა.

საზოგადოდ კი, **სააკაშვილმა უსახური შადრევნების გარდა, ბევრი ასეთივე ძეგლი დაგვიტოვა თბილისსა და ბათუმში. აჭარის დედაქალაქში აიღო გამოჩენილი ქართველის — მემედ აბაშიძის ძეგლი და დადგა — „შლოპანცებისა“ და კვერცხების” სკულპტურა, ჭაჭის შადრევანი, ანბანის უგემოვნო ძეგლი... თბილისში კი თამარ მეფის ხიდთან დადგა ე.წ. პრომეთეს (თითქოს ამირანი არ გვყავდა) ქანდაკება, რომელიც მოგვიანებით ბორჯომში გადაიტანეს...**

ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ გორში სტალინის ძეგლს ძველ ადგილას დააბრუნებდა, აგრეთვე, გააუქმებდა სააკაშვილის გადაწყვეტილებას და დავით აღმაშენებლის ძეგლსაც პირვანდელ ადგილას დააბრუნებდა, მაგრამ „ქართული ოცნება“ თავისი წინამორბედის — „ნაციონალური მოძრაობის“ გატკეპნილ გზას დაადგა, ამერიკელი პატრონების გაღიზიანებას ერიდება და, თუ სააკაშვილი ძეგლების გადატანა-გადმოტანით ერთობოდა, ივანიშვილი ხეებისთვის ადგილის შეცვლით არის დაკავებული.



სააკაშვილისა და ობამას სკულპტურები ოდესაში

ოდესელები, როგორც ჩანს, გონს მოვიდნენ და უარი თქვეს მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრეობაზე, მაგრამ საკითხავია, როდის მოეგება გონს საქართველოს ხელისუფლება, როდის დაარქმევს ყველაფერს საკუთარს სახელს და სააკაშვილსა და „ნაცმოძრაობას“ საკადრისს მიუზღავს...

მოეგება კი გონს ოდესმე?

**ნიკა კორინთელი**

**P.S. 2015 წელს ოდესაში თვითონ მიხეილ სააკაშვილს დაუდგეს ძეგლი ძეგლი წარწერით Сабакашвили.კვარცხლბეკზე ოდესის გუბერნატორთან ერთად, ამერიკის პრეზიდენტის სკულპტურაც დადგეს. მიხეილ სააკაშვილი წითელ ჰალსტუხს ღეჭავს და ცოცხი აქვს გაკეთებული, ხოლო ბარაკ ობამას ის ქამრით ჰყავს გამობმული.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1945 წლის 30 აპრილი საბედისწერო აღმოჩნდა მე-3 რაიხისათვის: ადოლფ ჰიტლერმა ჯერ იქორწინა ევა ბრაუნზე, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ რევოლვერიდან გასროლით ორივემ მოიკლა თავი. ანდერძის თანახმად, მათი ცხედრები რაიხსტაგის უკანა ეზოში გადაიტანეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.**

**სტალინის პოლიტიკური და დიპლომატიური სცენები არამხოლოდ თეირანში, იალტასა და პოტსდამში დაიდგა, არამედ ნიურნბერგშიც. აქ გამართული პროცესი მისი პოლიტიკური გათვლებისა და შორსმჭვრეტელობის აპოთეოზია. როგორც კვლევის მასალებიდან ირკვევა, ამ საკითხებზე სტალინმა იქ ითათბირა, „სადაც ჯერ არს“.**

# სტალინი და ნიურნბერგის სასამართლო პროცესი



**ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ჩამოხრჩობა მიუსაჯა: რიბენტროპს, კალტენბრუნერს, როზენბერგს, ფრანკს, ფრიკს, შტრეიხერს, ზაუკელს, იოდლს, ზეის-ინკვარტს, გერინგს, ბორმანს (დაუსწრებლად). რობერტ ლეიმ, ვიდრე მის სასჯელს გამოაცხადებდნენ, თვითონვე გამოუტანა თავს განაჩენი და პირსახოცის ნახევებისაგან გადაბმული თოკით თავისივე საკანში საკანალიზაციო მილზე ჩამოიხრჩო თავი**

1941 წლის 3 ივლისს სტალინმა რადიოში გამოსვლისას ჰიტლერელი კაციჭამიების დასჯის შესახებ ისაუბრა, მაგრამ მისმა ნათქვამმა მსოფლიოს საზოგადოებრიობაში ირონია გამოიწვია. კრემლსმომდგარი ჰიტლერის უძლეველი არმიის წინაშე მავზოლეუმის ტრიბუნიდან ნათქვამმა სიტყვებმა კი — „ჩვენ გავასამართლებთ გერმანელ სამხედრო დამნაშავეებს“ — კიდევ უფრო გაამძაფრა ნიჰილისტური დამოკიდებულება.

1942 წელს სტალინის მიერ შექმნილი საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის იდეას თითქმის მთელი ცივილიზებული სამყარო აუჯანყდა. მათ შორის, ჯერ კიდევ მოკავშირეებად წოდებული ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც შეუერთდნენ ჰიტლერის მიერ დაპყრობილი ევროპის ათეულობით ქვეყნის მეთაურები.

**რა იყო იმის მიზეზი იმისა, რომ ომის დაწყების დღიდან ასე დაჟინებით მოითხოვდა და თანმიმდევრულად ახორციელებდა სამხედრო ტრიბუნალის შექმნის იდეას სტალინი?**

თავის ვიწრო გარემოცვაში, კერძოდ, მოლოტოვთან პოლიტიკურ საუბრებში სტალინი ხშირად აღნიშნავდა: **„მიუხედავად ჩემი სიმპათიისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ამერიკის პრეზიდენტი, უწინარესად, თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს და ჩვენს ინტერესებს ნაწილობრივ ითვალისწინებს, რაც შეეხება ჩერჩილს, მას სინდისი სუფთა არა აქვს, ის სინდისის დეფიციტს განიცდის.“**

სტალინმა კარგად იცოდა, რომ ჰიტლერი საბჭოეთის წინააღმდეგ ომს ვერ წამოიწყებდა დასავლეთის უდიდესი მატერიალური და ტექნიკური დახმარების გარეშე. ვიდრე ჰიტლერი მარშით იპყრობდა საბჭოეთის ევროპულ ნაწილს, ინგლისიც და ამერიკაც შეფარვით უწევდნენ როგორც მორალურ, ასევე ტექნიკურ დახმარებას სამკვდრო სასიცოცხლო ომში ჩაბმულ საბჭოთა კავშირს.

1941—1942 წლების განმავლობაში, როდესაც იბომბებოდა მოსკოვის დიდი თეატრი, კრემლის მიდამოები და წითელი მოედანი, ძნელი დასაჯერებელი იყო სტალინის სიტყვები: **„გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!“**

როდესაც სტალინი ნაცისტ ნაძირალებს ემუქრებოდა, ამასთანავე, ემუქრებოდა შორიდან სეირის მაყურებელ ინგლისსა და ამერიკას, რომ ამ უსამართლო მსხვერპლის გაღებაში არა მხოლოდ ჰიტლერელები, არამედ მათი წამქეზებლებიც არიან დამნაშავენი და ფაშისტებთან ერთად აგებენ პასუხს. ომის ყოველი დღე უახლოებდა ამ მოსალოდნელ საფრთხეს მოკავშირეებს და მოუწოდებდა უშუალოდ ჩაბმულიყვნენ ომში, დაერტყათ ფაშისტი დამპყრობლისთვის და გამოესყიდათ თავიანთი მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგები. **სტალინის პერმანენტული შეხსენება დამნაშავეთა დასჯის შესახებ კატეგორიულად აფრთხილებდა ჰიტლერის მიმართ მიმხრობილ ქვეყნებს, მალე ჩამოსცილებოდნენ გერმანიას, რომელიც ჯოჯოხეთისკენ მიექანებოდა. დაპყრობილ ქვეყნებს კი მიანიშნებდა, რომ მონური მორჩილება ჰიტლერისადმი კიდევ უფრო სახიფათო იყო მათთვის, რადგან სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცი სისხლისგან მალე დაიცლებოდა და მონური მორჩილება მათი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდებოდა.**

სტალინმა ბრალდებათა ეს რგოლები ერთმანეთზე ისე გადახლართა, რომ შეუძლებელი იყო გაერკვია ადამიანს, რომელი იყო ძირითადი და რომელი — ნაკლებმნიშვნელოვანი.

სტალინგრადის შემდეგ, სადაც ჰიტლერელთა მზის ჩაესვენება დაიწყო, მსოფლიო გააყრუა მოსკოვში წითელ მოედანზე განხორციელებულმა გამარჯვების საარტილერიო ზალპმა, რომელმაც დედამიწას ამცნო ერთპოლუსიანი მსოფლიოს დასასრული.

სტალინგრადის ომის ნანგრევებში ნაპოვნი ყველაზე დიდი კოზირი — ჯვრის ტუზი, სტალინმა გულის ჯიბეში ჩაიდო და მოთმინებით გაუყვა ბერლინისაკენ მიმავალ გზას.

1945 წლის 30 აპრილი საბედისწერო აღმოჩნდა მე-3 რაიხისათვის: **ადოლფ ჰიტლერმა** ჯერ იქორწინა **ევა ბრაუნზე**, ხოლო რამდენიმე საათის შემდეგ რევოლვერიდან გასროლით ორივემ მოიკლა თავი. ანდერძის თანახმად, მათი ცხედრები რაიხსტაგის უკანა ეზოში გადაიტანეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

**მაგდა გებელსმა** თავისი 6 შვილი, 5 წლიდან 13 წლამდე, ჯერ სიმაღლითა და წლოვანების მიხედვით დააწყო "დასაძინებლად", შემდეგ კი სასიკვდილო ინიექცია გაუკეთა ვენაში. ცოლმაც და ქმარმაც — მაგდამ და იოზეფმა — შვილებთან ერთად დალიეს სული. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე **ჰიმლერმაც.** ჰიტლერის მარჯვენა ხელი და მისი შემცვლელი პარტიაში **მარტინ ბორმანი** კი 1945 წლის 30 აპრილს "შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა".

მარტინ ბორმანის ბედზე მოგაწვდით რამდენიმე ვერსიას: **1.** მარტინ ბორმანი რაიხსტაგის ბუნკერიდან გამოსვლისთანავე ჩაჯდა ტანკში და გაუჩინარდა. ზოგიერთი თვითმხილველის თქმით, ბორმანის ტანკს, როგორც კი მიუახლოვდა სარკინიგზო სადგურს, დიდი სიძლიერის ბომბი მოხვდა და ადგილზე გაანადგურა როგორც ტანკი, ასევე მისი ეკიპაჟი. **2.** მარტინ ბორმანმა გაასწრო ალმოდებული ბერლინიდან და ცხოვრობდა არგენტინაში. გარდაიცვალა 1979 წელს.

იყო აგრეთვე სხვა ვერსიებიც, რომელთა სინამდვილე სხვადასხვა გამომრიცხავი ფაქტით არ დასტურდებოდა.

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა არ გაითვალისწინა ადვოკატის განცხადება, რომ "მარტინ ბორმანი მკვდარია და მისი გასამართლება არ შეიძლება". ამიტომ, მარტინ ბორმანს დაუსწრებლად მიესაჯა სიკვდილი ჩამოხრჩობით.

1972 წელს ბერლინში, ქუჩის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებისას, მუშებმა იპოვეს მიცვალებულის ნეშტი, რომელსაც რამდენიმე განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდა შემორჩენილი. ექსპერტებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ ნეშტი შეიძლებოდა სწორედ მარტინ ბორმანის ყოფილიყო.

დაიწყო კვლევა. **მარტინ ბორმანის შვილიშვილმა სურვილი გამოთქვა, ჩაეტარებინა დნმ-ს ანალიზი. ამ ანალიზისა და მრავალგზის გადამოწმების შემდეგ ექსპერტებმა გასცეს ოფიციალური ცნობა, რომ გვამის ნარჩენები სწორედ მარტინ ბორმანისა იყო. ასე შეიქნა ცნობილი №4 ნაცისტი დამნაშავის მარტინ ბორმანის დაღუპვის დრო და მიზეზი, რომლის გამოც იგი ვერ მოხვდა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სხდომის დარბაზში.**

1945 წლის აპრილში, ომის დასრულებამდე ერთი თვით ადრე, „დიდ სამეულს“ **ფრანკლინ რუზველტი** გამოაკლდა. რუზველტის გარდაცვალებამ ბევრი რამ დააკლო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ომისშემდგომ ურთიერთობებს.

1945 წლის აგვისტოში დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის არჩევნებმა მეორე ასევე უდიდესი პოლიტიკოსი **უინსტონ ჩერჩილი** ჩამოაცილა სამეულს.

გამარჯვების ტრიუმფატორი სტალინი პოტსდამის კონფერენციიის დასკვნით სხდომებზე მრგვალ მაგიდასთან ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტ **ჰარი ტრუმენსა** და ინგლისის პრემიერმინისტრ **ენტონი იდენთან** ერთად იჯდა. პოტსდამი სხვა საკითხია და სხვა დროს განვიხილავთ. ახლა კი განვაგრძოთ დაწყებული თემა.

**სტალინს თავიდანვე ეჭვი ეპარებოდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ლეგიტიმურობაში, რადგან მას მხოლოდ გამარჯვებულები ატარებდნენ და მის შემადგენლობაში არ იყვნენ მიუმხრობელი ქვეყნის წარმომადგენლები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნიურნბერგის პროცესი 1949 წლამდე გაგრძელდა და მოიცვა თითქმის 100-მდე გახმაურებული პროცესი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლო პროცესს რაღაც მართლა აკლდა იურიდიული თვალსაზრისით.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შორსმჭვრეტელმა სტალინმა პროცესის ჩატარება ამერიკასა და ინგლისს მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესთავაზა, რასაც სიამოვნებით დაეთანხმნენ კოალიციის სხვა წევრები. სტალინმა ისიც იფიქრა, რატომ უნდა აელო საბჭოთა მხარეს დამნაშავეთა დასჯის ინიციატივა. ამიტომ, მან გადაწყვიტა, რომ სასამართლო სხდომების თავმჯდომარეობა კანონმდებლობის უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნის — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს დაკისრებოდა. ასეთად კი კოალიციამ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ლოურენსი** შეარჩია. ბრალდების მთავარ ხელმძღვანელად ამერიკელი **ჯეკსონი** დასვეს. საბჭოთა კავშირიდან ბრალმდებლად სრულიად ახალგაზრდა, უკრაინის რესპუბლიკის პროკურორი **რუდენკო** იქნა მივლინებული, რომელსაც კონსულტაციას **ვიშინსკი** უწევდა.

სტალინმა აქაც მოხერხებულად გამოსდო ქართული კვანტი მოწინააღმდეგეებს და წაქეზებული ჰიტლერელები წამქეზებლებმა — ამერიკელებმა და ინგლისელებმა — თავიანთი ჯალათის, **ვუდსის** ხელით დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს.

ალბათ, ეს ჰქონდა ჩერჩილს მხედველობაში 1959 წელს თემთა პალატაში სტალინის 80 წლისთავზე სიტყვით გამოსვლისას: **„სტალინმა თავისი მტრები მტრებისვე ხელით გაანადგურა“.**

მკითხველო, ვთქვათ, ეს სიტყვები არ ეთქვა ჩერჩილს. თვითონ სტალინის თითოეული ქმედება არ არის იმის აშკარა მტკიცებულება, რომ სტალინმა თავისი მტრები მტრებისვე ხელით გაანადგურა?

ნიურნბერგის პროცესების პარალელურად მოსკოვში პოლიტბიუროს დახურულ სხდომებზე იხილებოდა სამხედრო ტრიბუნალზე მიმდინარე პროცესები და სტალინი კრემლიდან რეგულარულად უგზავნიდა მთავარ ბრალმდებელ რუდენკოს დირექტივებს, როგორ უნდა გამოსულიყო და რა ბრალდებები წაეყენებინა ნაცისტი სამხედრო დამნაშავეებისთვის დროისა და ადგილის გათვალისწინებით.

განსასჯელთა სკამზე ისხდნენ არა ჯიბის ქურდები და შარაგზის ყაჩაღები, ▶



ჯონ ვუდსი

## სტალინმა აქაც მოხერხებულად გამოსდო ქართული კვანტი მოწინააღმდეგეებს და წაქეზებული ჰიტლერელები წამქეზებლებმა — ამერიკელებმა და ინგლისელებმა — თავიანთი ჯალათის, ვუდსის ხელით დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს. ალბათ, ეს ჰქონდა ჩერჩილს მხედველობაში 1959 წელს თემთა პალატაში სტალინის 80 წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში: „სტალინმა თავისი მტრები მტრებისვე ხელით გაანადგურა!“

გრიგოლ ოხიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀არამედ მსოფლიოში არნახული სიძლიერისა და მონოლითის იმპერიის მშენებლები, რომელთა ნიჭი და შემოქმედება 7 წლის განმავლობაში ანცვიფრებდა მსოფლიოს.

განსასჯელებმა სტალინის მიერ ჩაფიქრებული იურიდიული სასამართლო პოლიტიკურ პროცესად აქციეს. გერმანიისა და სხვა ქვეყნების ცნობილი იურისტები გააფთრებით იცავდნენ თავიანთ დასაცავებს და არანაკლებ პოლიტიკურ ბრალდებებს უყენებდნენ კოალიციაში შემავალი ქვეყნების ხელმძღვანელებს, რომელთა მიმართაც ხშირად ისმოდა შეურაცხმყოფელი სიტყვებიც.

სტალინმა პოლიტბიუროს 1946 წლის იანვრის სხდომაზე მტკიცედ განსაზღვრა საკითხები, რომელზეც უნდა ემსჯელა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალს, რათა არ გადაექციათ იგი პოლიტიკურ დებატებად. ეს მემორანდუმი გაეგზავნა რუდენკოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის კომიტეტზე გადასაცემად.

მოკავშირეთა წარმომადგენლებმა აღნიშნული მომორანდუმი ამერიკის შეერთებული შტატების, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს გააცნეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც სტალინის მოსაზრებას ალტერნატივა არ ჰქონია. ამიტომ ტრიბუნალმა შეიმუშავა საკითხების ნუსხა, რომლის გარეთაც სასამართლო პროცესი არ უნდა გასულიყო.

ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც იცავდნენ მსოფლიოში ცნობილი იურისტები, რკინის სალტეში იქნა მომწყვდეული. მართლმსაჯულებამ მტკიცებულებათა კორიანტელი დააყენა. მხოლოდ ეს-ეს-ის (SS — ფაშისტური ორგანიზაცია) წინააღმდეგ მოწმეთა ათიათასზე მეტი წერილობითი დოკუმენტი დაიდო და დაიკითხა 61 თვითმხილველი მოწმე, ეს-ა-ზე (SA — ფაშიტური მოიერიშე რაზმები) — 7000-ზე მეტი, ეს-დეზე (SD — უსაფრთხოების სამსახური) — 30000, ვერმახტის გენერალურ შტაბზე — 2000.

რუდენკომ კრემლიდან გამოგზავნილი კოზირი მაშინ გაათამაშა, როდესაც ამის ბრძანება სტალინისაგან მიიღო.

**რუდენკომ სამხედრო დამნაშავეებს მიმართა, რომ ამჟამად მათ ბრალს ფელდმარშალი პაულიუსი წაუყენებდათ, რასაც ბრალდებულები ღიმილით შეხვდნენ, რადგან პაულიუსი 1943 წელს ბერლინში დაასაფლავეს. მის კუბოზე ჰიტლერმა ბრილიანტებით შემკული ფელდმარშლის ხმალი დაადო. გერინგმა და სხვა ბრალდებულებმა არ იცოდნენ, რომ კუბო ცარიელი იყო და ჰიტლერმა „ბლეფი“ გაითამაშა, როდესაც ამბობდა, პაულიუსმა თვითმკვლელობა არჩია რუსების ტყვეობასო.**

— რამდენ ხანში ჩამოვა ფელდმარშალი პაულიუსი მოსკოვიდან ნიურნბერგში? — ღიმილით იკითხა გერინგმა.

— სულ რამდენიმე წამში — უპასუხა რუდენკომ და სასამართლო დარბაზის კარიც გაიღო.

დარბაზში შემოვიდა შავ კოსტიუმსა შტიბლეტებში გამოწყობილი, „ბაბოჩკით“ ყელდამშვენებული ფელდმარშალი პაულიუსი.

ბრალდებულებს მყისვე გაუქვავდათ სახე, შემდეგ კი იმედგადაწურულებმა თავი ჩაქინდრეს. პაულიუსის მხრიდან ვერმახტის საიდუმლო საქმეების პირუთვნელმა აღიარებამ საბოლოოდ დაასრულა საბრალდებულო დასკვნა.

თუ რა მასშტაბებს აღწევდა ნიურნბერგში დაწყებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ქვემოთ მოყვანილი ციფრებიდანაც ცანს:

**სასამართლო პროცესის მიმდინარეობის 10 თვისა და 10 დღის განმავლობაში დაიხარჯა 200 ტონა ქაღალდი, 27 000 მეტრი ხმის ჩასაწერი ლენტი, დაიწერა 50 000 000-ზე მეტი თაბახის ფურცელი, გადაღებული იქნა 30 000 დოკუმენტის ფოტოფირი, ნაჩვენები იქნა ასობით კილომეტრი დოკუმენტური კინომასალა. ამ ზღვა მასალის წარდგენისა და ნახვის შემდეგ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც 1946 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა.**

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა ჩამოხრჩობა მიუსაჯა: **რიბენტროპს, კალტენბრუნერს, როზენბერგს, ფრანკს, ფრიკს, შტრეიხერს, ზაუკელს, იოდლს, ზეისინკვარტს, გერინგს, ბორმანს** (დაუსწრებლად). **რობერტ ლეიმ**, ვიდრე მის სასჯელს გამოაცხადებდნენ, თვითონვე გამოუტანა თავს განაჩენი და პირსახოცის ნახევებისაგან გადაბმული თოკით თავისივე საკანში საკანალიზაციო მილზე ჩამოიხრჩო თავი.

**გერინგმა, კეიტელმა** და **რიბენტროპმა** თხოვნით მიმართეს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალს, რომ ჩამოხრჩობა დახვრეტით შეეცვალათ, მაგრამ ტრიბუნალმა მათი თხოვნა არ გაიზიარა და განაჩენი ძალაში დატოვა.

მას შემდეგ, რაც გერინგმა უარი მიიღო, ჩამოხრჩობამდე 2 საათით ადრე, მისი საკნიდან უჩვეულო ხმაური მოისმა. საკნის დარაჯმა სასწრაფოდ იხმო მორიგე ოფიცერი. გერინგის საკნის კარის გაღებისთანავე დაინახეს, რომ გერინგი მკვდარი ეგდო საკნის იატაკზე. ექიმისა და საექიმო კომისიის სხვა წევრების თანდასწრებით დადგინდა სიკვდილის მიზეზი — ციანიდის ამპულის პირის ღრუში გატეხვა, რამაც გამოიწვია სწრაფი სიკვდილი. როგორც გაირკვა, ციანიდის ამპულა გერინგს მეუღლემ გადასცა დამშვიდობებისას კოცნის მომენტში.

ამრიგად, ჰიტლერი გებელსი, ჰიმლერი, რობერტ ლეი და მარტინ ბორმანი ეშაფოტის კიბეზე არ ასულან, რადგან ჩამოხრჩობამდე თვითონვე მოისწრაფეს სიცოცხლე.

ყველა სამხედრო დამნაშავე, ერთეულების გამოკლებით, ეშაფოტზე ასვლას მამაცურად შეხვდა და გერმანიას გულითადად მიესალმა.

1946 წლის 16 ოქტომბერს, ღამის 4 საათზე, ეშაფოტთან პირველი **იოახიმ ფონ რიბენტროპი** მიიყვანეს — გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი. მან ჩამოხრჩობის წინ განაცხადა: **„ჩემი უკანასკნელი სურვილი იქნება, გერმანიამ კვლავ გამოიჩინოს ერთიანობა, რომელიც იქნება საფუძველი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთგაგებისა და ქვეყნად მშვიდობის დამყარების“.** ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ამერიკელმა ჯალათმა **ჯონ ვუდსმა** მას თავზე ჩაჩი ჩამოაცვა და კისერზე ყულფი გაუკეთა.



ნაცისტი დამნაშავეების საკნები ნიურნბერგში

**მაგდა გებელსმა თავისი 6 შვილი, 5 წლიდან 13 წლამდე, ჯერ სიმაღლითა და წლოვანების მიხედვით დააწყო «დასაძინებლად», შემდეგ კი სასიკვდილო ინიექცია გაუკეთა ვენაში. ცოლმაც და ქმარმაც — მაგდამ და იოზეფმა — შვილებთან ერთად დალიეს სული. თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე ჰიმლერმაც. ჰიტლერის მარჯვენა ხელი და მისი შემცვლელი პარტიაში მარტინ ბორმანი კი 1945 წლის 30 აპრილს «შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა»**

რიბენტროპის გვამი თოკზე ქანაობდა, როდესაც მეორე სახრჩობელასთან გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი **ვილჰელმ კაიტელი** შემოიყვანეს. მან ჩამოხრჩობის წინ თავისი ჯარისკაცები გაიხსენა და წარმოთქვა საბოლოო სიტყვა: **„ჩემამდე ორ მილიონამდე ჯარისკაცი დაიღუპა სამშობლოსთვის ბრძოლაში. მე მივდივარ ჩემს შვილებთან გერმანიის სახელით“.**

ვიდრე რიბენტროპს თოკიდან ჩამოხსნიდნენ, იქ უკვე იდგა მესამე სამხედრო დამნაშავე **ალფრედ იოდლი,** რომელმაც უშიშრად აიარა ეშაფოტის 13 საფეხური და ხელაწეულმა წარმოთქვა: **„მოგესალმები, ჩემო გერმანია!“**

ყველაზე კარგად გამოიყურებოდა იმპერიის უშიშროების შეფი **ერნსტ კალტენბრუნერი**, რომელმაც მეშახტეთა გამოთქმა გამოიყენა და ვიდრე ჩამოკიდებდნენ წარმოთქვა: **„მშვიდობით დაბრუნებისა იყოს“.**

გერმანიის იუსტიციის ყოფილი მინისტრი **ჰანს ფრანკი** ღიმილით ავიდა ეშაფოტზე. მან ამაყად გადახედა იქ მდგომთ და განაცხადა: „მადლობელი ვარ იმ მოპყრობისათვის, რომელსაც იჩენდნენ ჩემ მიმართ პატიმრობაში ყოფნისას და ვთხოვ ღმერთს შეწყალებას“.

სრულიად საპირისპირო იყო შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის **ვილჰელმ ფრიკის** მოქმედება. ის ჩამოხრჩობის წინ სულიერად დაეცა, ბარბაცებდა და ძირს ეცემოდა. ბოლოს თითქოს ძალა მოიკრიფა, ეშაფოტზე ავიდა და დაიძახა: **„გაუმარჯოს უკვდავ გერმანიას!“**

**არტურ ზეის-ინკვარტი** — ავსტრიის, პოლონეთისა და ნიდერლანდების ყოფილი მმართველი, მხნედ გამოიყურებოდა. მან წარმოთქვა: „მე ვისურვებდი, რომ ეს ჩამოხრჩობა ყოფილიყოს მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი შემზარავი აქტი“.

**ფრიც ზაუკელი** — შრომითი რესურსების მინისტრი, ბოლომდე ამბობდა, რომ უდანაშაულო იყო. ეშაფოტზეც განაცხადა, რომ უდანაშაულოა.

**ალფრედ როზენბერგი** — საგარეო პოლიტიკის ფუძემდებელი, რასობრივი თეორიის შემქნელი და პროპაგანდისტი, ერთადერთი იყო ჩამოსახრჩობთა შორის, რომელმაც უარი განაცხადა საბოლოო სიტყვის წარმოთქმაზე.

ამერიკელი უმცროსი სერჟანტი **ჯონ ვუდსი** გამოცდილი ჯალათი იყო, რომელსაც თავის სამშობლოში 347-ჯერ ჰქონდა შესრულებული ეს პროცედურა. ჯონ ვუდსის მონათხრობით, რიბენტროპი, იოდლი და კეიტელი რამდენიმე წუთის განმავლობაში ებრძოდნენ სიკვდილს ყულფში თავგაყოფილები. ხოლო შტრეიხერის კონვულსიები იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ იძულებული შეიქნა ხელით დაეხრჩო.

ყულფიდან ჩამოხსნილი ცხედრები რიგის მიხედვით დააწყვეს იატაკზე. იქვე, მათ გვერდით, დაასვენეს გერინგის ცხედარიც.

საექიმო კომისიამ სათანადო ოქმის გაფორმებით, ხოლო ფოტოგრაფებმა დამადასტურებელი ფოტოების გადაღებით დაასრულეს 1946 წლის 16 ოქტომბრის ღამე.

დილით ცხედრები ბრეზენტგადაფარებული სატვირთო ავტომანქანის ძარაზე გადაიტანეს და სამხედრო კორტეჟის თანხლებით მანქანამ გეზი მიუნხენისაკენ აიღო.

მიუნხენის გარეუბანში, კერძო კრემატორიუმში მოხდა რემაცია გვამებისა და მათთან ერთად იმ თოკებისა, რომლებითაც ჩამოახრჩვეს გერმანიის 10 სამხედრო დამნაშავე. მათი ფერფლი თვითმფრინავით იქნა მობნეული მდინარეზე.

ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა **ჰესს, ფუნკსა** და **რედერს.**

**შირახსა** და **შპეერს** — 20-20 წლით პატიმრობა.

**ნოირატს** — 15 წლით პატიმრობა.

**დენიცს** — 10 წლით პატიმრობა.

**ფრიჩე, პაპენი** და **შახტი** გაამართლეს.

**კრუპი** — სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა განუკურნებელ ავადმყოფად და მის მიმართ სასჯელი არ იქნა გამოტანილი.

როგორც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა გამოარკვია, ყველა გერმანელი სამხედრო დამნაშავე არ იმსახურებდა შეპყრობისთანავე დახვრეტას, რასაც დაჟინებით მოითხოვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი, დემოკრატიის მამამთავარი უინსტონ ჩერჩილი. ნიურნბერგის სასამართლო პროცესმა 100%-ით დაადასტურა სტალინის სიტყვები: „გერმანელი სამხედრო დამნაშავეები უნდა გაასამართლოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა და დამნაშავეები დასაჯონ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად“. ალბათ, ამის ადრეული გამოძახილი, იყო როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა პროკურორმა, ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ბრალდების თავმჯდომარე **ჯეკსონმა** განაცხადა: **„საბჭოთა იურისპრუდენცია გაცილებით დემოკრატიულია, ვიდრე ამერიკული“.**

მწერალი-ისტორიკოსი **ვიქტორ სუვოროვი** წერს:

„ნიურნბერგის პროცესზე საბჭოეთიდან მეთვალყურედ მივლინებული იყო ანდრეი ვიშინსკი, რომლის უკანაც ვილაც იდგა და მას დისტანციურად მართავდა – ეს იყო სტალინი. ეს მან მოიფიქრა და შექმნა პროცესი, რომელსაც უშუალოდ მართავდა. სტალინი იყო მთავარი რეჟისორი ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალისა, რომელშიც მაშინ ბევრი ვერ ერკვეოდა და ვერც ახლა ერკვევა. ნიურნბერგის პროცესი სტალინმა მოამზადა ისეთი სკრუპულოზური სიზუსტით, როგორითაც მანჯურიის სტრატეგიული შეტევის ოპერაცია.

საბჭოთა კავშირის ინტერესები ისე იყო დანახული სასამართლო პროცესებზე, როგორც საქვეყნოდ ცნობილი სტალინგრადის ნანგრევები. რასაც აკეთებდა სტალინი, მით უმეტეს ამ შემთხვევაში (ნიურნბერგში), იყო აზრიანი და ემყარებოდა სტალინის ფოლადისებურ ლოგიკას. ეს ლოგიკა კიდევ უფრო თვალნათელი გახდა, როდესაც სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს როზენბერგი, რომელმაც შექმნა საოკუპაციო რეჟიმი. ეს იყო სტალინის ურყევი ნება და რკინის ლოგიკა, რომელმაც სახრჩობელაზე აიყვანა რიბენტროპი, კეიტელი, იოდლი და სხვები“.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო პოეტის სიტყვები:

**„ყველგან სტალინის სიბრძნე ანათებს, ყველგან სტალინის მარჯვენა ვიცან!“** (ი. მოსაშვილი, ლექსი „აი, ქართველო შენი სამშობლო“).

**P.S. მკითხველმა, რომელიც ღრმად არის გაცნობილი ნიურნბერგის პროცესის მიმდინარეობას, შეიძლება მისაყვედუროს, რომ ჩემი პუბლიკაციები უფრო ღრმად არ გადმოსცემს პროცესის მიდინარეობასა და მნიშვნელობას, მაგრამ მეტი ვერ შევძელი საგაზეთო წერილებში...**

**ნიურნბერგის პროცესის დეტალების აღწერასა და მისი მნიშვნელობის გაანალიზებას ინგლისმა ომის შემდგომ პერიოდში 116 სქელტანიანი ტომი მიუძღვნა.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვიცოდი, რომ ბრიტანული პრესა ყველაფერს გააკეთებდა რუსეთისა და ამ ქვეყნის ფეხბურთის დისკრიმინაციისთვის. ეს ხდება იმისთვის, რომ რუსეთს ჩამოართვან მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლება და გადასცენ ინგლისს. ასე გაგრძელდება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე, რადგან ბრიტანულ მედიას სურს, რუსეთი ყოველთვის ნეგატიური კუთხით წარმოაჩინოს. დიახ, ფეხბურთი პოლიტიზებულია და ეს საშინელებაა“.



# დასავლური «დემოკრატიული» პრესა — ცილისწამება და დეზინფორმაცია

## ბრიტანულმა გამოცემამ კიევის სტადიონზე უკრაინელთა რასისტული გამოხდომის შესახებ სტატია ასე დაასათაურა — «რასიზმი რუსეთში»

**„დემოკრატიული“ დასავლეთი ამა თუ იმ საკითხზე ორმაგ სტანდარტს რომ იყენებს, თანაც მხოლოდ თავის სასარგებლოდ, ახალი ამბავი არ არის, არც ცილისწამებისა და დეზინფორმაციის გავრცელებაა დასავლური „დემოკრატიული“ და „პლურალისტული“ მედიისთვის უცხო. აშშ-ის ამჟამინდელ პრეზიდენტს — დონალდ ტრამპს (და არა მხოლოდ მას) არაერთხელ შეუმკია წამყვანი ამერიკული მედიასაშუალებები „დეზინფორმატორისა“ და „ცილისმწამებლის“ ეპითეტებით. ახლახან კი ბრიტანულმა მრავალტირაჟიანმა ტაბლოიდმა კიევში უკრაინელი ფანატიკოსი გულშემატკივრებს რასისტული გამოხდომა რუსებს მიაწერა.**




უკრაინის დედაქალაქი კიევი. ნაციონალური სასპორტო კომპლექსი „ოლიმპიისკი“. მოედანზე ერთმანეთს ხვდებიან კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტარი“. ეს მატჩი დასამახსოვრებელი იყო არა თამაშით, არამედ იმით, რაც ტრიბუნებზე ხდებოდა.

**ბრიტანულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ამ მატჩის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალები: გულშემატკივრები კუ-კლუქს-კლანის სამოსში, ვიღაცას შუბლზე სვასტიკა აქვს მიხატული. ფაიერები (პიროტექნიკური სასიგნალო მოწყობილობა მუყაოს ჰილზის სახით), სტვენა, ყვირილი. მატჩის 88-ე წუთზე კი ორივე გუნდის გულშემატკივრები ერთდროულად აღრიალდნენ. 88-ე წუთი, ეს რიცხვი ნაციონალისტებისთვის კოდირებულია როგორც ჰიტლერის მისალმება. სხვათა შორის ტრიბუნაზე „შახტარის“ გულშემატკივართა შორის იყო ადამიანი ჰიტლერის გამოსახულებიანი მაისურით.**

„დინამოს“ გულშემატკივრები სოციალურ ქსელებში აგიტაციას უწევდნენ სხვებს, რომ თამაშზე მისულიყვნენ თეთრი ფერის ტანსაცმელში გამოწყობილნი, და მატჩის მიმდინარეობისას, რომელსაც „უკრაინულ კლასიკოს“ უწოდებენ, მოეწყოთ „თეთრი სიგიჟე“. — წერს **„დეილი მეილი“**.

აი ბრიტანულმა ტაბლოიდმა „სანმა“ კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა, როდესაც ამ მატჩის ამსახველი ვიდეო ასე დაასათაურა: **„რასიზმი რუსეთში: „დინამოს“ გულშემატკივრებმა შახტარის“ წინააღმდეგ რასობრივი აგრესიის გამოვლენით შოკი გამოიწვიეს“.**

**„ვიცოდი, რომ ბრიტანული პრესა ყველაფერს გააკეთებდა რუსეთისა და ამ ქვეყნის ფეხბურთის დისკრიმინაციისთვის. ეს ხდება იმისთვის, რომ რუსეთს ჩამოართვან მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარების უფლება და გადასცენ ინგლისს. ასე გაგრძელდება მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე, რადგან ბრიტანულ მედიას სურს, რუსეთი ყოველთვის ნეგატიური კუთხით წარმოაჩინოს. დიახ, ფეხბურთი პოლიტიზებულია და ეს საშინელებაა“.** — განაცხადა ფეხბურთის ინგლისელმა ექსპერტმა და მწერალმა **დაგი ბრიმსონმა.**

როდესაც ერთი ქვეყნის ნაცვლად მეორეს მოიხსენიებენ, ეს ვიღაცას ასე სჭირდება. თანაც მსგავსი რამ პირველად არ ხდება. ოღონდ ადრე ბრიტანელი ჟურნალისტები ერთმანეთში ურევდნენ ზეიმისა და გულშემატკივრების შეხლა-შემოხლის ფოტოებს

გამოცემა „დეილი მორორმა“ გამოაქვეყნა ფოტო მყვირალა სათაურით: „რუსი ულტრასები აფრთხილებენ ინგლისელ გულშემატკივრებს: შეიძლება მოგკლათ ჩემპიონატის მიმდინარეობისას“. ფოტო დასაშინებლად.

საზოგადოდ, რუსი გულშემატკივრების თემა სულ უფრო ხშირად ჩნდება ▶





# ოჯახები, რომლებიც ფარულად მართავენ მსოფლიოს

**„ე.წ. ჩრდილოვანი ძალები, რომლებიც დგანან „ახალი მსოფლიო წესრიგის“ უკან, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ თანმიმდევრულად ახორციელებენ გეგმას კაცობრიობასა და პლანეტის რესურსებზე სრული კონტროლის დამყარების შესახებ. ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ მას ნელ-ნელა ართმევენ თავისუფლებას, ამასთანავე, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემოქმედთა ძალა განუხრელად იზრდება“, — იუწყება ვებგვერდი humansarefree.com.**

„ახალი მსოფლიო წესრიგის“ შემოქმედთა პირამიდის წვერზეა ელიტური ორგანიზაცია, რომელიც ცნობილია, როგორც 13 ოჯახის საბჭო, და რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პრცესებზე. ეს არის მსოფლიოში 13 ყველაზე გავლენიანი ოჯახი, რომელთა წარმომადგენელთა აზრით, მათ აქვთ უფლება, იბატონონ მსოფლიოზე, რადგან ცისფერსისხლიანები არიან. ეს ოჯახებია:

**როტშილდები (ბაიერიები ან ბაუერები);**
**ბრიუსები;**
**კევენდიშები (კენედები);**
**მედიჩები;**
**ჰანოვერები;**
**ჰაბსბურგები;**
**კრუპები;**
**პლანტაგენოტები;**
**როკფელერები;**
**სინკლერები (სენ-კლერები);**
**ვარბურგები;**
**უინძორები (საქსონ-კობერგ-გოტე).**

მათ შორის ყველაზე ძლიერია როტშილდების დინასტია, რომლის ქონება შეფასებულია დაახლოებით 500 ტრილიონ დოლარად; ეს კლანი ძალაუფლებას ახორციელებს მსოფლიოს საბანკო იმპერიის მეშვეობით.

ყველაზე მნიშვნელოვანი დაწესებულებები, რომლებიც კაცობრიობის დასამორჩილებლად და „მსოფლიო ახალი წესრიგის“ დასამკვიდრებლად მუშაობს, არის:

**ლონდონის სიტი** (აკონტროლებენ როტშილდები.); **აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა** (აკონტროლებენ როტშილდები). **ვატიკანი** (ადამიანების იდეოლოგიური დამუშავება) — არ არის იტალიის ნაწილი.

ზემოჩამოთვლილი დაწესებულებები წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში; მოქმედებს საკუთარი კანონებით და ვერანაირი სასამართლო ვერ დააკისრებს მათ პასუხისმგებლობას.



### განათლების სისტემა – ტვინების გამორეცხვა

მეორე ინსტრუმენტი, რომელსაც კაცობრიობის დასამორჩილებლად იყენებენ, არის განათლების დამოუკიდებელი სისტემა. სკოლები ისეთი აღარ არის, როგორიც უწინ იყო. ბავშვები სწავლობენ ისე, რომ არც კი ფიქრობენ დამახსოვრებას და ეჭვიც კი არ შეაქვთ, რას ასწავლიან.

განათლების ეს სისტემა საკმაოდ ძვირია იმისთვის, რომ მიიღო სპეციალობა და დაიწყო მუშაობა, აგრეთვე, მოძველებულია ინტერნეტის ეპოქისთვის.

რატომ არის მოძველებული? იმიტომ, რომ **ინტერნეტში ხელმისაწვდომია უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია. მაშ, რატომ ვიხდით უზარმაზარ თანხებს განათლებაში? იმიტომ, რომ „მსოფლიო ელიტას“ სურს, ჩვენმა შვილებმა ისწავლონ მორჩილება და არა — აზროვნება.**

### ფულის მონები

საფინანსო სისტემამ მძლავრად იმუშავა და ახლა ადამიანები ფულის მონებად იქცნენ. ისინი დღეში 8 საათს მუშაობენ შემოქმედებითი სტიმულის გარეშე. ხშირად სამსახურში დაწინაურების მოტივი ხელფასის მომატებაა და, იმისგან დამოუკიდებლად, რა მძიმე სამუშაოს ასრულებს ადამიანი, ხელფასი მაინც არ ჰყოფნის და ბანკისგან კრედიტს იღებს. ▶

**აშშ-ის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, გადახედოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას სამხრეთ კორეასთან, რადგან ამ ხელშეკრულების პირობები, ტრამპის აზრით, სასარგებლო არ არის ამერიკისთვის. თავისი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ტრამპი ამტკიცებდა, რომ ამ ხელშეკრულების გამო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 100 ათასი სამუშაო ადგილი დაკარგა.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბრიტანულ მედიაში. მაგალითად, „დეილი მეილი“ ადრინდელ სტატიაში ამტკიცებდა, რომ რუსმა გულშემატკივრებმა ცემა-ტყეპა გამართეს მოსკოვური დერბის —„ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ მატჩის შემდეგ, და როგორც მტკიცებულება, დაურთეს ტყეში გამართული ორთაბრძოლების ვიდეო.

თუმცა **ამ შემთხვევაში ბრიტანელ ჟურნალისტებს შეეშალათ თარიღი — 18 მარტი. სწორედ ამ დღეს გაიმართა რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-20 ტურს მატჩი „სპარტაკსა“ და ”ლოკომოტივს” შორის, მოსკოვში იმ დღეს პლუს 5 გრადუსი იყო, ვიდეოკადრებზე კი ჩანს, რომ გულშემატკივრები შორტებსა და მაისურებში არიან გამოწყობილი. ბალახი მწვანედ ბიბინებს, ხეებზე ფოთლებია. ეს ვიდეო ზაფხულში ან ადრე შემოდგომაზეა გადაღებული. მაგრამ ბრიტანული გაზეთის რედაქციამ ეს არად ჩააგდო — რა მნიშვნელობა აქვს, გაზაფხულია თუ ზაფხული რუსეთში, თუ შეშინებაა, შეშინება იყოს...**

**ამჯერად კი „სანის“ ჟურნალისტებმა ღრმად შეტოპეს: უკრაინელი გულშემატკივრების რასისტული აქცია რუსებს მიაწერეს.**

ნიშანდობლივია, რომ ეს ყველაფერი კიევის სასპორტო არენაზე მოხდა მუსიკალური შოუს — „ევროვიზიის“ დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, რომელსაც ასე გულმოდგინედ ამზადებს კიევი.

ექსპერტთა შეფასებით, ამჟამინდელ უკრაინაში ნეონაციზმის, ფაშიზმის თემა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად იქცა — ამ ყველაფერს ხელისუფლება არ გმობს. და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ფეხბურთის მატჩების მიმდინარეობისას ტრიბუნებზე შეიძლება ნახოთ ფაშისტური სიმბოლიკა, ემბლემები და ლოზუნგები.

**ნიკა კორინთელი**

◀ ეს ყველაფერი კარგად არის დამუშავებული — **ადამიანი, რომელიც გამუდმებით იმყოფება ფინანსური კრახის ზღვარზე, ვერ შეძლებს ხარისხიანი განათლების მიღებას და სულიერად ვერ განვითარდება.**

„მსოფლიო ელიტას“ არ სჭირდება განათლებული ადამიანები, რომლებიც კრიტიკულად იაზროვნებენ, ასეთები „ელიტისთვის“ სახიფათოა. „ელიტას“ სჭირდება მორჩილი რობოტები, რომლებიც შეძლებენ მანქანა-დანადგარების მართვას და სისტემის სამუშაო მდგომარეობაში შენარჩუნებას, მაგრამ კითხვებს არ უნდა სვამდნენ.

ყველა დიდ პრობლემას, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, ფესვები გადგმული აქვს ფინანსურ სისტემაში: ომი მომგებიანია, ავადმყოფობაც, სარგებელს ნახავ, თუ დედამიწის წიაღისეულს ჩაიგდებ ხელში, ადამიანებს არაადამიანურ პირობებში ამუშავებ და ა.შ.

პოლიტიკოსები გარყვნა ფულმა და დედამიწაზე კაცობრიობის მისია ფულმა შეცვალა.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

# ამერიკული მეგობრობის საფასური




## ტრამპმა სამხრეთ კორეას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განლაგებისთვის ანგარიში წარუდგინა

**ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსის, 1855-1865 წლებში ბრიტანეთის პრემიერმინისტრის, ლორდ ჰენრი პალმერსტონის ფრაზა, რომ „არ არსებობენ არც მუდმივი მოკავშირეები, არც მუდმივი მტრები და მუდმივია მხოლოდ ინტერესები“, კიდევ ერთხელ დაამტკიცა აშშ-ის ამჟამინდელი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ მისი მეგობარი სახელმწიფოს, საქართველოს მსგავსად, „სტრატეგიული მოკავშირის“ — სამხრეთ კორეის მიმართ.**

**დონალდ ტრამპი** ელის, რომ სამხრეთი კორეა გადაიხდის ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა THAAD-ის განლაგების საფასურს, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, 1 მლრდ ღირს. ამას გარდა, ტრამპს განზრახული აქვს, გადახედოს სეულთან შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

სამხრეთ კორეაში, სადაც მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართა ქვეყანაში ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების გამო, უკვე განაცხადეს, რომ ვაშინტონს არაფერს გადაუხდიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრამპის შეფასებით, კორეის ნახევარკუნძულზე მასშტაბური კონფლიქტის დაწყების ალბათობა დიდია.

აშშ-ის ლიდერის განცხადებაზე, რომ სამხრეთ კორეამ უნდა გადაიხადოს 1 მლრდ დოლარი სისტემის განლაგებისთვის, სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს რეაქცია მყისიერი იყო, — იუწყება სააგენტო „რენხაპი“. — სეულის პოზიცია უცვლელია — ქვეყანა იძლევა ფართობს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა THAAD-ის გასანლაგებლად, აგრეთვე, ინფრასტრუქტურას, რომელიც აუცილებელია სისტემის ასამუშავებლად, აშშ-მა კი უნდა დაიკისროს პასუხისმგებლობა ამ სისტემის განლაგებასა და გამართვაზე.

26 აპრილს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის პირველი მოწყობილობა პროვინცია კენსან-ნამდოს დასახლებულ პუნქტ — სონჯუში ჩაიტანეს, სადაც გაიმართა ამერიკული THAAD-ის განლაგების საწინააღმდეგო საპროტესტო აქცია. **ადგილობრივი მოსახლეობა შიშობს, რომ კომპლექსის განლაგების შემდეგ მათი რაიონი ჩრდილოეთი კორეის რაკეტების სამიზნეში აღმოჩნდება.**

**აშშ-ის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ განზრახული აქვს, გადახედოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას სამხრეთ კორეასთან, რადგან ამ ხელშეკრულების პირობები, ტრამპის აზრით, სასარგებლო არ არის ამერიკისთვის. თავისი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ტრამპი ამტკიცებდა, რომ ამ ხელშეკრულების გამო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაახლოებით 100 ათასი სამუშაო ადგილი დაკარგა.**

დონალდ ტრამპის განცხადების თანახმად, კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის ესკალაციამ შეიძლება ფართომასშტაბიანი კონფლიქტი გამოიწვიოს. „არსებობს შანსი, რომ ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ დიდ კონფლიქტში ჩართული ჩრდილოეთ კორეასთან“, — განაცხადა ტრამპმა სააგენტო „როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ამასთანავე, ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონს საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარების სურვილი აქვს და აღნიშნა პეკინის როლიც კრიზისის მოგვარების საქმეში.

ჩრდილოეთი კორეის ლიდერ **კიმ ჩენ ინის** შესახებ კი ტრამპმა ფრთხილი განცხადება გააკეთა: „ვიმედოვნებ, რომ ის გონიერია“. ამას გარდა, ტრამპმა გაიხსენა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ამჟამინდელი ლიდერი ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა ხელისუფლების სათავეში მოვიდა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **რექს ტილერსონმაც** შეაფასა კიმ ჩენ ინი:

„ყველაფერი მიუთითებს, რომ ის შეშლილი არ არის. ის შეიძლება იყოს დაუნდობელი, შეიძლება იყოს მკვლელი. ბევრ რამეში, ჩვენი საზომით, ის ირაციონალისტია, მაგრამ არ არის — შეშლილი. მას შეუძლია რაციონალურად იაზროვნოს. ჩვენ კი მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის ფხენიანთან და არ ვაპირებთ რეჟიმის შეცვლას ამ ქვეყანაში“. — განუცხადა ტილერსონმა გამოცემა The Hill-ს.

ყველაფრის მიუხედავად, **ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა პროპაგანდისტული ვიდეო, რომლის კადრებზეც ასახულია ვაშინგტონზე, კერძოდ, აშშ-ის კონგრესის შენობა კაპიტოლიუმზე სარაკეტო დარტყმა. სამიზნეშია ამოღებული, აგრეთვე ამერიკული ავიამზიდი და თეთრი სახლი.**

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით, ჩრდილოეთი კორეა მზად არის, გამანადგურებელი და დაუნდობელი დარტყმა განახორციელოს სამხრეთ კორეაზე, თუ ის პროვოკაციის მოწყობას გაბედავს.

**„ფული და მხოლოდ ფული ანუ ბიზნესი და არავითარი პირადული!“ ასეთია კრედო საქართველოს „სტრატეგიული პარტნიორისა“, რომლის მითითებებსაც თავდახრილი ასრულებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და არ ფიქრობს, რას მოუტანს ეს საქართველოს.**

**ნიკა კორინთელი**



# რატომ იცრუა პარლამენტის თავმჯდომარემ

**გასულ წლებში სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ მანკიერ პრაქტიკაზე — ფურცელზე დაწერილი „მიღწევებით“ უცხოელი პარტნიორებისათვის თავის მოწონებასა და ხალხის გაბითურებაზე — არც „ქართული ოცნება“ ამბობს უარს.**

ამა წლის 7 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა: **„პირველად მივაღწიეთ ჩვენ იმას, რომ 10000 დოლარს გადასცდა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი“** (იხ. ვიდეო youtu.be/0EJEt66DQ1g).

**„საქსტატის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად კი, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მოცულობა 2010-2016 წლებში ყოველწიურად იზრდებოდა, მაქსიმალურ მაჩვენებელს 2016 წელს მიაღწია და 3852,5 დოლარი შეადგინა. ანუ ბოლო წლებში მშპ-ს მაჩვენებელს მოსახლეობის ერთ სულზე არათუ 10 000-დოლარისთვის, არამედ 10 000 ლარისთვისაც არ გადაუჭარბებია.**

ძნელი სავარაუდოა, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში (USAID, სოროსის ფონდი, UNDP) ნამუშევარმა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ არ იცოდეს, რა არის მთლიანი შიგა პროდუქტი და რამდენს შეადგენის ის ამჟამად, ამიტომ მისი განცხადება, რომ 10 000 დოლარს გადასცდა მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელი, არის მტკნარი სიცრუე.




# ნორლანდის ცინიზმი

**„ამერიკა ძალიან იღბლიანია, რომ ჰყავს საქართველოსნაირი მეგობარი, — განაცხადა საქართველოში აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილის მილოცვისას.**

„მე, რიჩარდ ნორლანდი ვარ ამერიკის ელჩი საქართველოში 2012-2015 წლებში. მსურს, მოგილოცოთ აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილე. ამერიკა ძალიან იღბლიანია, რომ ჰყავს საქართველოსნაირი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორი კავკასიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეგიონში. თქვენ მიაღწიეთ საოცარ პროგრესს ამდენი პოლიტიკური და ეკონომიკური დაბრკოლებების მიუხედავად“, — ამბობს ყოფილი ელჩი ვიდეომიმართვაში.



**რიჩარდ ნორლანდის განცხადებაში ცინიზმი არის ის, რომ საქართველოს აშშ-ის მეგობარს უწოდებს და არა ვასალს, რომელიც სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებს სიუზერენის ყველა მითითებას, “საოცარი პროგრესი” კი ნორლანდის ბრძანებით, თავდაცვის მინისტრის პოსტზე თინა ხიდაშელის დანიშვნაა.**

**ლუკა მაისურაძე**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

2017 წლის 28 აპრილს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გაიმართა რიგით მეშვიდე საერთაშორისო ფორუმი სახელწოდებით „დიადი გამარჯვება, მოპოვებული ერთობით: ფრონტის სიმამაცე – უდრეკი ზურგი“, რომელსაც ესწრებოდა 15 ქვეყნის (ყაზახეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ესტონეთი) 240-ზე მეტი წარმომადგენელი. ფორუმი იმართება ყოველ წელიწადს (2010 წლიდან) რუსული პოლიტიკური ცენტრის — „სამხრეთი-ჩრდილოეთის“ (СЕВЕР-ЮГ) ინიციატივით. ფორუმის მიზანია, განმტკიცდეს საერთო ისტორიული მეხსიერება და ურთიერთობები იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. 2016 წელს ფორუმს მინსკმა უმასპინძლა.

# «დაე, არა მხოლოდ ომმა, არამედ მშვიდობამაც გაგვაერთიანოს»

**„საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! დღეს, 22 ივნისს, დილის 4 საათზე, გერმანიის შეიარაღებული ძალები ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას!“ — ამ რადიომიმართვით შეიტყო საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ თავზარდამცემი ინფორმაცია ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შესახებ.**

## «ჩვენი ხალხის დაღვრილი სისხლი სიმართლისკენ, ერთობისკენ, მეგობრობისა და ურთიერთგაგებისკენ მოგვიწოდებს!»

76 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას, გერმანელი ნაცისტების შეიარაღებულმა ძალებმა ომის გამოუცხადებლად გადალახეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი და ასე დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი და მასშტაბური სამხედრო დაპირისპირება, რომელსაც, საერთო ჯამში, რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დიდი სამამულო ომის დაწყების თარიღს განსაკუთრებული გულისტკივილით იმ ქვეყნებში აღნიშნავენ, რომლებიც თავის დროზე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ და რომლებმაც ომის მსვლელობისას ყველაზე დიდი მსხვერპლი გაიღეს. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც ყოველწლიურად დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღეს — 9 მაისსა და ომის დაწყების დღეს — 22 ივნისს რამდენიმე ასეული ვეტერანი უცნობი ჯარისკაცის საფლავთან იკრიბება.

მეორე მსოფლიო ომის ყველაზე რთულ მონაკვეთს წარმოადგენდა დიდი სამამულო ომის პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირი ერთიანი იყო ისე, როგორც არასდროს. 1945 წლის 9 მაისს კი საბჭოთა მეომრებმა — **მიხეილ ეგოროვმა** და **მელიტონ ქანთარიამ** წითელი დროშაააფრიალეს ნაცისტების დედაქალაქ ბერლინში რაიხსტაგის თავზე. ამ გამარჯვებით ბოლო მოეღო ფაშისტური მესამე რაიხის დიქტატს ევროპაში...

2017 წლის 28 აპრილს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გაიმართა რიგით მეშვიდე საერთაშორისო ფორუმი სახელწოდებით **„ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება: ფრონტის სიმამაცე — უდრეკი ზურგი“,** რომელსაც ესწრებოდა 15 ქვეყნის (ყაზახეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ესტონეთი) 240-ზე მეტი წარმომადგენელი. ფორუმი იმართება ყოველ წელიწადს (2010 წლიდან) რუსული პოლიტიკური ცენტრის — „სამხრეთი-ჩრდილოეთის“ („Север-Юг“) ინიციატივით. ფორუმის მიზანია, განმტკიცდეს საერთო ისტორიული მეხსიერება და ურთიერთობები იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ. 2016 წელს ფორუმს მინსკმა უმასპინძლა.

მეშვიდე საერთაშორისო ფორუმი საზეიმოდ გახსნა ყაზახეთის კულტურისა და სპორტის მინისტრმა **არისტანბეკ მუჰამედიულმა.** მან და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უცხო ქვეყნებთან კულტურული კავშირების სამმართველოს უფროსმა **ვლადიმერ ჩერნოვმა** დამსწრეთ გააცნეს ყაზახეთის პრეზიდენტის — **ნურსულთან ნაზარბაევის** და რუსეთის პრეზიდენტის **ვლადიმერ პუტინის** მიმართვები.

„მოგესალმებით ყველას რიგით მეშვიდე საერთაშორისო ფორუმზე, რომელიც იმართება სტუმართმოყვარე ყაზახეთის მიწაზე, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ ასტანაში. როგორც ყაზახეთის უფროსი თაობა, ასევე, სრულიად ერი გახდა ის ძალა, რომელმაც მოგვაპოვებინა ეს დიადი გამარჯვება. ჩვენი მომავალი თაობა მადლობელი და ძალიან ამაყი იქნება იმისათვის, რაც მათთვის აქ დამსწრე ვეტერანებმა და დაღუპულმა გმირებმა გააკეთეს“, — ნათქვამი იყო მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტის მიმართვაში.

ფორუმის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა, მხარეებს განეხილათ საერთო ისტორიული წარსულის შენარჩუნების მეთოდები, ემსჯელათ დიდი სამამულო ომის შესახებ არსებული ისტორიული მასალების პოპულარიზებაზე საზოგადოებაში (განსაკუთრებით — ახალგაზრდებში), აგრეთვე, განეხილათ ის მექანიზმები, რომლებითაც მოხდებოდა ისტორიის გაყალბების მცდელობებთან ბრძოლა. ისიც აღინიშნა, რომ ფორუმის შედეგები დიდ გავლენას იქონიებს შემდგომში საერთაშორისო სივრცეში მიმდინარე პროცესებზე, ასევე, ხელს შეუწყობს დსთ-ის ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას.

15 ქვეყნის 240-ზე მეტმა წარმომადგენელმა დაღუპულ გმირებს „სამამულო მიწის დამცველთა“ მოედანზე პატივი მიაგო. ცერემონია დილის 9 საათზე დაიწყო. ფორუმის მონაწილეებმა დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად გვირგვინებით შეამკეს „სამამულო მიწის დამცველთა“ მონუმენტი, ხოლო მოედნის შუაგულში არსებული მარადიული ცეცხლის გარშემო დატოვეს ყვავილები. ამის შემდეგ ფორუმის მონაწილეები გადავიდნენ ყაზახეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ნაციონალურ საბრძოლო-ისტორიულ ცენ-




ტრში, რომლის „დიდ დარბაზში“ გაიმართა პლენარული სხდომა.

პლენარულ სხდომას მოდერატორობდნენ ყაზახეთის სპორტისა და კულტურის მინისტრი **არისტანბეკ მუჰამედიული** (ყაზახეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი) და **მიხაილ შვიდკოი** (რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის წარმომადგენელი). სხდომა გახსნა არისტანბეკ მუჰამედიულმა, შემდეგ კი სიტყვით გამოვიდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უცხო ქვეყნებთან კულტურული კავშირების სამმართველოს უფროსი **ვლადიმერ ჩერნოვი.** მათ ისაუბრეს სამამულო ომის მნიშვნელობაზე, როლსა და ფორუმის მონაწილე ქვეყნების წვლილზე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მისალმებებით წარდგნენ, აგრეთვე, **ოლჟას სულეიმენოვი** (ყაზახი პოეტი, დიპლომატი), **ირინა როდნინა** (ოლიმპიურ თამაშებში სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონატებში ათგზის გამარჯვებული, რუსეთის დუმის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), **ალექსანდრე ჭაჭია** (ქართველი პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), **ამანგელდი კაშკიმბაევი** (ყაზახეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), **კიპრას მაჟეიკა** (რუსეთის ფედერაციის ტელეკომპანიისა და რადიოს საერთაშორისო ევრაზიული აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, მრჩეველი, აკადემიკოსი), **ალუა ბაიკადამოვა** (ალმაატის საბრძოლო-ისტორიული მუზეუმის დირექტორი, გენერალ პანფილოვის შვილიშვილი), **არმან გუკასიანი** (სომხეთის საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზაციის წარმომადგენელი).

**ოლჟას სულეიმენოვი:**

„საერთო გასაჭირმა დააძმობილა ჩვენი ქვეყნები. დღეს მსოფლიო დიდ განსაცდელშია. ჩვენ ვდგავართ დიდი ომის წამოწყების ზღურბლთან. ეს თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გააცნობიეროს. თითოეული პოლიტიკური შეცდომა, ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუშლის ჩვენს ქვეყნებს შორის ერთობას, ძვირად დაგვიჯდება. ჩვენ დღეს აღვნიშნავთ ამ დიად გამარჯვებას, რათა ყოველთვის გვახსოვდეს და არ განმეორდეს მსგავსი რამ, რაც მოხდა 1941 წელს“.

პოეტმა ოლჟას სულეიმენოვმა ხაზი გაუსვა ყაზახი ხალხის როლს სამამულო ომში და აღნიშნა, რომ 300 ათასზე მეტი ყაზახის სიცოცხლე შეიწირა ამ დამანგრეველმა ომმა.

**ალუა ბაიკადამოვა:**

„ძალიან ვღელავ, მაგრამ, ამასთანავე, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, დავსწრებოდი ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებას. **ეს ფორუმი უდიდესი მნიშვნელობის აა, რადგან გვაძლევს შესაძლებლობას, არა მხოლოდ აღვნიშნოთ გამარჯვების დღე, გავიხსენოთ ისტორია და პატივი მივაგოთ დაღუპული გმირების ხსოვნას, არამედ ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ დავუშვათ მსგავსი რამ მომავალში. ვთვლი, რომ დღეს მოგვეცა უდიდესი შესაძლებლობა გამოვასწოროთ ისტორიული უსამართლობა.** ეს ადამიანები მამაცურად იბრძოდნენ სამამულო ომში, იბრძოდნენ სამშობლოს ინტერესებისა და გადარჩენისთვის, ამიტომაც ისინი ღირსნი ▶




**«მსგავსი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ევრაზიული რეგიონისთვის. ამ შეხვედრებმა უნდა უზრუნველყოს ჩატეხილი ხიდების მშენებლობა ქვეყნებს შორის, უნდა დაგვაახლოოს ერთმანეთთან. ჩვენ, საბჭოთა რესპუბლიკები, 1941 წელს გაგვაერთიანა საერთო ბოროტებამ, მაგრამ ახლა უნდა დადგეს ის დრო, როცა გაგვაერთიანებს მშვიდობა და მშვიდობისთვის ბრძოლა. საჭირო არ არის, ვეძებოთ მტრები, უნდა ვეძებოთ მეგობრები და ამ მეგობრების დაახლოების არც ერთ შანსზე უარი არ უნდა ვთქვათ»**

# «ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება: ფრონტის სიმამაცე — უდრეკი ზურგი»

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ არიან, იწოდებოდნენ გმირებად. ჩვენ გვახსოვს, რომ გმირის წოდებას ანიჭებდნენ კონკრეტული პირები და ისინი წყვეტდნენ, მიენიჭებინათ თუ არა მეომრისთვის ეს სტატუსი. ძალიან ბევრი უსახელო გმირი გვყავს, რომლებიც აღიარების გარეშე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, რომლებიც იმსახურებდნენ და იმსახურებენ აღიარებას, ამიტომ მივმართავ რუსულ მხარეს, იზრუნოს ამ საკითხზე, ის, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, რომელიც ფლობს შესაბამის არქივებს, დამსახურებული პატივი მიაგოს ყველა დაღუპული გმირის ხსოვნას“.

ფორუმის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოუსმინეს ქართველ პოლიტოლოგს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიას**, რომელსაც 7-ჯერ გააწყვეტინეს სიტყვა აპლოდისმენტებით. მან აქცენტი სწორედ ერთობის აუცილებლობაზე გააკეთა: **„ჩვენი ხალხის დაღვრილი სისხლი, სიმართლისკენ, ერთობისკენ, მეგობრობისა და ურთიერთგაგებისკენ მოგვიწოდებს“.**

მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ვეტერანებიც. ერთ-ერთი მათგანი უკრაინიდან ჩამოვიდა, რათა დასწრებოდა და პატივი მიეგო დაღუპული გმირების ხსოვნისთვის. პლენარული სხდომის ყველაზე ემოციური ნაწილი იყო ყაზახი ვეტერანის — **ასილხან ბეკბაევის** გამოსვლა, რომელმაც სიტყვა ითხოვა. ვეტერანმა თავისი პირადი ისტორიით შეკრებილ საზოგადოებას სახეზე ღიმილი მოჰგვარა, მან რამდენჯერმე ახსენა სახელი „ტატიანა“ (ომში მიღებულ ჭრილობებს სწორედ ბელორუსიელი ექთანი ტატიანა უმუშავებდა ვეტერანს, რომელიც მან შემდგომ ცოლად შეირთო). ვეტერანმა ისაუბრა, რა რთული იყო ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლა და როგორ შეცვალა სამამულო ომმა მისი ცხოვრება.

„10 წელი არმიაში სამსახური, მათგან ომში გატარებული — 4 წელიწადი. მე გავიარე აღმოსავლეთი პრუსია, დავკრძალე თანამებრძოლები. მძიმედ დამჭრეს, სააავადმყოფოში მივლიდა ბელორუსიელი მედდა **ტატიანა ნოვიკოვა.** მე ჩემს მშობლებს გავუგზავნე წერილი, რომელშიც ვთხოვდი ნებართვას, მექორწინა მასზე. ისინი დამთანხმდნენ, ოღონდ იმ პირობით, თუ მასზე ყაზახეთში ვიქორწინებდი. მოვიყვანე ცოლად, დავტოვე და წავედი, რათა ჯარში მემსახურა. როცა დავბრუნდი, მან უკვე იცოდა ყაზახური ენა, გაეცნო ჩვენს ტრადიციებს და ვცხოვრობდით ბედნიერად. ახლა კი ჩემი ტატიანა განისვენებს მუსლიმურ სასაფლაოზე...“ ყაზახ ომის ვეტერანს დამსწრე საზოგადოება რამდენიმე წუთის განმავლობაში ფეხზე მდგომი უკრავდა ტაშს, ასილხან ბეკბაევი კი ცრემლს ვერ იკავებდა.

როდესაც ფორუმის მონაწილეები ავტობუსებში სხდებოდნენ, ერთ-ერთმა რუსმა დელეგატმა თქვა: „ყოველ წელიწადს სულ უფრო ნაკლები...“

პლენარული სხდომის დამთავრების შემდგომ სომხეთის საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზაციის წარმომადგენლის — **არმან ბუკასიანის** სიტყვით გამოსვლას გამოხმაურება მოჰყვა, რადგან იგი ცდილობდა, აქცენტი გაეკეთებინა დიდ სამამულო ომში სომხების განსაკუთრებულ წვლილზე.

პლენარული სხდომის შეფასება ყაზახეთის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს — **ბურკიტბაი გელმანული აიაგანს** ვთხოვეთ:

„მინდა, დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოვხატო ქართველი ხალხის მიმართ, ძალიან მომეწონა ბატონი ჭაჭიას გამოსვლა. მიმაჩნია, რომ ყაზახეთის წარმომადგენლებიც ძალიან კარგად გამოვიდნენ პლენარულ სხდომაზე, ორივე წარმომადგენელმა აღნიშნა ის, რომ შეგვეძლო ბევრი მეომრის გადარჩენა სწორი ტაქტიკის წყალობით. შეიძლებოდა, ნაკლები მსხვერპლი ჰყოლოდა დიდ სამამულო ომს, მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირი ამ ომისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. შეფასებისას სწორი აქცენტი გააკეთა ჩვენმა წარმომადგენელმა ციფრებზე, როცა ის საუბრობდა ქართველებსა და ყაზახებზე. მართლაც, უამრავი მეომრის სიცოცხლე შეეწირა ამ ომს და ქართველთა როლი ძალიან დასაფასებელია, რადგან თქვენ ხართ პატარა, მაგრამ ძალიან ძლიერი ძალა. 300 000 დაღუპული — ეს კოლოსალური რაოდენობაა, სწორად იქნა პარალელი გავლებული, რადგან აშშ-სა და ბრიტანეთს, ჯამში, სწორედ ამდენი მსხვერპლი ჰყავდათ მეორე მსოფლიო ომში. თუმცა ციფრებით მანიპულირება მართებულად არ მიმაჩნია, მსხვერპლი დიდი იყო და საუბარი იმაზე, ვინ უფრო დიდი მსხვერპლი გაიღო და ვის უფრო დიდი წვლილი მიუძღვის გამარჯვებაში, არასწორია. სხდომაზე სწორედ ამაზე ცდილობდნენ აქცენტი გაეკეთებინათ და ეს არ იყო მართებული. ეს ჩვენ არ მოგვეწონა.

როგორ მოხდა, რომ სწორედ ყაზახებმა და ქართველებმა დავკარგეთ ამდენი ადამიანი. ეს ბევრი რამითაც აიხსნება: მათ არ ესმოდათ ბრძანებები, სერიოზული ენობრივი ბარიერი ხელს უშლიდათ, ემოქმედათ ოპერატიულად და ბევრი შენაერთი არ იყო კარგად მომზადებული. ისინი ხომ ევროპის ყველაზე კარგად მომზადებულ და სასტიკ არმიას უპირისპირდებოდნენ? ვერმახტის არმია არა მხოლოდ კარგი მომზადებით გამოირჩეოდა, არამედ შეიარაღებითაც და ასეთ ძალასთან ბრძოლა ძალიან რთული იყო. წარმომადგენლები, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებელ განცხადებებს აკეთებდნენ სხდომაზე: „ჩვენ გავიმარჯვეთ“, „ეს ჩვენი გამარჯვებაა...“ მათი განცხადებები შეიცავდა პროპაგანდისტულ სარჩულს. მაგალითად, უკრაინას არავისზე ნაკლები წვლილი არ მიუძღვის ფაშიზმზე გამარჯვებაში. როცა ომზე საუბრობ, ზოგადი და ძალიან ხმამაღალი, პოპულისტური განცხადებებით კი არ უნდა შემოიფარგლო, არამედ გააანალიზო და შეაფასო ყოველივე. ეს იყო საერთო, ერთობლივი გამარჯვება. ოლჟას სულეიმენოვმა მართებულად აღნიშნა: ჩვენ დღესაც ანალოგიური საფრთხის წინაშე ვდგავართ და აუცილებელია კონსოლიდაცია. დღეს მსოფლიოში ბევრი გადაუჭრელი კონფლიქტია, რომლებიც კარგს არაფერს გვიქადის. თუმცა, არა მგონია, რომ ჩვენ ამ რეალობის წინაშე დავდგეთ, რადგან შეიცვალა ბრძოლის მეთოდები და, თუ დაპირისპირება გლობალური იქნება, მას გამარჯვებული მხარე არ ეყოლება. ეს ბირთვული სამყაროს ეპოქაა და ყველას ინტერესებშია, მსოფლიო არ მიიყვანოს იმ ეტაპამდე, რომელსაც კაცობრიობის განადგურება მოჰყვება.

**ფორუმის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა, მხარეებს განეხილათ საერთო ისტორიული წარსულის შენარჩუნების მეთოდები, ემსჯელათ დიდი სამამულო ომის შესახებ არსებული ისტორიული მასალების პოპულარიზებაზე საზოგადოებაში (განსაკუთრებით — ახალგაზრდებში), აგრეთვე, განეხილათ ის მექანიზმები, რომლებითაც მოხდებოდა ისტორიის გაყალბების მცდელობებთან ბრძოლა**










რაც შეეხება ფორუმს, მინდა, აღვნიშნო, რომ **მსგავსი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ევრაზიული რეგიონისთვის. ამ შეხვედრებმა უნდა უზრუნველყოს ჩატეხილი ხიდების მშენებლობა ქვეყნებს შორის, უნდა დაგვაახლოვოს ერთმანეთთან. ჩვენ, საბჭოთა რესპუბლიკები, 1941 წელს გაგვაერთიანა საერთო ბოროტებამ, მაგრამ ახლა უნდა დადგეს დრო, როცა გაგვაერთიანებს მშვიდობა და მშვიდობისთვის ბრძოლა.**

საჭირო არ არის, ვეძებოთ მტრები, უნდა ვეძებოთ მეგობრები და ამ მეგობრების დაახლოების არც ერთ შანსზე უარი არ უნდა ვთქვათ. ჩვენ, ყველანი, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ვმოქმედებთ და ეს სწორია“.

ფორუმზე სულ 3 სამუშაო სესია ჩატარდა, თითოეულისთვის შერჩეული იყო შესაბამისი თემა:

**I სესია: „ჩვენი საერთო გამარჯვება: თაობებს შორის ხსოვნა“.**

**II სესია: „ევრაზიული რეგიონის ახალგაზრდა ლიდერები: გმირების მიერ ჩადენილი გმირობების ღირსნი“.**

**III სესია: „გამარჯვება იჭედებოდა ფრონტზე, გამარჯვება იჭედებოდა ზურგში“.**

სესიებზე აქტიურად იყო განხილული ალუა ბაიკადამოვას ინიციატივა ზოგიერთი დაღუპული მეომრისთვის გმირის სტატუსის მინიჭების შესახებ. ასევე გაჩნდა ინიციატივა, სასკოლო პროგრამაში შეტანილ იქნას სახელმძღვანელო „სამამულო ომის“ შესახებ, რომელიც შეასწავლის მომავალ თაობებს ისტორიის ამ პერიოდს. ახალგაზრდულ სესიაზე კი განხილულ იქნა საკითხები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ტრადიციებისა და ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნებას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც ეს ღირებულებები ყველაზე მეტად ფასობს. გარდა ამისა, გაჩნდა ინიციატივა, შეიქმნას საერთო სამუშაო ორგანიზაცია, სადაც ექსპერტები და პოლიტოლოგები ისაუბრებენ ევრაზიის რეგიონის საჭირბოროტო საკითხებზე.

ფორუმი **„ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება: ფრონტის სიმამაცე — უდრეკი ზურგი“** დასრულდა ვახშმითა და გალა-კონცერტით.

საერთაშორისო ფორუმი საშუალებას აძლევს მონაწილე ქვეყნებს, შექმნან პლატფორმა სამომავლო დიპლომატიურ-პარტნიორული ურთიერთობებისთვის, გაუზიარონ ერთმანეთს თვალსაზრისი, ინტერესები და დასახონ ახალი მიზნები. რუსულმა მხარემ სრული მზადყოფნა გამოხატა და მიესალმა ინიციატივას — შეიქმნას ევრაზიული ერთობა, რომელიც გაამარტივებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს.

**ნათია თათარიშვილი**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პრესა ვარაუდობს, რომ პირველ კვარტალში აშშ-ის ეკონომიკური ზრდა ნულის ტოლი იქნება, დაიხურება ათასობით საცალო მაღაზია, სამრეწველო წარმოება დაქვეითდება, რესტორნებსა და ავტომობილების მწარმოებლებს კი ცუდი დრო დაუდგებათ.**



The Sydney Morning Herald:

## ოლივერ სტოუნი იღებს ფილმს პუტინის შესახებ

**სამგზის „ოსკარის“ პრემიის ლაურეატმა ოლივერ სტოუნმა დაადასტურა, რომ ამთავრებს ფილმის გადაღებას რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინზე, — იტყობინება The Sydney Morning Herald. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ეს სურათი, რომელიც მალე გამოვა ეკრანებზე, იქნება ჰიტი.**

**„იგი იმდენად დოკუმენტალისტიკა არ არის, რამდენადაც შეკითხვებისა და პასუხების ფორმატში გადაწყვეტილი ფილმი“,** — აღნიშნავს სტოუნი. **„ბატონი პუტინი მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერია და რამდენადაც შეერთებულმა შტატებმა იგი მტრად, დიდ მტრად გამოაცხადა, ვფიქრობ, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება მისი საუბარი“. რეჟისორის თქმით, „ამერიკელები გაეცნობიან ისეთ თვალსაზრისს, რომლის შესახებ არაფერი სმენიათ“.**

სტოუნმა ისიც თქვა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში იგი ოთხჯერ ჩავიდა პუტინთან და ისინი ერთმანეთისადმი ნდობით განიმსჭვალნენ.

ოლივერ სტოუნი ავტორია ფილმების აშშ-ის სამ პრეზიდენტზე — ჯონ კენედიზე, რიჩარდ ნიქსონსა და ჯორჯ ბუშ-უმცროსზე.



Parisien:

## მაკრონი ფიქრობს, რომ გაიმარჯვებს ლე პენი

**გაზეთ Parisien-ის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ მისი კონკურენტი, მოძრაობა „წინის“ ლიდერი — ემანუელ მაკრონი დარწმუნებულია ლე პენის გამარჯვებაში.**

„დიახ. მე ვვარაუდობ, რომ იგი ასე ფიქრობს და ამას ვასკვნი იმ ციებ-ცხელებისა და აგრესიულობის მდგომარეობიდან, რომელიც ბოლო დღეებში დაეუფლა მას და მის მეგობრებს შოუბიზნესიდან“, — ასეთი პასუხი გასცა მან შეკითხვას, რომელიც დაუსვეს — მიაჩნია თუ არა, რომ დაამარცხებს მაკრონს.

ამასთანავე, მარინ ლე პენმა თქვა, რომ მისმა მოძრაობა „ეროვნულმა ფრონტმა“ გამონახა საერთო ენა პარტიასთან „აღსდექ, საფრანგეთო“ და გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთის პრემიერმინისტრის თანამდებობაზე აღნიშნული პარტიის ლიდერ ნიკოლა დიუპონ-ელიანის წარდგენას ფიქრობს.



РИА-Новости:

## რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი იაცენიუკს დაპატიმრებით დაემუქრა

**უკრაინის ყოფილი პრემიერმინისტრი არსენი იაცენიუკი სისხლის სამართალში არის მისაცემი. ამის დამადასტურებელი საბუთები აქვს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტს.**

გასული კვირის პარასკევს რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ინტერპოლს გაუგზავნა მასალები იაცენიუკზე ძებნის გამოსაცხადებლად. მიმართვის ასლის მიღების შემდეგ უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა **არსენ ავაქოვმა** ინტერპოლის ადგილობრივ ბიუროს მისწერა, რომ იაცენიუკის წინააღმდეგ აღძრული საქმე პოლიტიკური მოტივებითაა ნაკარნახევი.

საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **სვეტლანა პეტრენკომ** განაცხადა, რომ მათ განკარგულებაშია მასალები, რომლებიც ადასტურებს იაცენიუკის მონაწილეობას მინიმუმ ორ შეიარაღებულ შეტაკებაში 1994 წლის 31 დეკემბერს გროზნოს მინუტკას მოედანზე, ასევე, 1995 წლის თებერვალში. ამას გარდა, იგი 1995 წლის 7 იანვარს მონაწილეობდა რუსეთის დატყვევებული სამხედრო მოსამსახურეების დახვრეტაში გროზნოს ოქტომბრის რაიონში.

ესენტუკის სასამართლომ დაუსწრებლად პატიმრობა მიუსაჯა იაცენიუკს, რომელსაც ბრალად ედებოდა ბანდიტიზმი. 21 თებერვლიდან მასზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელის — **ალექსანდრე ბასტრიკინის** თქმით, გამოძიების მასალებით დგინდება, რომ იაცენიუკი დამსჯელი რაზმების: „არგოსა“ და „ვიკინგის“ შემადგენლობაში რუსეთის სამხედროებს ჩეჩნეთში ებრძოდა 1994-95 წლების განმავლობაში, როცა იქ კონტრტერორისტული ოპერაცია მიმდინარეობდა.

The Economic Collapse:

## 2017 წელს აშშ-ის ეკონომიკის დასუსტების 11 მტკიცებულება



**ამერიკის ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა 2008 წლის კრიზისს ემსგავსება.**

ბევრს კამათობენ იმაზე, თუ საით მიდის აშშ-ის ეკონომიკა ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ძირითადი რეფრენი მაინც ისაა, რომ წლეულს ქვეყნის ეკონომიკური პირობები შარშანდელთან შედარებით გაუარესდა. ვარაუდობენ, რომ პირველ კვარტალში აშშ-ის ეკონომიკური ზრდა ნულის ტოლი იქნება, დაიხურება ათასობით საცალო მაღაზია, სამრეწველო წარმოება დაქვეითდება, რესტორნებსა და ავტომობილების მწარმოებლებს კი ცუდი დრო დაუდგებათ. ყველგან, საითაც გაიხედავ, 2008 წლის კრიზისის ნარჩენებს აღმოაჩენ. კერძოდ:

1. პროგნოზის მიხედვით, 2017 წელს აშშ-ში დაიხურება 8 ათასი საცალო მაღაზია, რაც 2008 წლის პიკს 2 ათასით აჭარბებს;

2. საცალო მოვაჭრეების რაოდენობამ, რომლებმაც შეიტანეს განაცხადები გაკოტრების შესახებ 2017 წელს, შარშანდელ საერთო მაჩვენებელს უკვე საგრძნობლად გადააჭარბა;

3. 2017 წლის დასაწყისიდან აშშ-ში დაიხურა 4,5 მილიონი კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართი. წლის ბოლოსთვის გაუქმდება 13,6 მილიონი კვადრატული მეტრი, რაც 2010 წელს დამყარებულ რეკორდს გადააჭარბებს. მაშინ გაუქმდა 10,6 მილიონი კვადრატული მეტრი;

4. პროგნოზის მიხედვით, 2017 წლის პირველ კვარტალში აშშ-ის მშპ-ის ზრდა მხოლოდ 0,5 პროცენტს შეადგენს. თუ ეს ტემპი შენარჩუნდება წლის ბოლომდე, იგი უკანასკნელი რეცესიის მომდევნო პერიოდის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი იქნება;

5. ამერიკის რესტორნები რეცესიის შემდგომ პერიოდში უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მარტში სიტუაცია გაუარესდა: შარშანდელ პერიოდთან შედარებით სტუმრების რაოდენობა 5 პროცენტით შემცირდა. ფასებისა და მომსახურების გაძვირება კი იმ დონეზე, ეს დანაკარგი რომ შეივსოს, წარმოუდგენელია;

6. მარტში მრეწველობა აშშ-ში ბოლო 2 წელიწადში არნახული ტემპით შემცირდა;

7. აშშ-ის შრომითი სტატისტიკის ბიუროს მონაცემებით, თითქმის ყოველ მეხუთე ამერიკულ ოჯახში არ მუშაობს არც ერთი წევრი;

8. აშშ-ის ბიუჯეტის შემოსავლები ბოლო კრიზისის შემდეგ ყველაზე დიდ წინააღმდეგობას წააწყდა;

9. აშშ-ის თითქმის ყველა უდიდესი ავტომწარმოებლის მონაცემებით, მანქანების გაყიდვამ მარტში იკლო, ხოლო გაუყიდავი მანქანების მარაგმა რეცესიის შემდგომ პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია;

10. ნახმარი ავტომანქანების ფასი არნახულად დავარდა;

11. ამერიკის მომხმარებელთა უმრავლესობა ქრონიკულ უფულობას უჩივის. CNN-ის მონაცემებით, ყოველი ათი ამერიკელიდან ექვსს არ აქვს საკმარისი ფული, 500 დოლარი მაინც რომ გადაინახოს, სავარაუდოდ, შესაძლებელი ხარჯების დასაფარად.

ბევრს ეიმედება, რომ ჩვენი პოლიტიკოსები ვაშინგტონში შეძლებენ მდგომარეობის გამოსწორებას მანამდე, სანამ გვიან არ არის, მაგრამ საჭირო ღონისძიებების სასწრაფოდ განხორციელებაზე ფიქრიც კი არარეალურია.

**პროკურატურის ყველა თვითმხილველმა მოწმემ, რომლებზეც აგებული იყო ბრალდების მხარის პოზიცია, პროკურატურისთვის არასასურველი ჩვენება მისცა და იმის შიშით, რომ ყველა დარჩენილი მოწმეც ობიექტურ ჩვენებას მისცემდა, საქმის პროკურორმა ნიკოლოზ სანიკიძემ ისინი პროცესიდან მოხსნა...**

გლობალური
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**РИА-Новости:**

# მესამედაც უმტყუნა



**კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედროებს ბალისტიკური რაკეტის გაშვება ჩაუფლავდათ, — იტყობინება აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის საინფორმაციო სააგენტოები.**

ერთი თვის განმავლობაში რაკეტის მესამე გაშვება ჩრდილოეთ კორეელებმა დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების მესაე დღეს დაამთხვიეს. გაშვებიდან რამდენიმე წამის შემდეგ რაკეტა აფეთქდა. ამასთანავე, ეს მცდელობა განხორციელდა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ. ნიშანდობლივია, რომ ამ სხდომაზე განხილული იყო ჩრდილოეთ კორეის იზოლაციის გაძლიერების საკითხი. უშიშროების საბჭოს წევრებმა გამოთქვეს მზადყოფნა, მნიშვნელოვნად გაამკაცრონ კორეელების წინააღმდეგ მოქმედი სანქციები და შემოიღონ ახალი შეზღუდვები. სამხრეთ კორეამ კი განაცხადა, რომ სერიოზულადაა დასაფიქრებელი, ფხენიანის მიერ განხორციელებული პროვოკაციული მოქმედების შემდეგ დარჩეს თუ არა ჩრდილოეთ კორეა გაეროს წევრი.

ჩრდილოეთ კორეა ვალში არ დარჩა და ვაშინგტონს მუშტი მოუღერა. სამხრეთ კორეის სააგენტო „იონხაპი“ იტყობინება, რომ ფხენიანი მზად არის, გაანადგუროს ამერიკელების ატომური წყალქვეშა ნავი „მიჩიგანი“, რომელიც ახლახან სამხრეთკორეულ ნავსადგურ პუსანში შევიდა.

„როგორც კი შეეცდება „მიჩიგანი“, მოიმოქმედოს რაიმე, იგი განწირული იქნება საიმისოდ, რომ გადაიქცეს წყალქვეშა მოჩვენებად, რომელიც ზედაპირზე ვერასოდეს დაბრუნდება“, — აცხადებენ ინფორმაციის ავტორები.

აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებს ამჟამად ოთხი ატომური წყალქვეშა კრეისერი გააჩნია, რომლებიც აღჭურვილია ატომურქობინიანი მფრინავი რაკეტებით.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალური შტაბის წარმომადგენლის განცხადებით, „აშშ-ის აგრესიის შემთხვევაში“ კორეის შეიარაღებული ძალები შეუტევენ შეერთებული შტატების სამხედრო ობიექტებს იაპონიასა და სამხრეთ კორეაში.

**Reuters:**

# ერდოღანი მზად არის, უარი თქვას ევროკავშირში შესვლაზე

**„როიტერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი მზად არის, უარი თქვას ევროკავშირში შესვლაზე, თუ გაგრძელდება ამჟამად არსებული ისლამოფობია და თურქეთისადმი მტრული განწყობა ალიანსის წევრი ზოგიერთი ქვეყნის მიერ.**



ევროკავშირის მიმართ თურქეთის განწყობა გაუარესდა მას შემდეგ, რაც ერდოღანმა გერმანია და ნიდერლანდი ნაცისტურ გერმანიას შეადარა: ამ ქვეყნების ხელისუფლებებმა აუკრძალა ერდოღანის მომხრეებს რეფერენდუმის წინ ადგილობრივი თურქების მიტინგებზე გამოსვლა.

„ისლამოფობის მასშტაბის თვალსაზრისით ევროპაში სიტუაცია ძალიან სერიოზული გახდა. ევროკავშირმა თურქეთს კარი დაუკეტა, თურქეთი კი არავის უკეტავს კარს“, — განაცხადა ერდოღანმა და გაასაჯაროვა ფოტოსურათები, რომლებზეც ასახული იყო ვანდალების მიერ დარბეული მეჩეთები, ასევე, გამოსვლები ქურთი ამბოხებულებისა, რომლებიც ევროპაში მის (ერდოღანის) წინააღმდეგ დემონსტრაციებს აწყობენ.

„კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიცადოთ? მოლაპარაკება, უკვე 54 წელიწადია, მიმდინარეობს“, — თქვა ერდოღანმა. მას მხედველობაში ჰქონდა ის ხელშეკრულება, რომელიც 1963 წელს დაიდო და პერსპექტივაში თურქეთის ევროკავშირთან მიერთებას ითვალისწინებდა.

ერდოღანს მიაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში თურქეთი ჩაატარებს „ბრექსიტის“ მსგავს რეფერენდუმს, რომელმაც დიდ ბრიტანეთს „სულიერი სიმშვიდე“ მოუტანა და გაუხსნა გზა „ახალი მომავლისკენ“.

თურქეთი ჯერჯერობით მოლაპარაკების ერთგული რჩება. „ჩვენ მზად ვართ, დაუყოვნებლივ შევასრულოთ ყველაფერი, რასაც მოგვთხოვენ. რასაც ისურვებენ. მაგრამ ისინი თავიანთ ზღურბლთან გვაყურყუტებენ“, — თქვა პრეზიდენტმა.

ერდოღანმა ყურადღება მიაქცია საპრეზიდენტო არჩევნებს საფრანგეთში და მარინ ლე პენის დაპირებას, რომ თავის ქვეყანას ბლოკიდან გაიყვანს. „ევროკავშირი დაშლის ზღვარზე“ დგას, — თქვან მან.

„ერთი და ორი ქვეყანა ვერ გადაარჩენს ევროკავშირს. თქვენ გჭირდებათ ისეთი ქვეყანა, როგორიც თურქეთია, სხვა ქვეყანა — სხვა რწმენის სიმბოლო... მაგრამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, როგორც ჩანს, ეს არ ესმით. მათ ეძნელებათ ისეთი მუსლიმური ქვეყნის მიღება, როგორიც თურქეთია“, — ასე ფიქრობს თურქეთის პრეზიდენტი.

**ქალაქ რუსთავის სასამართლოში მიმდინარეობს ორი პროცესი, რომლებიც დაკავშირებულია წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში 2016 წლის 30 ივლისს დატრიალებულ უბედურებასთან, როცა წალკის საკრებულოს წევრმა, სამსონ თამარიანმა, შეგნებულად დააჯახა თავისი ძვირად ღირებული „მერსედესი“ პოლიტიკური მოწინააღმდეგის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატ აიკ მელტონიანის არასრულწლოვან შვილს — მერგელ მელტონიანს და ფეხი მოტეხა; ხოლო 35-40 წუთის შემდეგ, წალკის პოლიციის თანამშრომლების დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად, სამსონ თამარიანის ვაჟიშვილმა — ანდრანიკ თამარიანმა დაურეგისტრირებული „ვინჩესტერის“ ტიპის თოფიდან გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა აიკ მელტონიანის ძმისშვილი, საქართველოს ჩემპიონი მძლეოსნობაში, 23 წლის ანდრანიკ მელტონიანი.**

# პუბლიკაციის კვალდაკვალ



## მოსამართლემ გადაამეტა უფლებამოსილებას

ანდრანიკ თამარიანისა და აიკ მელტონიანის სასამართლოზე ჯერ კიდევ არ იყო წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულებები, არ იყო დაწყებული ძირითადი მოწმეების დაკითხვა, როდესაც მოსამართლე პართენიშვილმა მიმართა აიკ მელტონიანის ადვოკატებს — **თემურ** და **დიანა გვიშიანებს** და მკაფიოდ „განუმარტა“, რომ, თუ აიკ მელტონიანი არ გააფორმებდა საპროცესო გარიგებას პროკურატურასთან და არ აღიარებდა წაყენებულ ბრალს, ასეთ შემთხვევაში, მის მიერ გამოტანილი განაჩენი მეტად მკაცრი იქნებოდა. ამით **ეკატერინე პართენიშვილმა უხეშად დაარღვია მოსამართლის უფლებამოსილება. ვიმედოვნებ, რომ იუსტიციის საბჭოსთან არსებული დისციპლინური კომისია ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებს.** იკითხავთ, ალბათ, რისთვის სჭირდება „ნაცმოძრაობის“ სასამართლო სისტემის „ქარცეცხლში“ გამობრძმედილ მოსამართლე პართენიშვილსა და ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორ **ლევან გეგეჭკორს** საპროცესო გარიგება? ამ კითხვაზე პასუხს მომდევნო წერილში გაგცემთ.

## ოხ, ეს „დაზარალებული“ სამველ თამარიანი!

ამა წლის 10 აპრილს ანდრანიკ თამარიანისა და აიკ მელტონიანის სასამართლო სხდომაზე პროკურატურამ დაიწყო ბრალდების მოწმეების დაკითხვა, რათა დაედასტურებინა ანდრანიკ თამარიანისთვის წაყენებული 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა) და აიკ მელტონიანისთვის წაყენებული 19, 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობის მცდელობა); პროკურატურას, აგრეთვე, უნდა დაესაბუთებინა მის მიერ სამველ თამარიანისთვის (სინამდვილეში უმძიმესი დანაშაულის თანამონაწილის) მინიჭებული „დაზარალებულის“ მეტად საჭოჭმანო სტატუსი. დანაშაულს ჰყავს (ორი ბრალდებულის ჩათვლით) სულ ცხრა თვითმხილველი. მათგან ექვსმა დაადასტურა, რომ სამველ თამარიანმა თავისი ძმის — სამსონის კუთვნილი „ფორდ ტრანზიტით“ მიზანმიმართულად მიიყვანა დანაშაულის ადგილზე ძმისშვილი — ანდრანიკ თამარიანი, რომელმაც დაურეგისტრირებული თოფიდან გასროლით მოკლა 23 წლის ანდრანიკ მელტონიანი. მკვლელის გაქცევის შემდეგ სამველ თამარიანმა დიდი სიჩქარით დაძრა მანქანა წაქცეული ანდრანიკ მელტონიანის დასახმარებლად მისული აიკ მელტონიანის არასრულწლოვანი შვილის — ჰამბარცუმისა და არასრულწლოვანი თანასოფლელის — **ჟორჟ ნურბეკიანისთვის** დასაჯახებლად და, როდესაც ჰამბარცუმამდე რჩებოდა რამდენიმე მეტრი, თამარიანების მორიგი მსხვერპლის გადასარჩენად აიკ მელტონიანმა ტაბელური იარაღი გამოიყენა. მხარში დაჭრილი სამველ თამარიანი იძულებული შეიქნა, შეებრუნებინა მანქანა და გაქცეულიყო.

**საინტერესო ფაქტი: „დაზარალებული“ სამველ თამარიანი არც პოლიციაში წასულა, არც საავადმყოფოსთვის მიუკითხავს. ის თავისი ძმის სახლში დაბრუნდა. რატომ? მოწმეები ადასტურებენ, რომ სამველ თამარიანი თოფით იყო შეიარაღებული და, რასაკვირველია, მას არც ექიმთან მიესვლებოდა და, მით უმეტეს, არც პოლიციაში.** სასამართლო პროცესზე ბატონმა სამველმა დაადასტურა, რომ ის დაბრუნდა ძმის სახლში, საიდანაც თხუთმეტი წუთით ადრე გაემგზავრა დანაშაულის ადგილისკენ; თუმცა მიზეზი იმისა, რატომ არ წავიდა საავადმყოფოში, რატომ არ მივიდა პოლიციაში და დაბრუნდა სამსონის სახლში, ვერ ახსნა.

აი ამ ჩვენების მიცემის შემდეგ წარმოუდგენელი რამ მოხდა საქართველოს მართლმსაჯულების ისტორიაში — პროკურატურის ყველა თვითმხილველმა მოწმემ, რომლებზეც იყო აგებული ბრალდების მხარის პოზიცია, პროკურატურისთვის არასასურველი ჩვენება მისცა და იმის შიშით, რომ ყველა დარჩენილი მოწმეც ობიექტურ ჩვენებას მისცემდა, საქმის პროკურორმა — **ნიკოლოზ სანიკიძემ** ისინი პროცესიდან მოხსნა... მათგან ერთ-ერთია **ბარსეღ იგიტიანი.** ის დაიბარეს სასამართლო პროცესზე, გაატარეს რეგისტრაციაში, ჩამოართვეს პასპორტი, შეიყვანეს სასამართლოს შენობაში, მოწმეთათვის განკუთვნილ ოთახში და რამდენიმე საათის შემდეგ განუცხადეს, რომ, პროკურორის გადაწყვეტილებით, ამოღებულია დასაკითხთა სიიდან. არადა, ბარსეღ იგიტიანი ისეთი მნიშვნელოვანი მოწმეა, რომ რამდენიმე თვის წინათ სოციალურ ქსელში მიიღო ორიგინალური გაფრთხილება — ქართული ასოების გამოყენებით სომხურად შეატყობინეს: **„სასამართლოზე თუ ზედმეტს იტყვი, ოჯახის წევრებს მოგიკლავთ“.**

ამ მუქარის თაობაზე ბარსეღს უნდა განეცხადებინა სასამართლოსთვის, მაგრამ პროკურორმა სანიკიძემ ამის საშუალება არ მისცა. ჩიხში შესული პროკურატურა ამბობს, რომ მისივე მოწმეები ტყუიან (!), რაც იურისპრუდენციის ისტორიაში ჩაიწერება ერთ-ერთ კურიოზად, რადგან პროკურატურა ბრალს უყენებს ბრალდებულს თვითმხილველი მოწმეების ჩვენებების საფუძველზე.

დმანისისა და წალკის რაიონების მაჟორიტარი დეპუტატი **კახა ოქრიაშვილი** და აიკ მელტონიანი სააკაშვილისდროინდელ პარლამენტში მოღვაწეობდნენ. ბატონი კახა წარმოადგენდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო ბატონ აიკს „ნაცმოძრაობა“ გულზე არ ეხატებოდა, ანუ იყო მისი ოპონენტი. კახა ოქრიაშვილმა კარგად იცოდა მელტონიანების ავტორიტეტის შესახებ წალკის რაიონის სომხურ მოსახლეობაში, რომელიც ამომრჩეველთა უმრავლესობას წარმოადგენს. 2016 წლის წინასაარჩევნო პერიოდში კახა ოქრიაშვილი ხშირად ხვდებოდა თავისი ყოფილი კოლეგის, აიკ მელტონიანის, ძმებს — **კარლენ** და **მორლენ მელტონიანებს** და ჰპირდებოდა მათ დახმარებას მისი, როგორც დეპუტატის, უფლებამოსილების ფარგლებში. თუმცა, როგორც ეს დამახასიათებელია ჩვენი „რჩეულებისთვის“, არჩევნების შემდეგ კახა ოქრიაშვილი წალკის რაიონში არ უნახავთ და, როგორც ნარდევნელებმა მითხრეს, ველარც ნახავენ... აღსანიშნავია, რომ მშობლიურ დმანისის რაიონში ბატონმა კახამ ხმების გაცილებით ნაკლები პროცენტი მოიპოვა, ვიდრე წალკაში, რაშიც მელტონიანებმა დიდი წვლილი შეიტანეს.

**გიორგი კორძაძე**

**მოზაიკა**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაირკვა, რომ ჩვენს ორგანიზმზე განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს ბურღული. ფაფების მოყვარულებს აქვთ გაცილებით დიდი წინააღმდეგობის უნარი დაავადებებისადმი და შანსი, იცოცხლონ ღრმა მოხუცებულობამდე.**

# მეცნიერებმა ყველაზე სასარგებლო საკვები პროდუქტი დაასახელეს



**კიბოს ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერებმა როკველში მასშტაბური 20-წლიანი კვლევა ჩაატარეს. მასში მონაწილეობდა 400 ათასი ადამიანი. სპეციალისტების მიზანი იყო, დაედგინათ, რომელი საკვები პროდუქტია ყველაზე სასარგებლო ადამიანის ორგანიზმისთვის.**

ორი ათეული წლის განმავლობაში მოხალისეები სპეციალურ დღიურში იწერდნენ, რასაც ჭამდნენ; მეცნიერები კი აკვირდებოდნენ, როგორ აისახებოდა ეს მათ მდგომარეობაზე.

**გაირკვა, რომ ჩვენს ორგანიზმზე განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს ბურღული. ფაფების მოყვარულებს აქვთ გაცილებით დიდი წინააღმდეგობის უნარი დაავადებებისადმი და შანსი, იცოცხლონ ღრმა მოხუცებულობამდე. ყველაზე სასარგებლო საკვებად მეცნიერებმა დაასახელეს დაუმუშავებელი მარცვლებისგან მომზადებული ფაფები, რომლებიც მდიდარია ბოჭკოებით (როგორიცაა ყავისფერი ბრინჯი, წიწიბურა, შვრია).** ადრე კი მეცნიერებმა ის პროდუქტები დაასახელეს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და მას სიცოცხლეს უმოკლებს. ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ გარკვეული საკვები ნეგატიურად მოქმედებს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის (დნმ) მთლიანობაზე, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების გენეტიკური პროგრამის ფიზიკურად შენახვას, თაობიდან თაობაზე გადაცემასა და რეალიზებას უზრუნველყოფს, შესაძლებელს ხდის ყველა თანამედროვე ორგანიზმის ცხოველქმედებას, განვითარებასა და გამრავლებას.

საუბარია „ძველ“ პროდუქტებზე. მეცნიერებმა ერთმანეთს შეადარეს 3 წლისა და 25 წლის ირმების ხორცი. გაირკვა, უკანასკნელმა მოასწრო ისეთი კომპონენტების დაგროვება, რომლებსაც ადამიანისთვის სასარგებლოს ვერ უწოდებ.

# ლენინის ტვინში გენიალურობის უჯრედებს ეძებდნენ



**ლენინის ბევრი თანამედროვე დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ზებუნებრივი გონებრივი მონაცემებით გამოირჩეოდა, რომ მას თავში, ტვინი კი არა, როგორც ნ. ბუხარინი ამბობდა, „მძლავრი აპარატი“ ჰქონდა. იყო მოწოდებებიც, დაწვრილებით შეესწავლათ ილიჩის ტვინი და მის მაგალითზე შეექმნათ ისეთი რამ, რაც გენიალური ადამიანების სელექციისთვის გამოდგებოდა.**

გასაკვირი არ არის, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ მეცნიერული შესწავლის მიზნით მის სხეულს ამოაცალეს ტვინი და გული. ტვინი უნდა დაენაწევრებინათ უმცირეს ნაწილებად და მიკროსკოპულად დაეთვალიერებინათ. ამისათვის გერმანიიდან მოსკოვში მოიწვიეს მსოფლიო მედიცინის შუქურა, ნევროპათოლოგი **ოსკარ ფოგტი**. ის ცნობილი ჰიპნოზიორი გახლდათ, გამოსცემდა ჟურნალს ფსიქოლოგიაში, იყო მრავალრიცხოვანი შრომის ავტორი ცენტრალური ნერვული სისტემის ანატომიაში.

ბელადის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, 1925 წლის თებერვალში, ფოგტი მოსკოვში ჩავიდა ლენინის სახელობის ინსტიტუტში სამედიცინო კომისიის სხდომაზე დასასწრებად. გერმანელ მეცნიერს დაუსახეს შემდეგი ამოცანა: **ვლადიმერ ილიას ძის გენიალური გონებრივი მონაცემებისთვის მატერიალური ახსნა მოეძებნა.** ფოგტმა დაარწმუნა კომისია, რომ ეს სავსებით შესაძლებელი იყო.

მართალია, ოსკარ ფოგტმა გააფრთხილა მასპინძლები, რომ საკვლევი მასალა, ანუ ბელადის ტვინი ბერლინში უნდა გაეგზავნათ, სადაც იყო შესაბამისი საკვლევი მოწყობილობები, მაგრამ მან კატეგორიული უარი მიიღო — ლენინის ტვინმა საბჭოთა კავშირის საზღვარი არ უნდა გადალახოსო. მეცნიერს შესთავაზეს ექსპერიმენტის განმავლობაში დროებით მოსკოვში გადასვლა, დაჰპირდნენ რა მისი ლაბორატორიის დაუზიანებლად ასევე მოსკოვში გადატანას.

ბელადის ტვინი 31 ათას ნაწილად დაანაწევრეს. თითოეულს ყურადღებით ამოწმებდნენ და ადარებდნენ ჩვეულებრივი ადამიანის ტვინს. ეძებდნენ ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო, დეტალს, რომელიც დაამტკიცებდა ბელადის ზებუნებრივ შესაძლებლობებს. 1929 წელს ფოგტმა მოხსენება გააკეთა, მასში ნათქვამი იყო, რომ „აღმოაჩინა დიდი განსხვავება ლენინის ტვინის სტრუქტურასა და ჩვეულებრივი ადამიანის ტვინს შორის“. ფოგტის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ **ლენინის ტვინში პირამიდული უჯრედები უფრო ძლიერ იყო განვითარებული, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის ტვინში. ეს იძლეოდა საფუძველს იმისა, რომ ლენინი გენიოსად ეღიარებინათ.**

სხვათა შორის, გერმანიაში ფოგტის შედეგები გააკრიტიკეს და არამეცნიერულად მიიჩნიეს. ერთი სიტყვით, არც თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ თავის ტვინის სტრუქტურის მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა ადამიანის ამა თუ იმ მიდრეკილებაზე.

# ყველაზე დიდი კერძო იახტა მსოფლიოში





**მსოფლიოში ყველაზე დიდი იახტა Dilbar-ი, რომელიც 350 მილიონ გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული, ეკუთვნის მილიარდერს, საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ ერთ-ერთ მფლობელს — ალიშერ უსმანოვს. ის რუსეთის ერთ-ერთი მდიდარი მოქალაქეა, რომლის ქონება 20 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.**

მეგაიახტა გამოირჩევა მდიდრული ინტერიერითა და ვერტმფრენის ორი დასაჯდომი მოედნით: ერთი გემბანზეა, მეორე — იახტის ცხვირზე. მასზე არის, ასევე, მოწყობილი დასასვენებელი ზონა და საცურაო აუზი.

Dilbar-ი კომპანია **Lurssen Yachts-**მ ააგო. დღეს ის ყველაზე დიდი კერძო იახტაა მსოფლიოში. უზბეკური წარმოშობის მილიარდერმა თავისი ქონება მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში, ტელეკომუნიკაციებში, სპორტსა და მეტალურგიაში მოღვაწეობით დააგროვა.

იახტაზე დაახლოებით 41 ათასი კვ. მ საცხოვრებელი ფართობია. ასეთი მასშტაბის იახტის პროექტები ყოველთვის შთამბეჭდავია. Dilbar-ი აგებულია იმგვარად, რომ ვერტმფრენიდანაც კი ბორტზე წესიერად ვერაფერს დაინახავს კაცი, გარდა ვერტმფრენის დასაჯდომი ორი მოედნისა. თუმცა იახტაზე რამდენიმე ღია ადგილია, საცხოვრებელი ფართობის უმეტესი ნაწილი კი მის შიგნით მდებარეობს, ამიტომ ხომალდს მაქსიმალურად დიდი ტევადობა აქვს სხვებთან შედარებით.

გიგანტური სუპერიახტა უზრუნველყოფილია დიზელზე მომუშავე ელექტროსადგურით და შეუძლია განავითაროს კრეისერის სიჩქარე — 22,5 კვანძი (სულ ცოტა 26 მილი საათში).

# მეცნიერებმა ახსნეს, რატომ ავიწყდება ადამიანს გამუდმებით რაღაც



**მეცნიერებმა ახსნეს, რატომ ავიწყდებათ ადამიანებს ხშირად მიღებული ინფორმაცია.**

მკვლევარი, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მეხსიერება ექსპერიმენტულად იკვლია, იყო გერმანელი მეცნიერი ჰერმან ებინჰაუზი, ის მეხსიერებას იკვლევდა დასწავლისა და მომარაგების მეთოდით. კერძოდ, ადგენდა კავშირს ახალი მონაცემების დამახსოვრების ხანგრძლივობასა და მათი მეხსიერებაში შენახვის დროს შორის. აღმოჩნდა, რომ ინდივიდი ინფორმაციის ნაწილს „კარგავს“ დროის მცირე მონაკვეთში.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ინფორმაციების დამახსოვრების გასაღებს მათი გამეორება წარმოადგენს. თუკი „დავიწყების“ გრაფიკს შევადგენთ, ეს პროცესი ერთსა და იმავე დონეზე დარჩება მანამ, სანამ ინფორმაცია მთლიანად არ დაიკარგება. გრაფიკის ერთ წერტილში დავიწყების პროცესი წყდება, მონაცემები კი ხანგრძლივი დროით მეხსიერებაში „ბინავდება“.

ბრიტანელი ფსიქოლოგის — **ალან ბედელის** აზრით, დავიწყება ხდება ახალ მონაცემებში ძველის შერევის შედეგად.

# მარსზე «გამხმარ ხეს» წააწყდნენ



**ნასამ მარსზე ფოტო გადაუღო ობიექტს, რომელიც ძალიან ჰგავს გამხმარ ხეს.**

როგორც იტყობინებიან, ხის სიმაღლე დაახლოებით 1 მეტრია. წითელ პლანეტაზე ასეთი უცნაური ობიექტი პირველად შენიშნეს. სპეციალისტების აზრით, „ხე“ ან გაქვავებულია, ან გამხმარი. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ ის ლავისგან წარმოიქმნა.



„პორშე 911“-ის ფლაგმანური მოდელი პოპულარობით სარგებლობს საავტომობილო ბაზარზე, იაპონიაში კი გადაწყვიტეს მისი „იდეალური“ მოდელის დემონსტრირება.

მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გლამურულ გოგონებს ახლა ახალი ტრენდი გამოუჩნდათ — ტუჩების დათხელება





პლასტიკური ქირურგიის ამერიკული სამედიცინო საზოგადოების მონაცემებით, ტუჩების კორექციაზე მოთხოვნა 2000 წლიდან 2016 წლის ჩათვლით 50%-ით გაიზარდა.

როგორც NewBeauty იტყობინება, ბოლო ხანს სოციალურ ქსელებში ახალი ტენდენციები შეინიშნება ტუჩების მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით. ერთ-ერთია ტუჩების დაპატარავება. ნიუ-იორკის პლასტიკური ქირურგის დოქტორის — **მელისი დოფტის** თქმით, რომელიც კოსმეტიკური პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტია, ტუჩების დაპატარავების პროცედურები, როგორც წესი, გაცილებით პოპულარული აზიის ქვეყნებშია.

როგორც ექიმი დოფტი ამბობს, პროცედურა შეიცავს „ტუჩებიდან კანის განსაკუთრებული სიფრთხილით მოცილებას“ და ტუჩის ახალი ხაზის შესაქმნელად ნაკერების დადებას, რომლის შედეგი ტუჩის პატარა და თხელი კონტურია.

# მეცნიერები 2018 წლისთვის პოლიომელიტის გლობალური ლიკვიდაციისკენ მოუწოდებენ



**ასობით მეცნიერმა და მედიკოსმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია პოლიომელიტის ლიკვიდაციის თაობაზე, რომლის მიღწევას ისინი 2018 წლისთვის ფიქრობენ. დეკლარაციის გამოსვლა დაუკავშირეს ცნობილი ვირუსოლოგის — ჯონას ედვარდ სოლკის მიერ პოლიომელიტის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის 58 წლისთავს.**

დეკლარაციას ხელი მოაწერა 400-ზე მეტმა მეცნიერმა, რომლებიც მოუწოდებენ „პოლიომელიტის გლობალური ლიკვიდაციის სტრატეგიული გეგმის“ განსახორციელებლად ფინანსური მხარდაჭერისკენ, რომელიც შედგენილია Global Polio Eradication Initiative-ის ინიციატივის ფარგლებში. ამჟამად პოლიომელიტით დაავადებულთა მაჩვენებელი კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ყველაზე დაბალია. დაავადების აფეთქება მხოლოდ სამ ქვეყანაში აღინიშნება: ავღანეთში, ნიგერიასა და პაკისტანში. GPEI-ის შეფასებით, 2018 წლისთვის დაავადების მთლიანი ლიკვიდაციისთვის საჭიროა 5,5 მილიარდი დოლარი.

როგორც დეკლარაციაზე ხელის მომწერნი აღნიშნავენ, ამჟამად არსებობს ყველა საშუალება და შესაძლებლობა დაავადების დასამარცხებლად. ამას ადასტურებს ისიც, რომ დღეისათვის ვაქცინაციით მოხერხდა პოლიოვირუსის სამი ტიპიდან ერთ-ერთის მოსპობა.

2012 წელს დაავადების მხოლოდ 223 ახალი შემთხვევა დარეგისტრირდა — რეკორდულად მცირე დაავადების მთელი ისტორიის განმავლობაში; ხოლო 2016 წელს — მხოლოდ 16. ინდოეთში, სადაც პოლიომელიტის დამარცხება ყველაზე ძნელი ეგონათ, ბოლო ორი წლის განმავლობაში დაავადების არც ერთი შემთხვევა არ დარეგისტრირებულა.

# იაპონიაში «იდეალური» «პორშე 911» წარმოადგინეს



„პორშე 911“-ის ფლაგმანური მოდელი პოპულარობით სარგებლობს საავტომობილო ბაზარზე, იაპონიაში კი გადაწყვიტეს მისი „იდეალური“ მოდელის დემონსტრირება.

მოდერნიზებული ავტომობილი „პორშე 911“ შექმნა პოპულარულმა დიზაინერმა აკირა ნაკაიმ, რომელიც თითქმის 20 წელიწადია, „დააქროლებს“ გერმანული წარმოების ავტომობილს. გადააკეთა რა ავტომობილი, დიზაინერი მას საკუთარი მარკით უშვებს, რომლის სახელწოდებაა Rauh-WELT Begriff.

აკირა ნაკაიმ „პორშე 911“-ის შექმნისას გამოიყენა სპეციალურად შემუშავებული დეტალები, რომლებიც აუცილებელ ბალანსირებას უზრუნველყოფს.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მოდელი რბოლისთვის არ არის შექმნილი და არც ჩქარი მოძრაობისთვის არის გათვალისწინებული, თუმცა ავტომობილის მოდერნიზებული ექსტერიერი გარეგნულად არაფრით ჩამორჩება ცნობილ სპორტულ მანქანებს.

# რატომ არ უნდა გავალოკვინოთ ძაღლს სახე



**შესაძლოა, იფიქროთ, რომ, თუკი თქვენი მოსიყვარულე ძაღლი სახეზე ენას გაგისვამს, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით — ეს კეთილგანწყობის ერთგვარი გამოხატვაა. მართალია, თქვენი ერთგული ოთხფეხა მეგობარი თქვენთვის ზიანის მოყენებას სულაც არ ფიქრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით იმ ბაქტერიებზე, რომლებიც ძაღლის ენაზე ცხოვრობენ. მართალია, რომ ძაღლის ნერწყვი ადამიანისაზე უფრო სუფთაა? ეს მითია.**

როგორც **მარტი ბეკერი**, ავტორი წიგნისა „ქათმის წვნიანი ძაღლის პატრონისთვის“, ამბობს, „ძაღლები დარბიან ნაგვის ყუთების გარშემო. ადამიანები ერთმანეთს ლოყაზე კოცნით ესალმებიან, ძაღლები კი ერთმანეთს ცხვირს უკანალზე ადებენ“.

**ჯონ ოქსფორდი**, ვირუსოლოგიისა და ბაქტერიოლოგიის პროფესორი ლონდონში, ასევე, ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენი ბაქტერია შეიძლება იყოს ძაღლის ცხვირზე და პირის ღრუში: „საქმე მხოლოდ ნერწყვში არ არის. ძაღლები თავიანთი ცხოვრების ნახევარს რაღაცების დაყნოსვაში ატარებენ. ასე რომ, მათი თავი სავსეა სხვადასხვა მიკრობით, ბაქტერიითა და ვირუსით“. ამ ბაქტერიებმა, მიკრობებმა და ვირუსებმა, შესაძლოა, ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

ყველაზე მარტივი დაავადება, რომელიც შეიძლება ძაღლის კოცნის შედეგად აიკიდოთ, არის კანის იშვიათი, ანთებითი ხასიათის დაავადება **ლიქენი**. თუ ძაღლს ლიქენის ბაქტერიები ჰყავს და თქვენ მას აკოცებთ, ეს დაავადება გარანტირებული გაქვთ.

მეტიცილინ-რეზისტენტული ოქროსფერი სტაფილოკოკი გსმენიათ? ეს ინფექცია აზიანებს ადამიანის კანს. ძაღლებისთვის ეს ბაქტერიები განსაკუთრებულ საშიშროებას არ წარმოადგენენ, მაგრამ, როცა მათთან კონტაქტი მოუწევთ, „ჰეფი ენდს“ არ უნდა ელოდონ. ეს არის სტაფილოკოკი, რომელიც ჰგავს მეტიცილინ-რეზისტენტულ ოქროსფერ სტაფილოკოკს, ოღონდ ეს ბაქტერიები პრაქტიკულად არ ექვემდებარება მკურნალობას. ამიტომ, გულწრფელად რომ ვთქვათ, აჯობებს, არ დავუშვათ ამ ინფექციების ჩვენს ორგანიზმში შეღწევა. რაც შეეხება Capnocytophaga Canimorsus-ს — ეს არის ყველაზე დიდი საშინელება, რომელიც კი შეიძლება დაგემართოს ადამიანს.

ასე რომ, არ გირჩევთ, ძაღლს აკოცოთ, თუმცა ვერ აგიკრძალავთ. არჩევანი თქვენზეა.



# სტილისტი, რომელიც მაკრატლის ნაცვლად ნაჯახს იყენებს



ლამაზი ვარცხნილობის ნაჯახის დახმარებით გაკეთება მართლაც უცნაურია, მაგრამ კლიენტებისთვის მიმზიდველიც.

სწორედ ამ უჩვეულო იდეის წყალობით გახდა პოპულარული ნოვოსიბირსკელი სტილისტი **დანილ ისტომინი**.

მან სტილისტის მთავარი პროფესიული ინსტრუმენტის — მაკრატლის ნაცვლად ხელში აიღო ჩვეულებრივი ნაჯახი, რომელიც ძალიან ბასრია.

სტილისტ-ექსტრემალის თქმით, ამგვარად თმის შეჭრა, უფრო ზუსტად დაჩეხვა, მან დაიწყო მხოლოდ იმიტომ, რომ უნდოდა, რაღაც ახალი შტრიხი შეეტანა თავის პროფესიაში.

სტილისტის იარაღი ხორცისა და შეშის საჭრელ ნაჯახზე ბევრად უფრო ბასრია.





ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლების იდეამ — ნატო და ევროკავშირი — ჩაანაცვლა პატრიოტული თეზა: „ენა, მამული, სარწმუნოება“ და სოციალური ფონი საკუთარი კეთილდღეობის ფასად ისე დაამძიმა, საზოგადოება ისე დაამშია, რომ ხალხი სულიერ ღირებულებებზე ველარ ფიქრობს.**

# ხელისუფლების ამერიკულ ოცნებას ჭეშმარიტი ქართული ოცნება უნდა დავუპირისპიროთ

**ამას წინათ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პიროვნება დამიკავშირდა, რომელიც აფხაზებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს. მთხოვა, მისი ვინაობა პრესაში არ გამესაჯაროებინა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე ისაუბრა: აფხაზებს ენატრებათ ქართველებთან ურთიერთობა, მთხოვეს, როცა ჩამოხვალ, ქართული სიმღერები ჩამოგვიტანეო. ახლა აფხაზებს არავინ არაფერს ეკითხება და ყველაფერს რუსები და სომხები განკარგავენ. სომხები აშენებენ სკოლებს, რესტორნებს, ეკლესიებს და, როცა აფხაზმა გენერალმა შეკითხვით მიმართა ერთ-ერთ მათგანს — ამას რატომ აკეთებთო, ასეთი პასუხი მიიღო: ჩვენ აქ სისხლი დავღვარეთ და ეს მიწა ჩვენია, შენ ვინ ხარ, წადი აქედანო.**



**დროულად უნდა ვთქვათ უარი დასავლეთის პარტნიორობაზე და რუსეთთან გავაფორმოთ ხელშეკრულება, რომლითაც დაცული იქნება ქვეყნის უსაფრთხოება და ეროვნული ღირებულებები. მედასავლეთეებს მოვუწოდებ: ვისაც ქართველობა გეამაყებათ, გაიძლიერეთ იმუნიტეტი ფუჭ ოცნებაზე (დასავლეთთან პარტნიორობა) უარის თქმით**

ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმა **ვლადიმერ პოზნერმა** ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტთან საუბრისას ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა არასასურველ კონტექსტში განიხილა. ეს ყველაფერი კი შედეგია ჩვენი ხელისუფლების დამოკიდებულებისა რუსეთისადმი, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმის ტოლფასია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მიზანმიმართულად ხდება. საქართველოს „მეგობარ“ მეზობელ ქვეყნებს — ყველას ჩვენი ტერიტორიული ვალი აქვს. ზოგ საკითხში ქართველებიც ვცოდავთ, როცა უპასუხოდ ვტოვებთ სომეხი ავტორის — **რაფის** ნაბოდვარს, რომელმაც **ერეკლე II** ლაჩარი უწოდა: ლაჩარი მეომრები ჰყავდა და იმიტომ დამარცხდნენ კრწანისის ომში, შედეგად ყარაბაღის მელიქი **აღა მაჰმად-ხანს** მიემხრო და საქართველოს წინააღმდეგ შემოუძღვა საომრადო. როცა ქართული რეალობის საწინააღმდეგოდ სომეხი ერის ისტორიის გაყალბებული ფაქტების ტირაჟირება თვითონ ქართველი ავტორის ხელით ხდება (საკითხავია — რის ფასად?) აღარ უნდა გაგვიკვირდეს 1918 წლის სომეხთა შემოსევა და აფხაზეთზე სომეხთა პრეტენზიაც. არასასურველი მდგომარეობაა საინგილოშიც, სადაც აშკარაა ქართველების შევიწროება და მათი უფლებების დარღვევა. იქ 80 ათასი მართლმადიდებლიდან მხოლოდ 15 ათასი დარჩა.

ხელისუფლებას ქართველი ხალხისთვის არ სცალია, სამაგიეროდ, პრემიერმინისტრმა **კვირიკაშვილმა** ამბიციური პროექტების განხორციელება დააანონსა. **ქართული ოცნება ხომ აგვისრულეს და საქართველოს მოსახლეობას სრული ბედნიერებისთვის სამთავრობო ქალაქის მშენებლობა, აგრეთვე, ქუთაისის ტურისტულ ქალაქად გადაქცევა გვაკლდა და ამასაც განახორციელებენ.** ხელისუფლების მიერ სრულიად იგნორირებულია ქართველი ხალხის რეალური პრობლემები. **ბოლო სამი თვის განმავლობაში 129 მილიონი ლარი დაიხარჯა მთავრობის წევრების კომფორტისთვის. გიგი უგულავას განცხადებით, 2012 წლიდან დღემდე 550 მილიონით არის გაზრდილი ბიუროკრატიული ხარჯები. ხელისუფლებამ თავდაყირა დააყენა რუსთაველის თეზა: სახელის მოხვეჭას „ყოვლისა მოსახვეჭელი“ სჯობსო; აგრეთვე, ილიას თეზაც — „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ და თვითონ ექცა ხალხს მოუშუშებელ წყლულად.** ხელისუფლებამ კანონში უნდა შეიტანოს ცვლილება, რომ მხოლოდ საარსებო მინიმუმის ზრდის პროპორციულად გაეზარდოთ ხელფასები ყოველგვარი დანამატის გარეშე, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს ყიდულობენ და ყიდიან, ჩვენი პრობლემები კი მრავლდება.

ქართულ პოლიტიკაში პროგრესია, მაგრამ პრემიერ კვირიკაშვილის მიერ დაანონსებულ პროგრესთან საერთო არაფერი აქვს — პარლამენტარი სატელეფონო ზარებს პასუხობს. პარლამენტარ **ზაზა პაპუაშვილთან** შეხვედრისას ჩემს შეკითხვაზე — **იოსებ სტალინი** ცოცხალი რომ იყოს, განმეორდებოდა თუ არა 1937 წლის მოვლენები ნაცკრიმინალების 9-წლიანი მმართველობისა და მათ მიერ ბათუმში ჩადენილი ვანდალური აქტის გამო, ბატონმა ზაზამ მიპასუხა, რომ, ხალხის მტრების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, კანონით გათვალისწინებული ზომები განხორციელდებოდაო. სტალინის ძეგლის თავის ადგილას დაბრუნების თაობაზე აღნიშნა, რომ ძეგლები ჩვენი ისტორიაა და ხელი არ უნდა ვახლოთ, მაგრამ ახლა ქვეყანას იმდენი პრობლემა აქვს, ძეგლების სეირნობის დრო არ არისო. დიახ, ქვეყანა ბევრი პრობლემის წინაშე დგას და არც ხეები უნდა ვასეირნოთ, არც ხელისუფლების წარმომადგენლების კომფორტისთვის უნდა დაიხარჯოს 129 მილიონი ლარი.

**დღეს სტალინი ცოცხალი რომ იყოს, ნაცკრიმინალ ხალხის მტრებს ტროცკისტების გზას გაუყენებდა.**

**დღეს სტალინი ცოცხალი რომ იყოს, ევროკავშირის რეკომენდაციებსა თუ სტრასბურგის გადაწყვეტილებას სანაგვეზე მიუჩენდა ადგილს.** ეს გადაწყვეტილება არის პრეცენდენტი იმისა, რომ მკვლელობები, წამებები თუ გაუპატიურებები ევროპამ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია, რაც ქართველი ხალხისთვის მონობის ტოლფასია. **ამ გადაწყვეტილებით დასავლეთი თავისი გავლენის შენარჩუნებას ცდილობს საქართველოზე და ეს უნდა იყოს მოთმინების ბოლო ზღვარი, რათა საზოგადოებამ რეალურად შეაფასოს ევროპული გზა.**

მაინც რა ღირებულებების მქონეა დღეს ევროპა? — მხოლოდ ტექნიკური და სოციალური პროგრესისა. ევროპას ზნეობრივი ღირებულებების მქონე პოლიტიკა არც წარსულში ჰქონია და დღეს ვხედავთ, რაც იქ ხდება — თავისივე დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგს იმკის. **ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში 25 მლნ ბავშვი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. დასავლეთის ე.წ. ღირებულებებმა შვედეთის მკვიდრ მოსახლეობას სამშობლო დააკარგვინა და ისინი შიშით შეჰყურებენ, როგორ მბრძანებლობენ მათ ქვეყანაში მუსლიმანი დევნილები.** როცა მუსლიმი მოსწავლე მასწავლებელს ყელიდან ჯვარს ჩამოგლეჯს და დაემუქრება, რა ღირებულების მქონეა ასეთი ქვეყანა? ყველაფერში თავისუფლება, რომელსაც თავს გვახვევს დასავლეთი, დამღუპველია ქვეყნისა და ხალხისთვის. საბოლოოდ გაიმარჯვებს ის ერი, რომელიც თავისი ღირებულებებისა და იდენტობის შესანარჩუნებლად იბრძვის. არ შეიძლება, მსოფლიოში უზნეობა და ფსევდოფასეულობები იმარჯვებდეს — ეს ბუნების კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. სწორედ განსხვავებული იდეოლოგიის გამო აქვს **ვლადიმერ პუტინს** მაღალი რეიტინგი მსოფლიოში და რუსი ჟურნალისტი — ვლადიმერ პოზნერიც აღნიშნავს, რომ ლიბერალური ოპოზიციური ფრთა პუტინისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან რუსეთის პრეზიდენტს მოსახლეობის 85% უჭერს მხარს.

ქალბატონი **ნანა ჯიქია** სასწავლო ვიზით წავიდა მალტაზე, რათა შემდგომში მთარგმნელობითი მუშაობისთვის ენის ცოდნა განემტკიცებინა. მისი თქმით, რამდენჯერმე მოუწია ქვეყანაში გადაადგილება, შემდეგ რუსეთის ჯაშუშობა დააბრალეს, ქვეყანა დაატოვებინეს და საბოლოოდ, რაც ეცვა, იმის ამარა დატოვეს. **„ამ მოგზაურობამ მთლიანად შეცვალა ჩემი მსოფლმხედველობა და ჩემი მოქალაქეობრივი ვალია, საქართველოს ახალგაზრდობას თვალი ავუხილო — რა ღირებულებების მქონეა სინამდვილეში დასავლეთი“,** — მითხრა ქალბატონმა ნანამ.

„რუსეთი არის ჩვენი ინტერესების მტერი, ივანიშვილის ქვეყანა, რომელმაც არ უნდა დაგვარტყას“, —განაცხადა სატელევიზიო ეთერში ლიბერასტმა **ლევან ბერძენიშვილმა,** რომელმაც ჩვენს ეროვნულ გმირს — მეფე ერეკლეს ლამის ქვეყნის ღალატი დასწამა. ეს პოლიტიკური ფუნა კვლავაც ტივტივებს მყრალ ლიბერასტულ ჭაობში და საქართველოს გადარჩენის გზას ებრძვის. ბიძინა ივანიშვილი რუსეთის ინტერესების გამტარებელი რომ ყოფილიყო, რესპუბლიკელ გველის წიწილებს ხელისუფლებაში არ მოიყვანდა. **რაც შეეხება მეფე ერეკლეს ანდერძს, ორი ფაქტორის გაცნობიერებაც საკმარისია იმისათვის, რომ დადებითად შევაფასოთ: რუსეთთან თანაცხოვრების შედეგია ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენა და მოსახლეობის ზრდა 600 ათასიდან 5,5 მილიონამდე.**

**ხელისუფლების იდეამ — ნატო და ევროკავშირი — ჩაანაცვლა პატრიოტული თეზა „ენა, მამული, სარწმუნოება“ და სოციალური ფონი საკუთარი კეთილდღეობის ფასად ისე დაამძიმა, საზოგადოება ისე დაამშია, რომ ხალხი სულიერ ღირებულებებზე ველარ ფიქრობს.** ამ გარემოებებმა ქართველი ხალხის მენტალიტეტიც საგრძნობლად შეცვალა. მაგალითად, 1956 წელს სტალინის სახელის დასაცავად სრულიად საქართველო გამოვიდა, ხოლო 2010 წელს ნაცების მიერ სტალინის ძეგლის ღამით ქურდულად დამხობას ხალხის მასობრივი პროტესტი არ მოჰყოლია. როცა **ილიამ** ბრძანა, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო, დასავლეთის მონობა და ქართულ ღირებულებებზე — „ენა, მამული, სარწმუნოება“ — უარის თქმა არ უგულისხმია.

როცა დიდმა **ტიციანმა** ბრძანა: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას ულელი“, პოეტი სამშობლოს მონობას ესწრაფვოდა და არა ლიბერასტ-პედერასტების. მართალია, პატრიოტი ქართველები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, მაგრამ არასდროს უფიქრიათ უცხო მენტალიტეტის მქონე ქვეყნის კოლონიად ექციათ საქართველო. რუსეთი თუ იმპერია იყო, ამერიკა „კეთილშობილ“ სქესმოდელირებულთა პანსიონატია? სამშობლოსთვის თავგანწირულმა დევნილმა მამულიშვილმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის უკანასკნელმა შეფიცულმა — **ალექსანდრე სულხანიშვილმა** 66 წელი უცხოეთში გაატარა. როცა ცხონებული ბატონი **გურამ შარაძე** მის მოსანახულებლად სან-ფრანცისკოში ჩავიდა, 90 წელს გადაცილებულმა მამულიშვილმა ცრემლიანი თვალებით უთხრა: „მინდა, ჩემი ძვლები სამშობლოს მიწაში ჩავყარო“. მას ეს სურვილი აუსრულდა: საქართველოს ზეცაც იხილა, ქაქუცას დროშაც დაუბრუნა სამშობლოს და კახეთში, აწყურის თეთრი გიორგის საგვარეულო ეკლესიაში ჰპოვა განსასვენებელი.

„რაც უფრო მეტად დაიძაბება ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, საქართველოსა და კავკასიას უფრო მეტი ფასი დაედება“, — გვმოძღვრავს ე.წ. ექსპერტი **ზაალ კასრელიშვილი.**

რუსეთთან დაპირისპირებით უარს ვამბობთ ყველა იმ სიკეთეზე, რომლებიც სოციალისტურმა სისტემამ მოგვიტანა, შედეგად მივიღეთ დანგრეული ეკონომიკა და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა. არ არის დაცული ქვეყნის უსაფრთხოება. რაც მთავარია, ვუპირისპირდებით ქართველობას, ძირითად ეროვნულ ღირებულებებს, რომლებსაც „ენა, მამული, სარწმუნოება“ ჰქვია.

ამერიკის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** წინასაარჩევნო დაპირებამ რუსეთის მიმართ ჩაილურის წყალი დალია. პრეზიდენტს ასევე გაუჭირდება ზნეობრივი პარამეტრების დაცვა ქვეყანაში, სადაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უზნეობა სისხლში აქვს გამჯდარი და რისთვისაც მილიონები იხარჯებოდა. არც ტრამპია მამაზეციერი და არც უზნეო საზოგადოების წარმომადგენლები არიან მარიამ მაგდალინელები, ცოდვები რომ მოინანიონ და წმინდანებად იქცნენ. ამას ათწლეულებიც არ ეყოფა. მოკლედ, ქართული ანდაზისა არ იყოს, „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“.

არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, **დროულად უნდა ვთქვათ უარი დასავლეთის პარტნიორობაზე და რუსეთთან გავაფორმოთ ხელშეკრულება, რომლითაც დაცული იქნება ქვეყნის უსაფრთხოება და ეროვნული ღირებულებები. მედასავლეთეებს მოვუწოდებ: ვისაც ქართველობა გეამაყებათ, გაიძლიერეთ იმუნიტეტი ფუჭ ოცნებაზე (დასავლეთთან პარტნიორობა) უარის თქმით, ხელისუფლების ამერიკულ ოცნებას დავუპირისპიროთ ჭეშმარიტად ქართული ოცნება, მეფე ლუარსაბის მსგავსად გავერთიანდეთ ფიცის ქვეშ — „ფიცის კაცები — სამშობლოსათვის“ და ერთად დავიბრუნოთ ჩვენი საქართველო.**

**იზა თამაზაშვილი**

**ატამი ადრეული ყვავილობით ხასიათდება, ამიტომ მისი გაშენება ისეთ ზონებში, რომლებშიც გაზაფხულის წაყინვები ხშირია, ნაკლებად მიზანშეწონილია. გვალვიან მშრალ რეგიონებში უპირატესობას ანიჭებენ ნუშის საძირეზე გამოყვანილ ატმის ნერგებს, ხოლო ჭარბტენიან პირობებში — ტყემლის საძირეზე დამყნილ ჯიშებს. წყლით უზრუნველყოფილ ნაყოფიერ ნიადაგებზე ატმის საუკეთესო საძირეს ატმის ნათესარი წარმოადგენს.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გოგოლა მარგველაშვილი.**

# ატმის კულტურა



**ატამი კურკოვანი კულტურაა, რომელიც მოდის მსოფლიოს როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. წარმოების მოცულობით ატამი ხილის სახეობებს შორის მე-10 ადგილზეა მსოფლიოში. მისი წლიური გლობალური წარმოება 22-23 მილიონ ტონას შეადგენს, ხოლო ბაღები გაშენებულია 1 500 000 ჰა-ზე.**

ატმის წარმოშობისა და დომესტიკაციის (მოშინაურების) ცენტრი ჩრდილო-აღმოსავლეთი და ცენტრალური ჩინეთია, სადაც, ლიტერატურული წყაროების თანახმად, ამ ხილს 3000 წლის წინათ იცნობდნენ. ევროპაში ატამი ირანიდან რომაელებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეიტანეს. საქართველოში ატამი უძველესი დროიდან არის გავრცელებული, რაც დასტურდება ისტორიული და ლიტერატურული წყაროებითა და გენეტიკური რესურსების მრავალფეროვნებით.

ატმის ნაყოფი გამოირჩევა თავისი კვებითი ღირებულებით — მდიდარია ნახშირწყლებით, მინერალური ნივთიერებებით, ვიტამინებით, ფერმენტებითა და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სხვა ნაერთებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაყოფში **ბეტა-კაროტინის, კალიუმისა** და **რკინის** შემცველობას, რომლებიც ადამიანისთვის ადვილად შესათვისებელ ფორმებშია წარმოდგენილი. **ატამი შეიცავს სასარგებლო პოლიფენოლებს და ანტიოქსიდანტებს — ქლოროგენის მჟავას, კატექინს, ეპიკატექინს, ლუტეინს, ბეტა-კრიპტოქსანტინს** და სხვა ორგანულ ნივთიერებებს.

ატმის კლასიფიკაციაში გამოირჩევა ორი მსხვილი ჯგუფი: **ატამი** და **ნექტარინი (ვაშლატამა).** ნექტარინი ატმისგან განსხვავდება მხოლოდ ბუსუსების არ არსებობით, რაც განპირობებულია კონკრეტული გენით. ის, თავის მხრივ, განაპირობებს ნექტარინის დამახასიათებელ რბილობის კონსისტენციასა და გემოს.

მსოფლიოში ატმის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანა ჩინეთია — 14 000 000 ტონა. მოსავლის მოცულობით გამოირჩევა აშშ, იტალია და ესპანეთი (1 000 000-ზე მეტი ტონა). დიდი რაოდენობით ატამი მოჰყავთ, აგრეთვე, საბერძნეთში, თურქეთსა და ირანში (500 000-800 000 ტონა). 300 000 ტონის ფარგლებში მოსავალს აწარმოებს ეგვიპტე, საფრანგეთი და არგენტინა.

საქართველოში ატმის წარმოების მთავარი რეგიონებია: კახეთი და შიდა ქართლი. ატმის ბაღების ძირითადი ფართობები გაშენებულია გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტებში.

ატმის ბაღების ფართობი შეადგენს 3 100 ჰა-ს (2004 წლის მონაცემი), ხოლო წარმოება მნიშვნელოვნად — 6 900 ტონიდან (2010 წ.) 28 000 (2016წ.) ტონამდე.

## ბიოლოგიურ-სამეურნეო თავისებურებები

**ატამი სინათლისა და სითბოს მოყვარული მცენარეა. მინიმალური ტემპერატურა არ უნდა ეცემოდეს მინუს 20-22⁰C -ზე დაბლა. ჯიშების უმეტესი ნაწილი არ მოითხოვს ჯვარედინ დამტვერვას (თვითფერტილია). ატამი უპირატესობას ანიჭებს ნაყოფიერ, კარგი აერაციის უნარის მქონე მსუბუქ ნიადაგებს.**

ატამი ადრე მსხმოიარობს. მოსავალს იძლევა დარგვიდან მეორე-მესამე წელს, საშუალო მოსავლიანობა სტანდარტულ ბაღებში 20-25 ტონა/ჰა-ზე შეადგენს, ნექტარინების მოსავლიანობა, ჩვეულებრივ, 15-20%-ით ნაკლებია ატამთან შედარებით. ატმის ხეები არ გამოირჩევა ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით (15-20 წელიწადი), თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ კულტურის მსხმოიარობის ადრეული დაწყების უნარს, ეს უარყოფითი თვისება სამეურნეო თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევა.

**ატმის წარმოება ჯიშების შესაბამისად წარმატებით შესაძლებელია, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, თუმცა სამრეწველო მოსავლის მისაღებად საუკეთესო რეგიონებად კახეთი და შიდა ქართლია მიჩნეული.** ატამი ადრეული ყვავილობით ხასიათდება, ამიტომ მისი გაშენება ისეთ ზონებში, რომლებშიც გაზაფხულის წაყინვები ხშირია, ნაკლებად მიზანშეწონილია. გვალვიან მშრალ რეგიონებში უპირატესობას ანიჭებენ ნუშის საძირეზე გამოყვანილ ატმის ნერგებს, ხოლო ჭარბტენიან პირობებში — ტყემლის საძირეზე დამყნილ ჯიშებს. წყლით უზრუნველყოფილ ნაყოფიერ ნიადაგებზე ატმის საუკეთესო საძირეს ატმის ნათესარი წარმოადგენს.

**ატმის კლასიფიკაციაში გამოირჩევა ორი მსხვილი ჯგუფი: ატამი და ნექტარინი (ვაშლატამა). ნექტარინი ატმისგან განსხვავდება მხოლოდ ბუსუსების არ არსებობით, რაც განპირობებულია კონკრეტული გენით. ის, თავის მხრივ, განაპირობებს ნექტარინის დამახასიათებელ რბილობის კონსისტენციასა და გემოს**





## გაშენების სისტემები

ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის შერჩევა საშუალებას იძლევა, ფართობის ერთეულზე განლაგდეს მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალური ათვისება, სინათლის ეფექტიანი გამოყენება, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ამჟამად ფართოდ გამოიყენება მცენარეთა სწორკუთხოვანი განლაგება. ატმის გაშენების გავრცელებული სქემებია 5X5, 5X4, 5X3 და 5X2 მეტრზე. ატმის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომაზე, ასევე ადრეულ გაზაფხულზე.

## აგროტექნიკური თავისებურებები

ატმის ბაღის გაშენებისას სასურველია, ორმო ამოღებული იყოს ბაღის გაშენებამდე რამდენიმე დღით ადრე; ორმოს დიამეტრი უნდა შეადგენდეს 50-60 სმ-ს, ხოლო სიღრმე — 30-40 სმ-ს.

ატმის ბაღებში ნიადაგის მოვლის რეკომენდებული სისტემებია: მწკრივებს შორის დაკორდება (ბალახის მუდმივი საფარი) და შავი ანეული (ნიადაგის ხშირი დამუშავება). ამ დროს ხდება სათიბელით (ან მულჩერ-სათიბელით) 3-6-ჯერ თიბვა ან კულტივაცია სეზონის განმავლობაში. ხეებს შორის რიგში: ახდენენ ჰერბიციდით (ბასტა, ნოკდაუნი, კლინი და სხვა — 3-5 ლ/ჰა) დამუშავებას ან გათოხნა-კულტივაციას.

განოყიერება ხორციელდება ნიადაგის ანალიზის შესაბამისად. განოყიერების საშუალო საორიენტაციო ნორმები ასეთია: ორგანული ნივთიერებები (კომპოსტი, ნაკელი და სხვ.) — 15-20 ტონა, მინერალური ნივთიერებები — აზოტი 90-120 კგ/ჰა, ფოსფორი 90-120 კგ/ჰა, კალიუმი 60-90 კგ/ჰა.

**სასუქის შეტანის პერიოდებია:** ორგანული ნივთიერებებისა (კომპოსტი, ნაკელი და სხვ.) — შემოდგომა ან გაზაფხული, მინერალური ნივთიერებებისა — შემოდგომა, ადრე გაზაფხული ან ვეგეტაციის პერიოდი.

ატმის წარმატებული მოყვანა შეუძლებელია მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ მიზანმიმართული ინტეგრირებული ბრძოლის გარეშე. ატამს განსაკუთრებით აზიანებს დაავადებები: **ფოთლის სიხუჭუჭე** და **კლასტეროსპოროზი** და **მავნებლები** (ბუგრები, აღმოსავლური ნაყოფჭამია, ტკიპები). ფოთლის სიხუჭუჭის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებაა კვირტების დაბერვამდე სპილენძის პრეპარატების გამოყენება, ხოლო მავნებლების წინააღმდეგ — შესაბამისი ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის მექანიკურ ღონისძიებებს (ჩამოცვენილი ფოთლებისა და ანასხლავის დროული გატანა ბაღიდან) და გენეტიკურ მეთოდს — შედარებით გამძლე ჯიშების შერჩევას.

## გასხვლა-ფორმირება

ატამი, ძირითადად, მსხმოიარობს ერთწლიან ნაზარდებზე, ამიტომ მოსავლის ერთხელ მიღების შემდეგ ტოტი აღარ იძლევა მოსავალს. ამ თავისებურების გამო, გასხვლის გარეშე ატამს მიდრეკილება აქვს ტოტების გაშიშვლებისკენ, მსხმოიარობის პერიფერიაზე გადანაცვლებისა და ნაყოფების სიწვრილისკენ. რამდენიმე წლის გაუსხლავი ატამი სიმაღლეში აღწევს 4-5 მეტრს და შემდეგ ხმება, ამიტომ მის გასხვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. **ატმის გასხვლის მიზანია, მივიღოთ ყოველწლიური ნაზარდი, რომელიც განლაგებულია ხის ქვედა ნაწილებში, რათა არ მოხდეს მსხმოიარობის ზემოთ გადანაცვლება.**

ატმისა და ნექტარინის ფორმირების საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს ჯამისებრი ფორმირება, თუმცა ინტენსიურ ბაღებში მიმართავენ ლიდერულ, შპინდელის, იფსილონისებურ და ტატურას ტიპის ფორმირებასაც.

მაღალი და სტაბილური მოსავლის მისაღებად აუცილებელია მცენარის წყლით სტაბილური უზრუნველყოფა. გავრცელებულია და რეკომენდებულია მორწყვის შემდეგი მეთოდები:

**წვეთოვანი მორწყვა** — სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში საჭიროა საშუალოდ 25-30 მორწყვის ჩატარება. თითოეული მორწყვა 6-8 საათის განმავლობაში 40–60 მ3 მოცულობით;

**მოღვარვით ან კვალში მორწყვა** — რეგიონების შესაბამისად, 5-6 ჯერ სეზონზე, 600 -800 მ3 1 მორწყვაზე.

## მოსავლის აღება

ხილის კრეფა ყველაზე დაძაბული და საპასუხისმგებლო პერიოდია ატმის ბაღში. არადროულ და მოსავლის არასწორ აღებას შეუძლია მოსავლის დიდი დანაკარგი გამოიწვიოს და შესამჩნევად დააქვეითოს პროდუქციის ხარისხი. კრეფა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მშრალ ამინდში, წვიმიანი ამინდის შემდეგ კრეფა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაყოფზე წვეთები აღარ იქნება. თუ ხილი დანამულია, კრეფა უნდა გადაიდოს 1-2 საათით, ნამის გაშრობამდე.

კრეფისას ხის ვარჯი პირველ და მეორე იარუსებად ნაწილდება, ნაყოფი იკრიფება ჯერ ქვედა იარუსის, შემდეგ კი ზედა იარუსის ტოტებზე.

ატმის კრეფა ხორციელდება შემდეგნაირად: ნაყოფი ხელისგულში თავსდება, შემდეგ ნაყოფის გვერდზე გადაწევის გზით ხდება ნაყოფის კრეფა. დაუშვებელია ნაყოფის ტოტიდან ქვევით ჩამოგლეჯა. კრეფის დროს თავიდან უნდა იყოს აცილებული ნაყოფის ერთმანეთთან მიხეთქება და დაჟეჟვა. აღსანიშნავია, რომ ხილის კანის შენარჩუნება მექანიკური დაზიანების გარეშე განაპირობებს შენახვის გახანგრძლივებას.

კრეფისას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ნაყოფებს ბუსუსი ნაკლებად გაეცალოს, სანაყოფე ტოტები არ დაზიანდეს და არ დაიმტვრეს. მკრეფავებმა უნდა იმუშაონ თითებიანი მოქნილი ხელთათმანებით, შიშველი ხელით კრეფისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ხელის თითებზე ფრჩხილები არ იყოს წამოზრდილი.

## შენახვა

ატმის შენახვის პერიოდი მერყეობს ჯიშების მიხედვით და საშუალოდ შეადგენს 2-3 კვირას. შენახვის ტემპერატურა შეადგენს 0 - 1 0C -ს.

**ზვიად ბობოქაშვილი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**



## პატრიარქი: ღმერთი განსაცდელს მოგვივლენს იმისთვის, რომ მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს საქციელს

**„მძიმედ ჩავატარეთ ეს კვირა. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი განსაცდელს გვივლენს, რათა უფრო ღრმად ჩავხედოთ ჩვენს სულს, გონებას. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს ყოფაქცევას“, — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას.**

მან ასევე იქადაგა მარიამ მეგვიპტელის მოღვაწეობაზე და აღნიშნა, რომ მარიამ მეგვიპტელი არის მაგალითი, როგორ შეიძლება შეიცვალოს ადამიანი და ცოდვიდან გადავიდეს წმინდა ცხოვრებაში.

**„წმინდა მარიამ მეგვიპტელი ყოველ ჩვენგანშია და ყველას გვეხმარება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან ბრძოლაში. ადამიანი თუ არ შეებრძოლა თავის სულს, თავის ცხოვრებას, ვერ გაიმარჯვებს სხვაზე. ადამიანმა ჯერ თავის თავზე უნდა გაიმარჯვოს, უნდა დაამარცხოს თავისი ვნებები და მერე იქნება გამარჯვებული“,** — აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.



## «თბილისის არც ერთი კლინიკა სტანდარტებს არ აკმაყოფილებს»

## რა დარღვევები აღმოაჩინა ჯანდაცვის სამინისტრომ სამედიცინო დაწესებულებებში?

**„თბილისში არ არის არც ერთი კლინიკა, სადაც სტანდარტი 100 პროცენტით დაკმაყოფილებულია“, — განაცხადა ინტერნეტგამოცემა „კომერსანტთან“ ინტერვიუში ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ნინო ბერძულმა.**

მინისტრის მოადგილის განცხადებით, თბილისში დასრულდა დაწესებულებების მონიტორინგის ორი რაუნდი. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, კლინიკებში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა. კერძოდ, ინფექციების პრევენციისა და კონტროლის მიმართ ბევრი ხარვეზი იქნა აღრიცხული. ეს განსაკუთრებით პატარა, 40-ზე ნაკლები საწოლის მქონე კლინიკებს ეხება, თუმცა ხარვეზები იყო დიდ კლინიკებშიც. ბერძულის მტკიცებით, კლინიკებში არ იყო ინფრასტრუქტურული სტანდარტები, მაგალითად, მოსაწესრიგებელია წყალმომარაგება, სამედიცინო ნარჩენების მართვა და სამედიცინო პერსონალის ინფექციებისგან დაცვის სტანდარტები. ნინო ბერძულის თქმით, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ივნის-ივლისში დაიწყება მესამე რაუნდი, რომლის ფარგლებშიც თბილისში არსებული ყველა კლინიკა ხელახლა შემოწმდება, შემდეგ კი მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელი კლინიკა დარჩება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში და რომელი გამოეთიშება.



## «ევროკავშირი საფრანგეთის პრეზიდენტად მარინ ლე პენის არჩევას ვერ გადაიტანს»

**საფრანგეთის პრემიერმინისტრი ბერნარ კაზნიოვი გაზეთ Libღration-ში გამოქვეყნებულ სტატიაში წერს, რომ ევროკავშირი საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე „ეროვნული ფრონტის“ ლიდერის — მარინ ლე პენის არჩევას ვერ გადაიტანს.**

„დიდი ბრიტანეთის გასვლით დასუსტებული ევროკავშირი საფრანგეთის ხელისუფლებაში ევროფობიური პოზიციის მქონე მთავრობის მოსვლას ვერ გადაიტანს“, — წერს საფრანგეთის პრემიერმინისტრი, რომელმაც ფრანგებს მოუწოდა, საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მხარი დაუჭირონ პოლიტიკური მოძრაობა „წინ“-ის ლიდერს — ემანუელ მაკრონს.



## ნიკოლოზ მჟავანაძე: როდესაც ქვეყანას აქვს საპარლამენტო მმართველობა, პრეზიდენტს სწორედ პარლამენტი უნდა ირჩევდეს

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევის მომხრეა. ამის თაობაზე მჟავანაძემ „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

„ვერ დავეთანხმები „ნაციონალური მოძრაობის“ ნამსხვრევების პოზიციას, რომ თურმე პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევით არადემოკრატიულ ნაბიჯებს ვდგამთ. თუკი ჩვენ გვაქვს საპარლამენტო მმართველობა, აქედან გამომდინარე, უპრიანია, სწორედ არაპირდაპირი წესით ავირჩიოთ პრეზიდენტიც. როგორ შეიძლება, პარლამენტმა აირჩიოს პრემიერმინისტრი და პრეზიდენტი იყოს ხალხის მიერ არჩეული, როცა პირველი პირი გახლავთ პრემიერი. ეს არის გარკვეულწილად ფუნქციების აღრევა, დაბნეულობის შეტანა. როგორ წარმოგიდგენიათ პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც გავა და წინასაარჩევნოდ დაიწყებს აგიტაციას, რა უნდა თქვას? ცრუ დაპირებები უნდა გასცეს? მას ხომ რეალურად არ შეუძლია, კარდინალურად შეცვალოს რაიმე ქვეყანაში. იგი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, არ აქვს ფართო უფლებამოსილება, ამიტომ ეს იქნება მხოლოდ ცრუ დაპირებები. პრეზიდენტს ახლა აქვს გარკვეულწილად არბიტრის, მსაჯულის ფუნქცია, რათა კრიზისები განმუხტოს ქვეყანაში და არა ხელისუფლების უმაღლეს რგოლებთან ურთიერთშეწყობით იმოქმედოს და მოახდინოს კარდინალური ცვლილებები. ეს ფუნქცია აკისრია პრემიერმინისტრს. არც ვენეციის კომისიას, არც საერთაშორისო ორგანიზაციებს არ უთქვამთ, რომ ამით ჩვენ უკან გადავდგით ნაბიჯი. პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევა მოქმედებს ევროპის წამყვან ქვეყნებში და ყველა იმ ქვეყანაში, რომლებშიც საპარლამენტო მმართველობაა. არ შეიძლება, ქვეყანაში ორი პირველი პირი გვყავდეს“, — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.



## საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევის აკრძალვა 2018 წლის მაისიდან ამოქმედდება

**მთავრობასა და პარლამენტს შორის კონსულტაციების შედეგად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევის აკრძალვა 1 წლით გადავადდა და 2018 წლის 1 მაისიდან ამოქმედდება. ამის შესახებ თამბაქოს მოხმარების საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორმა, დეპუტატმა გუგული მაღრაძემ განაცხადა.**

„მთავრობასთან გვქონდა ერთთვიანი კონსულტაციები და მივედით გარკვეულ კონსენსუსამდე. რასაც, ასე ვთქვათ, დავთმობთ, ეს არის ვადები. ერთ წელს ვაძლევთ და 2018 წლის 1 მაისიდან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აიკრძალება მოწევა. გარდა ამისა, თვითონ პარლამენტის წევრებისგან იყო შენიშვნები სადა შეფუთვის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ და დავუშვით, რომ მოწევა ნებადართული იქნება კაზინოებსა და სიგარბარებში სერიოზული ლიცენზირების პირობებში“, — განაცხადა გუგული მაღრაძემ.

## ყალბი კუპიურების დამზადება-გასაღებისთვის ოთხი პირი დააკავეს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე ოთხი პირი დააკავა.**



გამოძიებით დადგენილია, რომ ერთ-ერთი ბრალდებული რეგულარულად ამზადებდა 100 და 200-ლარიან ყალბ კუპიურებს და შემდგომში დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების დახმარებით ფიზიკურ პირებსა და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში ასაღებდა საქართველოს ტერიტორიაზე.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მეორე ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6

ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894